მღებრიშვილი პირობას დებს, რომ რუსთაველის გამზირზე მიტინგები აღარ გაიმართება A2

რუსეთის პოლიტიკა მხოლოდ მზაკვრობას და უხეშ ზეწოლას ემყარება A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 3 თებერვალი, 2003 წელი. №32 (244)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ბორჯომში წყალიც კი იქნება

ბორჯომში სასწაული დაიგეგმა, რომელზეც იქაურები მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდნენ. ამბობენ, რომ მომავალ წელს ბროჭის მოშვებისას ონკანიდან სასმელად ვარგისი წყალი წამოვა. წარმოგიდგენიათ?!

A2

## ეკონომიკა

### სახელმწიფო წარმოებაში ინვესტიციებს ამცირებს

მიმდინარე წლის ბიუჯეტში ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს პროექტებისთვის 8,5 მილიონი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა გათვალისწინებულია, როგორც საწარმოების მიერ აღებული საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებისთვის, ასევე სხვა პროექტებისთვისაც. მიმდინარე წლიდან სააგენტო სუბვენციის პროგრამის განხორციელების დაწყებასაც აპირებს.

A4

## უცხოეთი

### წინასაარჩევნო კამპანია სომხეთში ახალ ფაზაში შედის

სომხეთის პრეზიდენტი კოჩარიანი ბოლო კვირების განმავლობაში სულ უფრო დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. ამასობაში, შეერთებული შტატები აცხადებს, რომ სულ მცირე დარღვევის შემთხვევაშიც კი არჩევნებს ლეგიტიმურად არ სცნობს.

A5

## საზოგადოება

### შექსპირი მეგრულად

კარგა ხანია, რაც ოფიციალური საქართველო "აფხაზეთში" მხოლოდ გალის რაიონს გულისხმობს. მაგალითად, აფხაზეთის განათლების სამინისტრო გალის რაიონის სამინისტროა, რომელსაც ამ რაიონის 42 სკოლა ექვემდებარება. ამავე სკოლებს გულისხმობს საქართველოს განათლების სამინისტროც, როდესაც აფხაზეთის სკოლებზე საუბრობს.

A6

## სამართალი

### პროკურორის საქმის განხილვა ორი წლის მანძილზე ჭიანურდება

ვაკე-საბურთალოს რაიონის ერთ-ერთი არჩევნების დროს "ადვოკატთა პარტიის" კანდიდატი ომარ მდივნიშვილი, რომელიც მისივე თქმით, საარჩევნო კამპანიას საბჭოთა პერიოდში გერმანიის კაზინოში მოგებული თანხით აწარმოებდა, ამომრჩევლებს, მხარდაჭერის შემთხვევაში, სრულყოფილი კანონების შექმნასა და სამართლიანობის სრულ დაცვას ჰპირდებოდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 12 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 16 |
| სოხუმი | 13 |
| ფოთი | 15 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 15 |
| გორი | 9 |
| ახმეტა | 11 |
| ჭიათურა | 12 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1849 |
| ევრო | 2.3543 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6178 |
| რუბლი | 0.0687 |

# შატლის კატასტროფა

## და პასუხგაუცემელი კითხვები



REUTERS

*ამერიკა გლოვობს. დროშები დაშვებულია.*

### შატლის ჩამოვარდნის თეორია

აშშ-ს კოსმოსური ხომალდი "კოლუმბია", რომელიც ატმოსფეროში შემოსვლიდან ძალიან მალე აფეთქდა, შესაძლოა, 17 დღის წინ კანავერალის კონცხიდან აფრენის დროს დაზიანდა. ეკიპაჟის შვიდივე წევრი დაიღუპა.




მეტალის დაღლა თავიდანვე გამოირიცხა. "კოლუმბიამ" სერთიფიცირებული 100 გაფრენიდან მხოლოდ 28 განახორციელა.

© GRAPHIC NEWS

შაბათს ამერიკული კოსმოსური ხომალდი "კოლუმბია" მიწაზე დაშვებისას ტეხასის თავზე აფეთქდა და 7 ასტრონავტის სიცოცხლე შეიწირა. პრეზიდენტმა ბუშმა მომხდარს "მთელი ერის ტრაგედია" უწოდა.

ანტიტერორისტული კამპანიისა და ერაყში მოსალოდნელი ომის გამო მედიაში ტერაქტის ვერსიაც გაჩნდა, თუმცა, ოდნავ მოგვიანებით ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნული ვერსია გამორიცხეს. **"ამ დროისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ უბედური შემთხვევა ხმელეთზე ვინმეს დავაბრალოთ"**, - განაცხადა ნასა-ს ადმინისტრატორმა შონ ო`კეეფმა.

1 თებერვალს "კოლუმბია" თავის 16-დღიან მისიას ასრულებდა და დედამიწაზე დაშვებამდე, დაახლოებით, 65 კილომეტრიღა უკლდა, როდესაც აფეთქდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# მორიგი ულტიმატუმი პრეზიდენტს

თამარ მჭედლიშვილი

*დღეს ზუგდიდის ცენტრში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართება. მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნა აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანა იქნება. მიტინგის ორგანიზატორები არიან ენგურის ხიდზე დევნილთა აქციის მონაწილენი და საგაფიცვო კომიტეტთან არსებული ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს წევრები. როგორც საგაფიცვო კომიტეტის წევრები აცხადებენ, მათ მოთხოვნებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამოეხმაურებიან. მათივე განცხადებით, დღეს საპროტესტო მიტინგები თბილისსა და ქუთაისშიც გაიმართება.*

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ვახტანგ გამსახურდიას თქმით, დღევანდელ მიტინგში მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ ზუგდიდელები, არამედ სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადგილობრივი მოსახლეობა და აფხაზეთიდან დევნილები. "24 საათის" ინფორმაციით, თბილისიდან ზუგდიდში ჩასვლას გეგმავენ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებიც.

**"იმ ორი კვირის განმავლობაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა რუსი სამშვიდობოების აფხაზეთიდან გაყვანის საკითხის გადასაჭრელად მოითხოვა, ჩვენ ვეცდებით საქართველოს მოსახლეობის სრულ მობილიზებას, ჩამოვკრავთ განგაშის ზარებს, რათა მთელი მოსახლეობა დავაყენოთ ფეხზე და ყველამ ერთად მოვითხოვოთ რუსეთის ჯარების გაყვანა. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, ვპირდებით საქართველოს ხელისუფლებას, რომ მთელი ძალებით გამოვალთ მის წინააღმდეგ და მოვითხოვთ პრეზიდენტის გადადგომას. ფაქტობრივად, ადგილობრივი ძალები საამისოდ უკვე გაერთიანებულია",** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ვახტანგ გამსახურდიამ. მისივე თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება არ შეეცდება მიტინგის დაშლას, რადგან აქციის მონაწილეთა მოთხოვნები სამართლიანია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უვარგისი საგადასახადო სისტემა - შეუსრულებელი ბიუჯეტი

*ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, იანვრის მიწურულს 2003 წლის პირველივე თვის ბიუჯეტი უკვე 40 მილიონი ლარით იყო გარღვეული. თუმცა, ეს უწყება აუღელვებლად დაელოდა 31 რიცხვს. წინასწარი განცხადებაც კი გააკეთა, რომ იანვრის ბიუჯეტი აუცილებლად შესრულდებოდა. ამის საფუძველი ფინანსისტებს, წლობით დამკვიდრებულმა ტრადიციამ, გადასახადების უკანასკნელ დღეს გადახდის დაუკანონებელმა წესმა მისცა. "არ არის ნორმალური, რომ ბიუჯეტი თვის ბოლო დღეს სრულდება ხოლმე, მაგრამ ჩვენთან ასეა დამკვიდრებული," – აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი და საგადასახადო სისტემაში არსებულ ანარქიას მრავალჯერ შესწორებულ და ნირშეცვლილ საგადასახადო კოდექსს აბრალებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# ვისია ხუთჯვრიანი დროშა?

A8



# კრიმინალური ავტორიტეტები სიტუაციას ციხიდანაც მართავენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

მეხუთე საპყრობილეში ერთი კვირის წინ დატრიალებულ სისხლიან ანგარიშსწორებას, რომელიც ცნობილი ბანდის - "თავლიების" თავკაცების, ძმების მიქელთაძეების დაჭრითა და სიკვდილით დასრულდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოულოდნელი ფართომასშტაბიანი ჩხრეკა-შემოწმების სარეჟიმო სპეცოპერაციები მოჰყვა.

სავარაუდო ვერსიით, ძებნილები კობა და ილია მიქელთაძეები, რომლებიც რამდენიმე თვის წინ, ყაჩაღობის, ადამიანის გატაცებისა და სხვა მძიმე ბრალდებების გამო დააკავეს, ორთაჭალის ციხეში, საკუთარი ბანდის წევრებთან არსებულ განხეთქილებას შეეწირნენ. ჯერჯერობით კიდევ არ არის დადგენილი, როგორ და რანაირად აღმოჩნდა პატიმრების ხელში ცეცხლსასროლი იარაღი. სამაგიეროდ, მომხდარიდან ერთი კვირის თავზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაწყებული გამკაცრებული ღონისძიებების შედეგად, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და თბილისის №1 საპყრობილეში სხვადასხვა სახის იარაღის არსენალი აღმოაჩინეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

# საარჩევნო ალიანსების ნადირობა ამომრჩეველთა ხმებზე

ბადრი კოპლატაძე

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკურ ასპარეზზე ინტრიგების და გადაადგილებების რაოდენობა ერთიორად იზრდება. დღე არ გავა, რომ სხვადასხვა პარტიების შესაძლო საარჩევნო გაერთიანებების შესახებ ცნობამ არ გაიჟღეროს. ეს პროცესები უკვე იმ საბირჟო თამაშს ემსგავსება, როდესაც ყველა მოთამაშე აქციათა კურსის ხელოვნურ გაზრდას ცდილობს და, ბირჟის მსგავსად, აქაც არსებობს რამდენიმე კანონზომიერება, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება მძიმე შედეგებით დასრულდეს.

არჩევნების წინ ორი ან რამდენიმე ძალის გაერთიანება არასოდეს იწვევს საბოლოო შედეგის არითმეტიკულ გაზრდას. ამ მარტივ წესს ასევე მარტივი ახსნა აქვს: ყველა პარტიას თავისი, სპეციფიკური ამომრჩეველი ჰყავს და ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, ურთიერთავსებადი არ არიან. გაერთიანებისას მაქსიმალური შედეგი მაშინ მიიღწევა, როდესაც ამომრჩეველთა ჯგუფები თავისი შინაგანი განწყობით და მოლოდინებით ერთმანეთთან ახლოს დგანან.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# მორიგი ულტიმატუმი პრეზიდენტს

პირველი გვერდიდან

აქციის ორგანიზატორებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს იმ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებმაც, რომელთა რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საკოორდინაციო საბჭო შექმნეს. მათ შორის არიან "ნაციონალური მოძრაობა", ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, "ახალი მემარჯვენეები", "გაერთიანებული დემოკრატები", "ტრადიციონალისტთა კავშირი".

ედპ-ს ხელმძღვანელობამ ორი დღის წინ ოფიციალური წერილით მიმართა აქციის მონაწილეებს და მათ სრული თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა. დღეს ზუგდიდში ჩასვლას გეგმავენ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებიც.

საგულისხმოა ისიც, რომ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალთა მიერ უკვე მომზადებულია ერთობლი დოკუმენტის პროექტი, რომელიც აფხაზეთის პრობლემას ეძღვნება და რომელსაც ხელი უახლოეს მომავალში უნდა მოეწეროს.

როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, დოკუმენტი რამდენიმე მოთხოვნას შეიცავს, რომელთა შესახებ საქართველოს ხელისუფლება უკვე ინფორმირებულია. ამ მოთხოვნათა შორისაა: რუსი სამშვიდობოების სხვა ძალებით ჩანაცვლების საკითხი, გაერო-ს მხრიდან ძალისმიერი მეთოდების ამოქმედება და ა.შ.

**"ამას გარდა, დოკუმენტი შეიცავს ერთ მთავარ მოთხოვნასაც – ეს არის პოლიტიკური პარტიების ერთობლივი პოზიციის შემუშავება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებმა ამ ერთობლივ განცხადებაზე ხელი უახლოეს მომავალში უნდა მოაწერონ. ჩემი აზრით, ეს ამ აქციის შემდგომ მოხდება. რაც შეგვეხება ეროვნულ-დემოკრატებს, ჩვენი პოზიცია ასეთია: თუ მოხდება პოლიტიკურ ძალთა და დევნილთა მოძრაობის გაერთიანება, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ამ აქციის საერთო-სახალხო მოძრაობად გადაქცევა. თუ ასეთი მოძრაობა არ იარსებებს, მაშინ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით სერიოზული შედეგების მიღწევა გართულდება. თუ პოლიტიკური პარტიები ერთად დადგებიან, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი",** - განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

## მოკლედ

**თბილისი.** გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებულ მორიგ რეზოლუციას მოსკოვში დადებითად აფასებენ და იმედოვნებენ, რომ გაერო-მ საქართველოს ორკვირიანი ვადა აფხაზეთში მოქმედი დსთ-ს სამშვიდობოების მანდატის გაგრძელების საკითხის დადებითად გადასაწყვეტად მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩის - ვლადიმირ ჩხიკვიშვილის განცხადებით, რუსეთის მხარე აფხაზეთში მცხოვრებთა პირადობის დამადასტურებელი გაერო-ს სპეციალური დროებითი დოკუმენტებით უზრუნველყოფის საკითხის განხილვის წინააღმდეგი არ არის. მისი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები საქართველოს ხელისუფლებამ გაერო-ს წარმომადგენლებთან და აფხაზურ მხარესთან უნდა გამართოს და არა რუსეთის ხელისუფლებასთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1992-1993 წლების კონფლიქტამდე მოქმედი, აფხაზეთის სანიტარულ-საკურორტო მეურნეობის პოტენციალის დაახლოებით 80 პროცენტი უკვე აღდგენილია, - განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ. მისი თქმით, აფხაზეთის საკურორტო და ტურისტულ სფეროში რუსული კაპიტალი აქტიურადაა ჩართული. "გარდა ამისა, ერთობლივი საწარმოები ესპანეთთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან იქმნება", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. აზერბაიჯანს დაუშვებლად მიაჩნია ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების ქვედანაყოფების საქართველოდან სომხეთში შეყვანა. საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის ჰაჯი ჰაჯიევის თქით, რუსული სამხედრო ნაწილები, რომელთაც საქართველოში ამცირებენ, რუსეთში უნდა შევიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, "რეგიონში სახიფათო დისბალანსი" შეიქმნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო**. აზერბაიჯანის არმიის გენერალ-მაიორმა ვაგიფ რასულოვმა, რომელიც რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა შპიონაჟში დაადანაშაულა და გასულ წელს მოსკოვიდან გაიწვია, ახალი თანამდებობა მიიღო: იგი სათავეში ჩაუდგა თავისი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის წევრმა გურამ შარაძემ, შესაძლოა, ფრაქცია "მრეწველები" დატოვოს. შარაძე ზოგიერთ თანაფრაქციელს "ნაციონალებთან" ალიანსში ადანაშაულებს. **"იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დროშის ქვეშ დადგება, ჩემი ადგილი არ არის",** - ამბობს შარაძე. "მრეწველები" კი შარაძის მიერ ფრაქციის დატოვების პერსპექტივას მშვიდად ეკიდებიან და კატეგორიულად უარყოფენ "ნაციონალებთან" ალიანსს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.**. 6-10 თებერვალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მიუნხენს ეწვევა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.**. სუუამ-ის წევრი ქვეყნების სასაზღვრო უწყებები აპირებენ ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნას, რათა შემდეგ, სასაზღვრო სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს სისტემა საერთოევროპულ საინფორმაციო სივრცეს შეუერთდეს. **კავკას-პრესი**

**თბილისი.** დღეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო "სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირის" სარჩელის განხილვას დაიწყებს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებაზე უარს ეხება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2002 წელს საქართველოს პორტებმა ტვირთების გადამუშავების მოცულობა 14,1 პროცენტით გაზარდეს. გასულ წელს სუფსის ნავთობტერმინალის მეშვეობით დასავლეთში ექსპორტირებულ იქნა 6,2 მილიონი ტონა აზერბაიჯანის ადრეული ნავთობი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ეუთო-ს თავმჯდომარეობის პერიოდში ნიდერლანდები აპირებს ორგანიზაციის პრიორიტეტების შეცვლას ბალკანეთიდან კავკასიისა და შუა აზიის მიმართულებით. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მრეწველობის ორ გიგანტს - "ჭიათურმანგანუმსა" და ზესტაფონის "ფეროს" საერთაშორისო ტენდერზე ერთად გაიტანენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის არმენ მოვსისიანის განცხადებით, ევროკავშირის მოთხოვნა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დახურვის შესახებ, არ შეიძლება უახლოეს ერთ-ორ წელიწადში შესრულდეს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამუშაო ჯგუფები ამ ქვეყნის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენისათვის მიერთების საკითხის განსახილველად მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში შეიკრიბებიან. ***კავკას-პრესი.***

# ბორჯომში წყალიც კი იქნება

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბორჯომში სასწაული დაიგეგმა, რომელზეც იქაურები მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდნენ. ამბობენ, რომ მომავალ წელს ბროჭის მოშვებისას ონკანიდან სასმელად ვარგისი წყალი წამოვა. წარმოგიდგენიათ?!*

ასეთი სასიამოვნო განცხადება გაკეთდა გუშინ ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში, სადაც მოეწყო "ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის" საერთაშორისო პროექტის პრეზენტაცია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ადგილზე სამუშაო ვიზიტით ჩავიდა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სხვა მინისტრები, ბორჯომის დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი და მოსაზღვრე რაიონების გამგებლები, რომელთა ტერიტორიაზე გადის ეროვნული პარკი.

არსებული მძიმე ვითარების მოკლე მიმოხილვის შემდეგ პერსპექტივებზე ისაუბრეს პროექტის გერმანელმა მენეჯერმა კარელ კორესმა და საკონსულტაციო ფირმის თანამშრომელმა დავით გირგვლიანმა.

ამჟამად, ბორჯომის მოსახლეობას სასმელი წყალი დღეში ორი საათის განმავლობაში მიეწოდება. ამ დროს მთელი ბორჯომი ვედროებით შეიარაღებული გამოდის ქუჩაში და 24 საათის სამყოფ სითხეს იმარაგებს. მართალია, ამ წყალს სასმელი ჰქვია, მაგრამ, დაბინძურების გამო, მისი დალევა არ შეიძლება. სიმართლე რომ ითქვას, ეს წყალი სარეცხადაც არ ვარგა, მაგრამ რა გაეწყობა. თამამად მხოლოდ ტუალეტის ჩარეცხვა შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, მოასწრებ საკმარისი რაოდენობის აღებას და შეძლებ მაღალ სართულებზე ატანას.

ხალხი ცდილობს, წყაროს წყალი დალიოს, თუმცა ყოველთვის ეს არ ხერხდება. გაჭირვების დროს წყალს დავაყენებთ და კარგად რომ დაილექება, მერე ვსვამთო, ამბობენ ბორჯომელები. თვითონ კი სვამენ, შეჩვეულები ვართო, მაგრამ სტუმარს არ ურჩევენ.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*გასაოცარია, მაგრამ ბორჯომში წყალი ასეთი სანატრელია.*

იციან, თუ არ მოიწამლა, ფაღარათი არ ასცდება.

"ბავშვები გაფრთხილებული გვყავს, რომ ჭიქაში ჩახედვის გარეშე წყალი არ დალიონ. მიწა და ლამი ხომ მოჰყვება, ჭიაყელებიც ბევრი გვხვდება," – გვითხრეს ბორჯომის მიმდებარე სოფელ რველში. ასეა არა მარტო ბორჯომის მთელ რაიონში, არამედ მეზობლებთანაც. ამიტომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში წყალმომარაგებისა და წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია უნდა მოხდეს ადიგენში, ახალციხეში, ბაღდათში, ხაშურში და ხარაგაულში. 2,5 მილიონი ევროს ღირებულების პროექტის პირველ ეტაპზე განსაზღვრულია საჭირო რაოდენობის წყლის მიღება, რათა მოხდეს ექვსი რაიონის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგება. 5-6 ათეული წლის წინათ გვერდი-გვერდ ჩაყრილი წყლისა და კანალიზაციის მილები, კარგა ხანია, მწყობრიდანაა გამოსული. იშვიათი გამნაკლისის გარდა, მთელი მილსადენი სისტემის გამოცვლა არის დაგეგმილი. მოხდება სათავე და წყალგამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ პირველ ეტაპზე მაღალი ხარისხის წყლის მიღება ვერ მოხერხდება. ეს მეორე ეტაპის შემდეგ გაკეთდება.

სახელმწიფო მინისტრის წინაშე კიდევ ბევრი საჭირბოროტო საკითხი დააყენეს. ხე-ტყის სავალალო მდგომარეობიდან დაწყებული, ბორჯომის ჩამოსხმაზე ლიცენზიით დამთავრებული, მაგრამ ერთი გამონაკლისის გარდა, ახალი არაფერი ყოფილა.

ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ გრიგალაშვილმა მოითხოვა, რომ ბორჯომის პარკი, რომლის მფლობელი დღეს საქართველოს პროფკავშირებია, სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდეს. საქმე ისაა, რომ დეპუტატის ინფორმაციით, გერმანიის მთავრობა წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაციის გარდა, სრულიად უანგაროდ გვპირდება პარკის გამშვენიერებასაც, ოღონდ კერძო საკუთრებას არ ეხება.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, საკითხი განიხილება და კანონის სრული დაცვით გადაწყდება.

# სომალელი მეკობრეები ქართველებს გემის გარეშე უშვებენ

ზაზა წულაძე

*219 დღის წინათ, სომალის ტერიტორიულ წყლებში, სიბაქ-რუუნის კლანის მეკობრეების მიერ დატყვევებული საქართველოს ექვსი მოქალაქის დრამას, შესაძლოა უახლოეს დღეებში დაესვას წერტილი.*

***"ჩვენი გემის ბერძენმა მეპატრონემ დაგვირეკა და გვითხრა, რომ წესით, რამდენიმე დღეში უნდა გაგვათავისუფლონ. იგი შეთანხმებულა მეკობრეებთან და იმ შემთხვევაში, თუ გაგვიშვებენ, გემს მეკობრეებს დაუტოვებს. ახლა ჩვენი საქართველოსკენ გამომგზავრების ორი ვარიანტი იხილება: ან თვითმფრინავით, კენიის დედაქალაქიდან, ანაც რომელიმე სხვა გემით, ბოსაასოს ნავსადგურიდან. ყველაფერი ამ დღეებში უნდა გაირკვეს,"*** – *ეს დამაიმედებელი ინფორმაცია ტელეფონით, დატყვევებული საბერძნეთის გემის "ჟენლილის" კაპიტანმა არტურ არუთუნიანმა მოგვაწოდა გუშინ საღამოს.*

უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ მეკობრეებმა "ჟენლილის" მეპატრონე საბერძნეთის კომპანია "პალას ნავიგეიშენის" მიერ, გასული წლის 30 ნოემბერს გადარიცხული 100 ათასი დოლარი, დიდი ხანია, მიიღეს. ბერძნებმა ეს თანხა, მეკობრეების მოთხოვნით, პატარა სახელმწიფოს-ჯიბუტის ერთ-ერთ ბანკში გადარიცხეს, საიდანაც ფული 15 დეკემბერს გაიტანა შუამავალმა. "24 საათის" მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, შუამავალი არის მოჰამედ იბრაგიმი, რომელიც ჯიბუტის სატრანსპორტო კომპანია "ინჩკეიპ შიპინგ სერვისში" მუშაობს, ეს ადამიანი ბერძნებს თავად მეკობრეებმა დააკავშირეს. მას გადარიცხული 100 ათასი დოლარიდან, 85 ათასი მეკობრეებისთვის უნდა გადაეცა, 15 ათასი კი თავისთვის დაეტოვებინა. ვინაიდან ბანკიდან ფულის გატანის შემდეგ, იბრაგიმი დაიკარგა და ორ თვეზე მეტია, კავშირზე აღარც მეკობრეები გამოდიოდნენ, გაჩნდა ეჭვი, რომ შუამავალმა მეკობრეები უბრალოდ "გადააგდო" და მიიმალა. თუმცა, დღეს ირკვევა, რომ საქმე სხვაგვარად ყოფილა.

**"ჟენლილის" მეპატრონემ გვაცნობა, რომ მან ბოლოს და ბოლოს შეძლო შუამავალთან დაკავშირება, რომელმაც დაუდასტურა, რომ გადარიცხული თანხიდან, 85 ათასი დოლარი, უკვე დიდი ხანია, რაც მეკობრეებს გადასცა. ამის შემდეგ, გემის მეპატრონე უკვე მეკობრეებსაც დაუკავშირდა და პირობის შესრულება მოსთხოვა. მეკობრეებს კი წაუყენებიათ ახალი პირობა, რომ მხოლოდ ჩვენ გაგვათავისუფლებენ, გემს კი დაიტოვებენ. გემის მეპატრონე ამ პირობაზეც დათანხმებულა. მეკობრეებმა ახლა უნდა გადაწყვიტონ, რა გზით გაგვამგზავრებენ",** – გვითხრა კოკმა გულადი რუხაძემ (ინფორმაციისთვის, "ჟენლილის" საბაზრო ღირებულება 75 ათასი დოლარია).

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მეკობრეების მიერ განიხილება ფოთელების გამგზავრების ორი მარშრუტი. პირველი - მანქანით, ბოსაასოდან კენიის დედაქალაქ ნაირობიში ჩასვლა, საიდანაც ექვსი ქართველი თვითმფრინავით გადაფრინდება საბერძნეთში. მეორე ვარიანტია - იქვე ბოსაასოში, იმ გემზე გადაჯდომა, რომელიც ევროპისკენ მოემართება. როგორც ადრე გაცნობეთ, ქალაქი ბოსაასო, რომლის სიახლოვესაც ამჟამად დგას დატყვევებული "ჟენლილი", სომალისგან გამოყოფილი არაღიარებული ქვეყნის, პუნტლენდის უდიდესი ნავსადგურია.

დამოუკიდებლობის მოპოვებაში, პუნტლენდს დახმარებას მეზობელი ეთიოპია უწევდა, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი სჭირდებოდა. **"როგორც ჩვენ გავიგეთ, ბოსაასოს ნავსადგური ეთიოპიას იჯარით აქვს აღებული, აქ ყოველდღე უამრავი გემი შემოდის და გადის. ასე რომ, სხვა გემზე გადაჯდომის პრობლემა არ არსებობს",** – გვითხრა არტურ არუთუნიანმა.

სხვა გემზე გადაჯდომის ვარიანტი ქართველებისთვის უფრო მისაღები და უსაფრთხოა, ვინაიდან, პირველი მარშრუტის შემთხვევაში, ფოთელ მეზღვაურებს ავტომანქანით ჯერ მთელი პუნტლენდის, შემდეგ სომალის, ბოლოს კი კენიის ტერიტორიის გავლა უწევთ. ბოსაასოდან ნაირობიმდე 2000 კილომეტრზე მეტია. ამ ტერიტორიაზე ადგილობრივ კლანებს შორის სასტიკი სამოქალაქო ომი მძვინვარებს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიარაღებული ჯგუფები დაძრწიან.

# მღებრიშვილი პირობას დებს, რომ რუსთაველის გამზირზე მიტინგები აღარ გაიმართება

ბელა მახარაძე

პარლამენტის შენობის წინ პერმანენტული მიტინგები, როგორც ჩანს, დამთავრდება. "ზვიადისტების" შეკრებას, უკვე მეორე დღეა, აქტიურად სდევნის პოლიცია და თემურ მღებრიშვილის რაზმი. მათი განცხადებით პოლიციის განყოფილებაში რეკავს უამრავი მოქალაქე, რომლებიც შეწუხებულან მომიტინგეების დაუსრულებელი მოწოდებებით და პოლიციას ზომების მიღებას სთხოვენ.

**"დავალება მომიტინგეების დაშლის შესახებ მივიღეთ პარლამენტის თავმჯდომარისგან და მიხეილ სააკაშვილისგან,"**- აცხადებს ჩვენთან კომენტარში თემურ მღებრიშვილი.

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია მთელი დღის განმავლობაში გარშემორტყმული იყო პოლიციისა და სპეცრაზმელების მანქანებით და მომიტინგეებმა ვერ შეძლეს, დაეკავებინათ "თავიანთი" ადგილი. მაგრამ ისინი შორს არ წასულან, იქვე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და არ იშურებდნენ სალანძღავ სიტყვებს დამრბევების მისამართით. შეძახილები და შეგონებები რომ მოსწყინდათ, "ზვიადისტებმა" ქაშუეთის ეკლესიის წინ გადაინაცვლეს და იქიდან განაგრძეს ვითარების კონტროლი. რა თქმა უნდა, მათ თან გაჰყვა მღებრიშვილიც და ასე იდგნენ ორივე მხარის წარმომადგენლები რამდენიმე საათის განმავლობაში.

ექსპრეზიდენტის ქვრივმა, ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ განაცხადა, რომ თითქმის ათი ადამიანი მათი აქტიური მხარდამჭერებიდან, დაკარგულია, დაშავებულია რამდენიმე, ამასთან დაკავშირებით არჩვაძე-გამსახურდია აცხადებს, რომ აუცილებლად შეიტანს სარჩელს სასამართლოში და არ დატოვებს ამ ფაქტს ყურადღების გარეშე.

საღამოს, ექვსის თხუთმეტ წუთზე თემურ მღებრიშვილმა მოუწოდა აქციის მონაწილეებს, დაშლილიყვნენ: **"თუ არ წახვალთ, ვისარგებლებ პოლიციის კანონის მერვე მუხლის მეორე თავით მონიჭებული უფლებით და იძულებული გავხდები, ძალა გამოვიყენო."** მან მოსაფიქრებლად მომიტინგეებს 15 წუთი მისცა, მაგრამ მუქარამ შედეგი არ გამოიღო და ზუსტად ექვსის ნახევარზე სპეცრაზმის თანამშრომლები შეტევაზე გადავიდნენ. ამის შემდეგ მომიტინგეები ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ, გაძლიერებული დაცვა კი, პარლამენტის შენობასთან, კვლავინდებურად იდგა.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია პოზიციების დათმობას არ აპირებს, თავის მხრივ, არც მღებრიშვილი იძლევა იმის პირობას, რომ თავს დაანებებს მათ და მისცემს **"წყნარად მუშაობის საშუალებას".**

# საარჩევნო ალიანსების ნადირობა ამომრჩეველთა ხმებზე

პირველი გვერდიდან

ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ მოვლენად მიხეილ სააკაშვილისა და ჯუმბერ პატიაშვილის შესაძლო გაერთიანება უნდა მივიჩნიოთ. ამ ორი პოლიტიკოსის ამომრჩეველი, ძირითადად, მოსახლეობის იმ შეჭირვებული ნაწილისაგან შედგება, რომელიც ხელისუფლებისადმი მაქსიმალურად კრიტიკულად არის განწყობილი. ამიტომაც ეს ალიანსი ამომრჩეველთა გაცილებით ფართო ფენას გადაფარავს, ვიდრე ამას ცალცალკე პატიაშვილი ან სააკაშვილი მოახერხებს. მაგრამ მათ მომხრეებშიც არის ისეთი ჯგუფები, რომლებიც წინა პლანზე იდეოლოგიურ მომენტებს აყენებენ. სააკაშვილის შემთხვევაში ეს არის ამომრჩეველთა ის ნაწილი, რომელთათვის პრიორიტეტული დასავლური ღირებულებებია. ამ კატეგორიის ამომრჩევლების ხმები სააკაშვილი-პატიაშვილის მარაგში აშკარად არ აღმოჩნდება. სააკაშვილის დანაკარგის პოტენციურ ადრესატებად კი "გაერთიანებული დემოკრატები" და "ახალი მემარჯვენეები" უნდა მივიჩნიოთ. ზომიერ ამომრჩეველზე ორიენტირებული ამ პარტიებისათვის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "დემოკრატების" კამპანია 115 ლარის შესახებ ამომრჩეველთა უკიდურესად გაჭირვებულ, რადიკალურ ფენებზე იყო გათვლილი. ამ მხრივ "დემოკრატებს" ხელშესახები შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ მუდმივად შეძლებენ მსგავსი საკითხების ინიცირებას, თანაც ისე, რომ თავისი საბაზისო ამომრჩეველი არ დაკარგონ.

სიტუაცია გაცილებით რთული იქნება, თუ სააკაშვილი-პატიაშვილის ტანდემს "გაერთიანებული დემოკრატებიც" დაემატებიან. ამის მთავარი მიზეზი ჟვანიას და პატიაშვილის სრულიად განსხვავებული ელექტორატია. ეს კი იმას გამოიწვევს, რომ ამ ტრიოს არც ჟვანიას პოტენციური ამომრჩევლები დაუჭერენ მხარს და არც პატიაშვილის.

ნაკლებად პრობლემატური იქნება "დემოკრატების" და "ნაციონალური მოძრაობის" გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს ამ შემთხვევაში შეიძლება, მომხრეების მცირე ჯგუფი დააკლდეს, საბოლოო ჯამში შედეგი ორივე მხარისათვის მისაღები იქნება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, "გაერთიანებული დემოკრატებისათვის" ხელსაყრელია როგორც "ნაციონალურ მოძრაობასთან", ასევე სააკაშვილ- პატიაშვილის ალიანსთან გაერთიანება. თავსებადობის კუთხით, საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან "დემოკრატების" და "ახალი მემარჯვენეების" ამომრჩევლებიც, ამიტომაც მათი საარჩევნო ბლოკი შეიძლება საკმაოდ ეფექტური გამოდგეს, მაგრამ არაა გამორიცხული ამომრჩევლების თავსებადობაზე მეტად ლიდერთა თავსებადობის პრობლემამ იჩინოს თავი. იგივეს თქმა შეიძლება `მრეწველების" და "ახლების შესახებაც".

განსხვავებულ მდგომარეობაშია შალვა ნათელაშვილი. თანაპარტიელების განდგომა "ლეიბორისტთა" ლიდერის მუდმივ პრობლემად იქცა. სწორედ ამის გამო ნათელაშვილი ყველანაირი საარჩევნო ბლოკის წინააღმდეგია. თუ სიტუაცია შეიცვალა, "ლეიბორისტებისათვის" ყველაზე მისაღები პარტნიორი ისევ და ისევ პატიაშვილი იქნება. ამ ორი ძალის გაერთიანება მართლაც ძლიერ მემარცხენე ფლანგს შექმნის. თუმცა ცეკა-ს ყოფილი პირველი მდივნის და იუსტიციის ასევე ყოფილი მინისტრის ალიანსი ამ პერსპექტივას ნაკლებ შესაძლებელს ხდის. ეს კი თავის მხრივ ნათელაშვილის პოზიციებს ბევრად ასუსტებს – სააკაშვილი-პატიაშვილის ერთობა, პირველ რიგში, ხმებს სწორედ "ლეიბორისტებს" წაართმევს. შეიძლება შედეგიანი იყოს "ლეიბორისტების" და "აღორძინების" წინასაარჩევნო ბლოკიც, მაგრამ "აღორძინება" ამ ეტაპზე შიდა პრობლემების მოგვარებით უფრო არის დაკავებული, ვიდრე პარტნიორების ძიებით.

რთული სიტუაციაა ე.წ. ზვიადისტებთან დაკავშირებით. დღეისათვის, მიახლოებითაც კი ვერავინ იტყვის, ეს ფენა მოსახლეობის პროცენტულად რა ნაწილს შეადგენს. ერთადერთი შეიძლება ის ითქვას, რომ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა წლების განმავლობაში განუწყვეტლივ მცირდება. ამას ემატება ისიც, რომ თვითონ ზვიადისტებიც არ წარმოადგენენ ერთგვაროვან ამომრჩეველს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1999 წლის არჩევნებზე ამ ფაქტორმა თითქმის ვერ იმუშავა, სავარაუდოდ, "ზვიადისტურ ხმებზე" ნადირობას არანაირი აზრი აღარ ექნება.

რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიცურ პარტიებს, მათ იმდენად მცირე და არაორგანიზებული ამომრჩეველი ჰყავთ, რომ მნიშვნელოვან გავლენას ძალთა გადანაწილებაზე ვერ მოახდენენ. ასეთი პარტიების მთავარი ამოცანა იმ ლოკომოტივის მოძიებაა, რომლებიც მაქსიმალურად ბევრი დეპუტატის გაყვანის საშუალებას მისცემთ.

პოლიტიკურ ძალებში მიმდინარე პროცესები, ალბათ, ზაფხულის ბოლოსთვის მიიღებს დასრულებულ სახეს. მოგებული ის დარჩება, ვინც ზუსტად განსაზღვრავს თავისი ამომრჩევლის ძირითად მახასიათებლებს და პარტნიორებსაც ამის მიხედვით აირჩევს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოპალიშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# რუსეთის პოლიტიკა მხოლოდ მზაკვრობას და უხეშ ზეწოლას ემყარება

*"24 საათის" სტუმრები არიან საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, საქართველოს ელჩი აშშ-ში ლევან მიქელაძე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი და ამავე ფონდის წამყვანი ექსპერტი არჩილ გეგეშიძე.*

ეკა კვესიტაძე
შოთა უტიაშვილი


თედო ჯაფარიძე


ლევან მიქელაძე


ალექსანდრე რონდელი


არჩილ გეგეშიძე

**- კიდევ ერთხელ, როგორ შეიძლება შეფასდეს პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრა. რუსული მედია ამ შეხვედრას რუსეთის პრეზიდენტის გამარჯვებად მიიჩნევს. საქართველოს ხელისუფლება კი აცხადებს, ეს წარმატებული შეხვედრა იყო და ამ ეტაპზე მეტის მიღწევა არ შეიძლებოდაო.**

**თედო ჯაფარიძე:** ჩვენ ვამტკიცებთ იმას, რომ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც შეიმუშავა უშიშროების საბჭომ, ძალაში დარჩა. რაც მთავარია, ჩვენ არც ვაპირებთ უკან დახევას და არ გავუგრძელებთ რუს სამშვიდობოებს მანდატს იმ შემთხვევაში, თუ არ შეწყდება მატარებლის მიმოსვლა და პასპორტების გაცემა.

**- მაგრამ ამ განცხადების პარალელურად შევარდნაძემ ისიც აღნიშნა, რომ გალში ძალიან მძიმე ვითარება შეიძლება შეიქმნას, თუ სამშვიდობოები კონფლიქტის ზონას დატოვებენ; ეს ხომ, ფაქტობრივად, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, პუტინის განცხადება, რომ მზად არის გაიყვანოს სამშვიდობოები, უფრო გამოწვევა იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის.**

**თედო ჯაფარიძე:** მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს არ უთქვამს პრეზიდენტ შევარდნაძეს, პრეზიდენტმა უბრალოდ გაიმეორა ის, რაც განაცხადა ბატონმა პასტუხოვმა და რაზეც მიანიშნა თავის წერილში პრეზიდენტმა პუტინმა - თქვენ შეგიძლიათ, არ გაუგრძელოთ მანდატი სამშვიდობოებს, მაგრამ რაც მოხდება ამის შემდეგ, ჩვენ ამაზე პასუხისმგებლობას ვიხსნითო.

**არჩილ გეგეშიძე:** თუ შეიძლება, ერთ რამეს დავაზუსტებ. მანდატის არგაგრძელება თავისთავად სულაც არ ნიშნავს კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობოების გასვლას. მითუმეტეს, უკვე არსებობს პრეცედენტი, როცა სამშვიდობოებს მანდატი არ გაუგრძელეს, მაგრამ ისინი მაინც რამდენიმე თვეს დარჩნენ აფხაზეთში.

**თედო ჯაფარიძე**: თუმცა, პუტინმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში მას პარლამენტის ზედა პალატასთან იურიდიული ხასიათის პრობლემები შეექმნება. თითქოს პარლამენტი არ მისცემს სამშვიდობოებს კონფლიქტის ზონაში ყოფნის უფლებას, თუ მათ მანდატი არ გაუგრძელდებათ. თუმცა, ეს რამდენად რეალურია, ძნელი სათქმელია.

**არჩილ გეგეშიძე**: მე ეს უფრო გამოგონილი არგუმენტი მგონია. მოდით, ვიფიქროთ, რას მოიგებს და რას წააგებს რუსეთი ჯარების გაყვანის შემთხვევაში. აქედან მათთვის რაიმე სარგებელს ვერ ვხედავ. გაყვანის შემთხვევაში, იმ ფონზე, როცა კონფლიქტი მოგვარებული არ არის, ყველასათვის ნათელი გახდება, რომ რუსმა სამშვიდობოებმა კრახი განიცადეს. ეს კი მის საერთაშორისო ავტორიტეტს ლახავს. გარდა ამისა, თუ ამას მართლა მოჰყვა ის პროვოკაციები, რაზეც რუსი კოლეგები გვაფრთხილებენ, ესეც ხომ რუსეთისთვის არაფრის მომტანი არ არის. ახალი კონფლიქტებისათვის რუსეთი არც მორალურად და არც ფიზიკურად აღარ არის მზად. დრო შეიცვალა. ახლა, როცა ჩეჩნეთის პრობლემა ასეთი სიმწვავით დგას, მას ხელს არ აძლევს სერიოზული კონფლიქტის გაღვივება. თუკი რუს სამშვიდობოებს გასვლა მოუწევთ, ისინი თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვა არ მოხდეს.

**თედო ჯაფარიძე**: გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი საინტერესო მომენტი. რუსებმა კარგად იციან, თუ გავლენ, უკან ვეღარ დაბრუნდებიან. ამით კი ძალიან მძლავრ ბერკეტს კარგავენ, აფხაზეთში მათი სამხედრო ძალების სახით.

**ალექსანდრე რონდელი**: დაგეთანხმებით, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. როდის იყო, ჩვენთან დამოკიდებულებაში რუსები რაიმე ნორმას იცავდნენ. თუ გავლენ, ისევ შემოვლენ. ხელს რა შეუშლით? ისინი შეძლებენ, ყველას დაანახონ, რომ ბარბაროსები ვართ, ჩვენც და აფხაზებიც. რომ ჩვენი ერთად ყოფნა მათი შუამავლობის გარეშე არ შეიძლება და შემდეგ რაღაც ფორმით შემოვლენ; იტყვიან, რომ ეს ჰუმანიტარული ჩარევაა. ბუნებრივია, რუსეთი აფხაზეთში სამართლებრივი ნორმების დაცვით ვერ დაბრუნდება, მაგრამ განა სამართლებრივი ნორმების დაცვით შემოვიდა თავის დროზე?

**ლევან მიქელაძე**: ის, რაც ბატონმა არჩილმა თქვა, რომ რუსეთის ინტერესებში აღარ უნდა შედიოდეს ახალი კონფლიქტების ინსპირირება, აბსოლუტურად გასაგებია და, ერთი შეხედვით, რუსეთიც ამ ლოგიკით უნდა ხელმძღვანელობდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ის, რაც ლოგიკურია, ძალიან ხშირად შორს დგას რუსეთის პოლიტიკისაგან.

მოდით, ასე დავსვათ საკითხი - ჩვენ რა სიკეთეს მოგვიტანს ის ფაქტი, თუ რუსი სამშვიდობოები აფხაზეთიდან გავლენ? ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან ეს იქნება რუსეთისათვის სილის გაწნა და ამით რაღაც უარყოფითი ემოციებისაგან დაცლა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამას ბევრი ნეგატიური შედეგი მოჰყვება.

**არჩილ გეგეშიძე**: იმ შემთხვევაში, თუ ეს რუსს მოუნდება.

**ლევან მიქელაძე**: ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ რუსეთს ეს მოუნდება და გააკეთებს კიდეც?

**არჩილ გეგეშიძე**: მაგრამ რუსეთს ხელს არ აძლევს ამ ვითარებაში აფხაზეთში ახალი დესტაბილიზაციის კერის შექმნა.

**ლევან მიქელაძე:** ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ბევრ ობიექტურ ფაქტორს, ეს რუსეთის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ლოგიკისაგან რუსეთის კავკასიური პოლიტიკა შორს დგას.

**- ბატონო არჩილ, თქვენ ახსენეთ, რომ თუ რუსი სამშვიდობოების მისიამ კრახი განიცადა, ეს მისი საერთაშორისო რეპუტაციის შელახვა იქნება, რასაც რუსეთი უფრთხის. მაგრამ, ისედაც ყველამ იცის, რა როლს ასრულებს რუსეთი აფხაზეთში.**

**რუსებმა კარგად იციან, თუ გავლენ, უკან ვეღარ დაბრუნდებიან. ამით კი ძალიან მძლავრ ბერკეტს კარგავენ, აფხაზეთში მათი სამხედრო ძალების სახით.**

**არჩილ გეგეშიძე**: მართალია, რუსეთის რეპუტაცია აფხაზეთთან მიმართებაში შელახულია, მაგრამ, იგივე გაერო-ს დოკუმენტებში, რუსეთის ძალისხმევა, როგორც შუამავლისა, ყოველთვის დადებითად არის შეფასებული. ოფიციალური კრიტიკა, გაერო მყავს მხედველობაში, რუსეთის სამშვიდობოებთან დაკავშირებით ჯერ არ წამიკითხავს.

**როდის იყო, ჩვენთან დამოკიდებულებაში რუსები რაიმე ნორმას იცავდნენ. თუ გავლენ, ისევ შემოვლენ. ხელს რა შეუშლით? ისინი შეძლებენ, ყველას დაანახონ, რომ ბარბაროსები ვართ, ჩვენც და აფხაზებიც.**

თუ არ ვცდები, გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ჯერ კიდევ 1997 წელს საქართველომ ენერგიულად დასვა სამშვიდობოების ინტერნაციონალიზაციის საკითხი. მაგრამ, იქიდან მოყოლებული, ამ საკითხის მიმართ დასავლეთის უარყოფითი პოზიცია დღემდე არ შეცვლილა. ის ყოველთვის იძლევა რეკომენდაციას, რომ რუსი სამშვიდობოების მანდატი გაგრძელდეს. თუ დასავლეთს

**მოდით, ასე დავსვათ საკითხი - ჩვენ რა სიკეთეს მოგვიტანს ის ფაქტი, თუ რუსი სამშვიდობოები აფხაზეთიდან გავლენ? ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან ეს იქნება რუსეთისათვის სილის გაწნა და ამით რაღაც უარყოფითი ემოციებისაგან დაცლა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამას ბევრი ნეგატიური შედეგი მოჰყვება.**

გული მართლაც რეალურად შესტკივა საქართველოში სტაბილურობაზე, უნდა გააცნობიეროს ისიც, რომ კონფლიქტის ამ ფორმით შენარჩუნება საქართველოში სტაბილურობას მუდმივ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ვინც არ უნდა მოვიდეს შევარდნაძის შემდეგ, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყო მისი ხელისუფლება და როგორც არ უნდა მოგვარდეს სიტუაცია სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, ის ვერ შეძლებს სტაბილურობის უზრუნველყოფას აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის გარეშე. ამას უნდა მიხვდეს დასავლეთი, სანამ გვიან არ არის და სანამ უარყოფით პროცესებს შეუქცევადი ხასიათი არ მიუღიათ. მან რუსეთს მოტივაცია უნდა გაუჩინოს იმისათვის, რომ რუსეთმა რეალურად მოინდომოს ამ კონფლიქტის მოგვარება.

**დასავლეთი ყოველთვის იძლევა რეკომენდაციას, რომ რუსი სამშვიდობოების მანდატი გაგრძელდეს. თუ დასავლეთს გული მართლაც რეალურად შესტკივა საქართველოში სტაბილურობაზე, უნდა გააცნობიეროს ისიც, რომ კონფლიქტის ამ ფორმით შენარჩუნება საქართველოში სტაბილურობას მუდმივ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის.**

**რუსეთმა ძალიან კარგად გათვალა და მოახერხა, რომ ყურადღება აფხაზეთიდან პანკისზე გადაეტანა. დღესაც, როცა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების კონცენტრირება უნდა მომხდარიყო აფხაზეთზე, მოულოდნელად პანკისის თემა ისევ აგორდა.**

**- აშკარაა, მსუბუქი დიპლომატიური მანევრები რუსეთთან არ ჭრის. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ დასავლეთმა სერიოზული ზეწოლა მოახდინოს რუსეთზე ან მოტივაცია გაუჩინოს. მაგრამ, დღევანდელი საერთაშორისო კონიუნქტურიდან გამომდინარე, არსებობს თუ არა იმის მინიმალური შანსი, რომ რუსეთზე ასეთი ზეწოლა განხორციელდება?**

**არჩილ გეგეშიძე:** შარშან მაისში პუტინისა და ბუშის სამიტზე ძალიან სერიოზული დოკუმენტი გაჩნდა, სადაც დაფიქსირდა ამერიკის სურვილი, რუსეთთან ერთად იმუშაოს სამხრეთ კავკასიაში არსებული პრობლემების, პირველ რიგში კი, კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. აქამდე ასეთი რამ დოკუმენტურად არ ყოფილა დაფიქსირებული. შემდეგ ამას მოჰყვა ამერიკის ადმინისტრაციისა და ბრიტანეთის მთავრობის მიერ პირადი წარმომადგენლების დანიშვნა კონფლიქტის მოგვარების საკითხში. მაგრამ, პრაქტიკულად, რეალური წინსვლა ამ მიმართულებით არ მომხდარა.

ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს, ამერიკას როგორღაც გავუჩინოთ მოტივაცია, რათა თავის მხრივ მოტივაცია გაუჩინოს რუსეთს, და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. ეს აუცილებელია, რადგან ადგილობრივი რესურსები კონფლიქტების მოსაგვარებლად არ გვეყოფა. რუსეთთან ერთი-ერთზე ურთიერთობა შედეგს არ მოგვცემს.

რუსეთს არც ის უნდა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი გახდეს, რადგან ეს ძალიან ცუდი მაგალითი იქნება ჩეჩნეთისათვის. ამიტომ თვითონ აფხაზეთში ის განწყობა, რომ რუსეთი მას დამოუკიდებლობის მიღწევაში დაეხმარება, მხოლოდ ილუზიაა. რუსეთისთვის კონფლიქტის "გაყინვაა" ხელსაყრელი, რათა თავისი გავლენის სფეროდან არ გაგვიშვას.

**თედო ჯაფარიძე:** ბუშისა და პუტინის სამიტზე მიღებული დოკუმენტი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. თუმცა, რუსეთში არსებობს სხვა დოკუმენტებიც, რომელთა მიხედვითაც კონფლიქტები უნდა მოგვარდეს, "არარეგიონული ძალის" ჩარევის გარეშე (არარეგიონულ ძალაში, ბუნებრივია, იგულისხმება ამერიკა). და თუ რომელიმე კონფლიქტი მოგვარდა, ეს მხოლოდ რუსეთის საშუალებით უნდა მოხდეს. ამ დოკუმენტების შინაარსი ამერიკის ადმინისტრაციისთვისაც მალე გახდება ცნობილი.

**ლევან მიქელაძე**: ძალიან ხშირად გვესმის საქართველოშიც და საქართველოს გარეთაც, რომ საერთაშორისო კონიუნქტურა ამ ეტაპზე საქართველოს სასარგებლოდ არ მუშაობს. იგულისხმება ის, რომ დღეს მთელი რესურსები ცნობილი კონფლიქტური სიტუაციების აღმოსაფხვრელად არის მიმართული და შედარებით ნაკლები შესაძლებლობაა იმისთვის, რომ მეტი რესურსები დაიხარჯოს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს როდის ყოფილა იდეალური საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ აფხაზეთი ნომერ პირველი პრობლემა გახდება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ყოველთვის იქნება სხვა უფრო დიდი პრობლემა, თუ ერაყი არა, მაშინ კორეა ან სხვა ქვეყანა, რომელიც ე.წ. ბოროტების ღერძთანაა ასოცირებული.

ჩვენგან მეტი აქტიურობაა საჭირო. პირველ რიგში, ჩვენი პოლიტიკის კორექტირება უნდა მოვახდინოთ, ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები ძალინ ხშირად არ არის რეალობის ადექვატური. ბატონმა არჩილმა ახსენა, რომ რუსეთი კონფლიქტის გაყინულ ფაზაში შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ მან ამ კონფლიქტის გალღობა უკვე დაიწყო, ოღონდ თავის სასარგებლოდ. მატარებლის მიმოსვლის აღდგენა თუ პასპორტების დარიგება ამის მაჩვენებელია.

**არჩილ გეგეშიძე**: რუსეთი თამაშობს. ის პერიოდულად პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს აფხაზეთის სასარგებლოდ, ხან სხვადასხვა განცხადებებს აწერს ხელს, სადაც საქართველოს ინტერესებს იცავს. სიტუაცია კი რჩება ერთი და იგივე, 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, რუსეთის სტატუსი არ იცვლება. ამ სტატუსის შენარჩუნებას, სხვადასხვა დიპლომატიური ხრიკებით, ის დღემდე ახერხებს. იმიტომ ახერხებს, რომ ჩვენი ადგილობრივი რესურსი არ არის საკმარისი, წინ აღვუდგეთ მას და სიტუაცია შევცვალოთ. ამაში ბრალი ჩვენც მიგვიძღვის. დღემდე არ გვაქვს ერთიანი წარმოდგენა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს აფხაზეთის კონფლიქტი, რისი შედეგიც არის ჩვენი არათანამიმდევრული პოლიტიკა. რაც მთავარია, თუკი ვინმეს შეუძლია დახმარება, ეს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებია. როგორც წესი, როდესაც ამერიკა მართლა მოინდომებს რამეს და რუსეთზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს, რუსეთი დათმობაზე მიდის.

**ლევან მიქელაძე**: როცა ვლაპარაკობ საქართველოს პოლიტიკის კორექტირებაზე, ჩვენი შიდა პოლიტიკის კორექტირებასაც ვგულისხმობ. მთავარი კორექტირება უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში შეაჩერა საერთაშორისო სამართლის ნორმების მოქმედება. არ ვიცი, რა არის ზუსტი ტერმინი იმის დასახასიათებლად, რასაც რუსეთი აფხაზეთში აკეთებს, არის ეს ანექსია, აბსორბცია, ოკუპაცია თუ სხვა რამ.

რაც შეეხება სამშვიდობოებს. სამშვიდობოები იქ სასათბურე პირობებში არიან, რადგან არავის მიმართ არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. შესანიშნავად ვიცით ისიც, რომ ისინი სხვადასხვა კრიმინალებთან თუ ოფიციალური წრეების წარმომადგენლებთან სხვადასხვა ბიზნესში არიან ჩართულები.

**თედო ჯაფარიძე:** თუნდაც აქედან გამომდინარე, რუსების ინტერესებში შედის კონფლიქტის გაყინვა.

**არჩილ გეგეშიძე:** საქმე ის არის, რომ კონფლიქტის ასეთ ფაზაში ყოფნა სულაც არ აზარალებს არათუ რუსეთის, არამედ დასავლეთის ინტერესებსაც.

**თედო ჯაფარიძე**: თუმცა, ამერიკელები ყოველთვის გვთხოვენ, გავაგებინოთ, რას მოველით ჩვენ მათგან და როგორ შეიძლება ჩაერთონ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. რუსეთმა ძალიან კარგად გათვალა და მოახერხა, რომ ყურადღება აფხაზეთიდან პანკისზე გადაეტანა. დღესაც, როცა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების კონცენტრირება უნდა მომხდარიყო აფხაზეთზე, მოულოდნელად პანკისის თემა ისევ აგორდა

**ალექსანდრე რონდელი:** ეს ყველაფერი, პრინციპში, დეტალებია. მთავარი, ვფიქრობ, სხვა რამაა. რუსეთი მტაცებელია, რომლის მოშინაურება მხოლოდ ძალით შეიძლება. ჩვენთთან მიმართებაში მისი მოშინაურება დასავლეთს არ უცდია, მაშინ როცა ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში იგი მოაშინაურეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა ვერ ისწავლა ურთიერთობა პატარა მეზობლებთან, მან მხოლოდ დომინირება ისწავლა.

ჩვენც ბევრს არაფერს ვაკეთებთ, რომ სხვანაირად მოგვექცნენ. ვინ სცემს პატივს ისეთ ქვეყანას, სადაც კაცს შეუძლია, ერთ მშვენიერ დღეს სადენები ჩამოწყვიტოს და მთელი საქართველო უშუქოდ დატოვოს და იმ კაცს პასუხს არავინ აგებინებს?

სანამ საკუთარი სახელმწიფოს პატივისცემას არ ვისწავლით, სხვაც არავინ გვცემს პატივს.

**არჩილ გეგეშიძე:** ბალტიისპირეთთან მიმართებაში როგორ მოაშინაურეს?

**ლევან მიქელაძე**: ბალტიისპირეთმა თვითონ მოინდომა.

**ალექსანდრე რონდელი:** ჩვენ ეს ვერ შევძელით, რადგან ამის რესურსები არა გვაქვს. ამიტომ საქართველოში იმას აკეთებენ, რაც გასდით. რაც შეეხება აფხაზეთს, ცხადია, ის მხოლოდ ბერკეტი არ არის, რითაც ჩვენზე ზემოქმედებას მოახდენენ. თუ გაუვათ, ბუნებრივია, აფხაზეთსაც მიიერთებენ.

**თედო ჯაფარიძე:** ჩვენ რომ რუსეთის ადგილას ვიყოთ, არ გავაკეთებდით იგივეს? როცა რუსეთს ურთიერთობა აქვს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ის სხვანაირად იქცევა. მაგრამ როცა შინაგანად დასუსტებულ საქართველოს ხედავს, ბუნებრივია, მისი დაჩაგვრის სურვილი უჩნდება.

**- თუ რუსეთმა შეძლო და შექმნა პანკისი, ჩვენ რატომ ვერ შევძელით, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ბუმის დროს, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება აფხაზეთისაკენ მიგვემართა. მაშინ როცა, გავრცელებული თეორიაა, რომ ტერორიზმის ნოყიერ ნიადაგს სეპარატიზმი წარმოადგენს?**

**თედო ჯაფარიძე**: რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო. უნდა ყოფილიყო კომპლექსური გეგმა აფხაზეთთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ჩვენ მხოლოდ ვრეაგირებთ სხვების მიერ შექმნილ პოლიტიკაზე და პოლიტიკას თავად არ ვქმნით.

**არჩილ გეგეშიძე:** მაგალითად, ივნისში რუსები აპირებენ აეროპორტის გახსნას აფხაზეთში. ისევ პოსტ-ფაქტუმ უნდა ავტეხოთ ამაზე აჟიოტაჟი?

**თედო ჯაფარიძე:** ჩვენ პროგნოზები უნდა გავაკეთოთ და დღეიდანვე უნდა დავიწყოთ საპასუხო ნაბიჯებისათვის მზადება. ეს აუცილებელია, თუ გვინდა, რომ რამეს მივაღწიოთ.

**- რატომ არის წინააღმდეგი ყოველთვის გაერო და სახელმწიფო დეპარტამენტი, რომ რუს სამშვიდობოებს მანდატი არ გაუგრძელდეთ?**

**თედო ჯაფარიძე**: ჩემთან საუბრისას, სახელმწიფო დეპარტამენტში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ თუ ეს მოხდა, საქართველოს არ შესწევს ძალა, რომ იმ პროცესებს გაუმკლავდეს, რაც აფხაზეთში განვითარდება. ხოლო ამერიკელებს არა აქვთ საკმარისი დრო, რომ სათანადო ყურადღება მოგვაქციონ.

**არჩილ გეგეშიძე:** 1997 წლიდან მოყოლებული, მათ ვერ მოიცალეს ჩვენთვის. ჩვენ ვერ მოვხვდით მათი პრიორიტეტების სიაში. როგორ შეიძლება, რომ ჟენევის მოლაპარაკების პროცესი იყოს ინტერნაციონალიზებული, სამშვიდობო ძალები კი - მონოპოლიზირებული რუსეთის მიერ. რა უშლის ხელს იმას, რომ აფხაზეთში რომელიმე ქვეყნის სამშვიდობოები ჩადგნენ? არ არის აუცილებელი, რომ მათ მაინცდამაინც გაერო-ს წესდების მე-7 თავის ფუნქციები აიღონ. მე-6 თავის ფუნქციების, ანუ მშვიდობის შენარჩუნების მანდატის შესრულებაც საკმარისი იქნება.

**თედო ჯაფარიძე:** იგივე მე-7 თავში, გარდა ძალის გამოყენებით მშვიდობის დამყარებისა, არის სხვა ძალიან საინტერესო ელემენტები და ჩვენ ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები უკვე უნდა დავიწყოთ. პირველი რეაქცია გაერო-ში, ბუნებრივია, უარყოფითი იქნება, შეიძლება ჩვენს ამ ინიციატივას ირონიითაც შეხვდნენ, მაგრამ, დიპლომატიაც სწორედ ეს არის, რომ მუშაობა დაიწყო, იმუშაო, იმუშაო და ბოლოსდაბოლოს შედეგს მიაღწიო.

**- რა შეიძლება მოხდეს ამ ყბადაღებული ორკვირიანი ვადის დასრულების შემდეგ. დიდი შანსია იმისა, რომ რუსები არც ერთი ამ პირობის შესრულებაზე არ დათანხმდებიან. ანუ არც რკინიგზის მიმოსვლა შეაჩერებენ და არც პასპორტების დარიგებას შეწყვეტენ. როგორი იქნება ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება?**

**თედო ჯაფარიძე:** ამასთან დაკავშირებით შემიძლია ჩემი პირადი აზრი მოგახსენოთ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უშიშროების საბჭო იდენტურ გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ ეს პირობები რუსებმა არ შეასრულეს, მე ხმას არ მივცემ სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელებას.

**- მაგრამ თქვენ, როგორც ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანი და ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა ხელისუფლებაში, მზად ხართ იმისათვის, რომ რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის ზონიდან გავიდნენ?**

**თედო ჯაფარიძე:** დღეს არა ვარ მზად. მაგრამ ჩვენ დღეიდან უნდა დავიწყოთ მზადება იმისათვის, რომ გაჩნდეს ალტერნატიული ვარიანტი. სწორედ ამ ალტერნატივის არარსებობის გამო იკავებს საერთაშორისო თანამეგობრობა თავს იმისგან, რომ მოწონებით შეხვდეს კონფლიქტის ზონიდან რუსების გასვლას. მაგრამ, რა თქმა უნდა, როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები და რის გაკეთებას შევძლებთ, ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერი იქნება ქვეყანა შიგნიდან.

**ლევან მიქელაძე**: ამის წამალი ძლიერი სახელმწიფოს შექმნაა.

**არჩილ გეგეშიძე:** რუსეთის გასვლის შემდეგ, თავად აფხაზებიც იქნებიან დაინტერესებული, რომ რუსების ადგილი საერთაშორისო სამშვიდობო ძალებმა დაიკავონ. გარდა ამისა, ამით

გაგრძელება A8 გვერდზე

# სახელმწიფო წარმოებაში ინვესტიციებს ამცირებს

*მიმდინარე წლის ბიუჯეტში ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს პროექტებისთვის 8,5 მილიონი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა გათვალისწინებულია, როგორც საწარმოების მიერ აღებული საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებისთვის, ასევე სხვა პროექტებისთვისაც. მიმდინარე წლიდან სააგენტო სუბვენციის პროგრამის გახორციელების დაწყებასაც აპირებს.*

სოფიკო ოხანაშვილი

ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ მოქმედება 2002 წლის 2 სექტემბერს დაიწყო. ის ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ – საქართველოს წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდიდან ფინანსდება. წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდი პროექტების ხელშეწყობას სამი პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს. ესენია: საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება, კრედიტის გამცემი ბანკების წინაშე კრედიტის ამღებ საწარმოთა თავდებობის პროგრამა და სუბვენცია, ანუ წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე პერსპექტიული პროექტის მხარდასაჭერად თანხის გრანტად გაცემა. გასულ წელს საქართველოს 2002 წლის "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის თანახმად, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციონირება მხოლოდ საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებით შემოიფარგლა და ამის გათვალისწინებით, საქართველოს წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდის მოცულობა 11 მილიონი ლარით განისაზღვრა.

საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პროექტის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის ოთხი სხდომის შედეგად, 15 საწარმოს მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან რვამ გაიმარჯვა. ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის ვაჟა კაპანაძის განცხადებით, მათ მიერ დაფინანსებული რვა პროექტიდან ექვსი საქართველოს რეგიონებში ხორციელდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ექვსი პროექტის ფარგლებში საექსპორტო პროდუქციის წარმოებაა გათვალისწინებული. ქვანახშირის ღია კარიერული წესით მოპოვება, ტყავის გადამუშავება, ღვინის წარმოება, თხილის გადამუშავება, ცქრიალა და შუშხუნა ღვინის წარმოება, რძის პროდუქტების წარმოება, ელექტროტექნიკური დანადგარებისა და აღჭურვილობის წარმოება რკინიგზისთვის, ცემენტის დასამზადებლად საჭირო ნივთიერების "კლინკერის" წარმოება, ნავთობსახდელი პროდუქტების წარმოება – ეს ის დარგებია, რომლებშიც გამარჯვებული საწარმოები მუშაობენ. სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, ყველაზე მაღალგანაკვეთიან სესხს ის პროექტები მიიღებენ, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში განხორციელდება.

კაპანაძემ საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პროგრამის მოსალოდნელ დადებით შედეგებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ექსპერტული შეფასებებით, პროექტების წარმატებულობა უზრუნველყოფს საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვის 12, შრომის ანაზღაურების 18, ხოლო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის - 37 პროცენტით მატებას, ასევე მოსალოდნელია გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების 4,8 პროცენტით შემცირება. სააგენტოს ხელმძღვანელის ინფორმაციით, პროგრამა ხელს შეუწყობს საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის გადაჭრასაც. კაპანაძის თქმით, სააგენტოს პროექტების განხორციელებით სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევა ორი წლის განმავლობაშია მოსალოდნელი.

# თაღლითი "ქსეროქსი"

*აუდიტორთა დიდი ხუთეული იშლება. აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიამ თაღლითობაში დაადანაშაულა ცნობილი აუდიტორული ფირმა "კეიპიემჯი." ამ უკანასკნელს კომპანია "ქსეროქსისათვის" წაგებათა დაფარვის ხელშეწყობაში ედება ბრალი. მოკლედ, ამას ისეთივე სუნი უდის, როგორიც უდიოდა "ანდერსენისა" და "ენრონის" საქმეს. რით დასრულდა, ეს უკანასკნელი, ყველას კარგად მოეხსენება - "ენრონი", ასე თუ ისე, აგრძელებს არსებობას და საქმიანობასაც კი. ხოლო "ანდერსენი," რომელმაც "ენრონს" წაგებათა დაფარვაში ხელი შეუწყო, პრაქტიკულად აღარ არსებობს. ერთ დროს ის აუდიტორულ კომპანიათა იმ "დიდ ხუთეულში" შედიოდა, სადაც ჯერჯერობით "კეიპიემჯიც" არის.*

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიის განცხადებით, თაღლითობას 1997-2000 წლებში ჰქონდა ადგილი. "კეიპიემჯის" ხელშეწყობით "ქსეროქსმა" მოახერხა 6 მილიარდით შეეკვეცა თავის ხარჯთაღრიცხვებში წაგების მაჩვენებელი. ეს მანევრი კომისიას შეუმჩნეველი არ დარჩენია და შარშან აპრილში "ქსეროქსი" იძულებული გახდა 10 მილიონი დოლარის ოდენობით ჯარიმა გადაეხადა თაღლითობის სანაცვლოდ. ბუნებრივია, რომ კომისია იქვე დაინტერესდა რამდენად იყო ამ თაღლითობის თაობაზე ინფორმირებული "კეიპიემჯი" და საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუდიტორული ფირმა ხელს უწყობდა "ქსეროქსს" წაგებათა დაფარვაში.

ცხადია, "კეიპიემჯიმ" ყველაფერი უარყო. ფირმის განცხადებით, კომისიის მხრიდან მსგავსი ბრალდების მიზეზი **"ის დაძაბული ვითარებაა, რომელიც ამჟამად საქმიან სამყაროში სუფევს."** მოკლედ, ფირმამ ფასიანი ქაღალდების კომისია ლამის კუდიანებზე ახალი ნადირობის გაჩაღებაში დაადანაშაულა. ოღონდ, თუკი ადრე ამ კუდიანთა როლებში კომუნისტები გამოდიოდნენ, ახლა ეს კანონის დამრღვევი კომპანიებია. "კეიპიემჯიმ" განაცხადა, რომ ეს სკანდალი არანაირ გავლენას არ მოახდენს მის საქმიანობაზე და ფირმა ძველებურად მოემსახურება თავის კლიენტებს. თუმცა, აი საკითხავია, კლიენტები ფირმას ძველებურად თუ ეყოლება. ფასიანი ქაღალდების კომისია "კეიპიემჯისგან" დაჟინებით ითხოვს, ამ უკანასკნელმა აღიაროს, თუ რამდენი ჩაიჯიბა "ქსეროქსისაგან" ზარალის დაფარვაში ხელის შეწყობის სანაცვლოდ, რამაც მაშინ ეს კომპანია გაკოტრებას გადაარჩინა (ზარალის დაფარვის წყალობით "ქსეროქსის" აქციები არ დაცემულა და კომპანია კრიზისიდან გამოძვრა). თუკი "კეიპიემჯიმ" სიმართლის დამტკიცება ვერ შეძლო, ეს კრახი იქნება არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთელი აუდიტორული სამყაროსათვის. "ანდერსენი", ფაქტობრივად, აღარ არსებობს, ახლა დღის წესრიგში "კეიპიემჯის" გაქრობაა. აუდიტორულ ბიზნესში კონკურენციის შესუსტებაც რომ თავი დავანებოთ, ვიღა დარჩება საერთოდ ამ საქმეში?

## მოკლედ

**თბილისი.** საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მომავალი კვირიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) თბილისში საჯარო განხილვებს იწყებს. ელექტროენერგიის ტარიფის საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეებს კომისია მარშალ გელოვანის N2-ში, სააქციო საზოგადოება "პონტოელის" დარბაზში ეპატიჟება. პირველი განხილვა 6 თებერვალსაა დაგეგმილი. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი აღდგა. შაბათს, საღამოს ჩაირთო ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი" და საქართველოს ენერგოსისტემა 220 მგვტ ელექტროენერგიას იღებს. გრძელდება იმპორტი სომხეთიდან. ადგილობრივი გენერაცია 800 მეგავატია. როგორც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რუსეთიდან იმპორტი იძლევა იმის საშუალებას, თბილისმა ელექტროენერგია 24-საათის განმავლობაში მიიღოს. მიუხედავად ამისა, თბილისში კვლავაც მოქმედებს გრაფიკი, იმ უბნებშიც კი, სადაც მაღალია გადახდის მაჩვენებელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1200 მმ მაგისტრალურ გაზსადენზე სარემონტო სამუშაოები 1 მარტამდე გაგრძელდება. ***კავკას-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანული კომპანია "ლოგომარის" გემი "სანკო სამიტი" ბათუმში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო მილების მორიგი პარტიით შაბათს შემოვიდა. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ცნობით, გუშინ ნავთობსადენის ქართული მონაკვეთის მშენებლობისათვის 1292 ცალი მილი ჩამოვიდა. ***კავკას-პრესი***

■ ■ ■

**მოსკოვი.** აშშ, ევროსაბჭო, ავსტრალია და საქართველო სახელდებიან იმ ქვეყნების რიცხვში, ვინც უკმაყოფილოა ხორცის იმპორტზე რუსეთის შეზღუდვებით, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაერთიანებაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-თურქეთის ერთობლივ ენერგეტიკულ პროექტებს თურქეთი დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმს შეუქმნის. ამის პირობა თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა ჰალმი გულარიმ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ დავით მირცხულავასთან გამართულ შეხვედრაზე დადო. ორი ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრებმა განიხილეს საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტისა და ტრანზიტის სამცხე-ჯავახეთში, ფარავნის ტბაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ქობულეთი-ხოფას გაზსადენის აღდგენის საკითხები. გარდა ამისა, საუბარი შეეხო აზერბაიჯანი-რუსეთი-საქართველო-თურქეთის მიმართულებით მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხს. **მედია-ნიუსი**

# უვარგისი საგადასახადო სისტემა - შეუსრულებელი ბიუჯეტი

## და კორუფციის ნოყიერი ნიადაგი

პირველი გვერდიდან

მაია ურუშაძე



ლევან ჩრდილელი



გიორგი ისაკაძე

ქვეყანაში, სადაც საგადასახადო სისტემა მოუწესრიგებელია, ბიუჯეტის შესრულება ჭირს – ეს აქსიომაა. სხვათა შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციაც საგადასახადო კოდექსის გამარტივებას ითვალისწინებს. **"ცუდი საგადასახადო კოდექსი ცუდად შესრულებად ბიუჯეტს ნიშნავს. რეალურად, ეს არის დაუხვეწავი ურთიერთობა ადმინისტრაციასა და მეწარმეებს შორის. შედეგად კი - ყადაღები, ანგარიშების გაყინვა, რაც ხშირ მოვლენად იქცა,"** – მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე. მისი განმარტებით, გადასახადები უნდა გამარტივდეს, ხოლო ნაკლებად შემოსავლიანი საგადასახადო განაკვეთები – საერთოდ გაუქმდეს. **"ბიუჯეტისთვის რაც უფრო მეტი სახეობის არაფრის მომტანი გადასახადი გაუქმდება, მით უფრო გამარტივდება საგადასახადო კოდექსი და ბიუჯეტიც უფრო შემოსავლიანი გახდება,"** – აცხადებს ისაკაძე.

მისი აზრით, **"პირველი, რამაც საბოლოო ნირი დაუკარგა ამჟამინდელ საგადასახადო კოდექსს, არის უამრავი შესწორებები, რომლებიც მეწარმისთვის ცნობილი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ახალი განაკვეთების გადახდის აუცილებლობის საკითხი წამოიწევს. იმის თქმა, რომ ამ შესწორებების მიღმა ანგარება არ დგას, არ იქნება მართალი."** ისაკაძე მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსი არ არის მარტივი და გასაგები მეწარმისთვის. **"ჩვენი საგადასახადო კოდექსი, ხშირ შემთხვევაში, იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას. ეს არის მეტად ნოყიერი ნიადაგი კორუფციული გარიგებებისათვის,"** – აცხადებს ისაკაძე. მისი აზრით, საჭიროა შეიცვალოს მთელი რიგი საგადასახადო განაკვეთებიც. ისაკაძე პრობლემად მიიჩნევს, რომ ჩვენი საგადასახადო სისტემა და დაბეგვრის რეჟიმი დღეს მხოლოდ ერთი სახის – დამატებული ღირებულების გადასახადზეა ორიენტირებული. **"დღგ მაღალია, თან, მასზე ორიენტაცია, გარკვეულწილად, აკნინებს სხვა გადასახადების მიმართ დამოკიდებულებას,** – დასძენს ისაკაძე, **- არსებობს მოგების, საშემოსავლო გადასახადი, რომლის კორექტირებაც სტიმულს მისცემდა ფირმებს, რეალური მოგება ეჩვენებინათ და გადასახადიც გადაეხადათ."**

საქართველოს გადამხდელთა კავშირის მცირე ბიზნესის საბჭოს თავმჯდომარე მერაბ მჭედლიძე ეთანხმება აზრს, რომ **"საგადასახადო კოდექსი მოუქნელია და შესწორებას საჭიროებს."** ის არ არის ლიბერალიზების მომხრე, მაგრამ ფიქრობს, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს კოდექსის გადამუშავება. **"საჭიროა მოგების გადასახადის დიფერენცირება, უნდა აღმოიფხვრას ორმაგი დაბეგვრა, მეწარმესა და ინსპექტორს შორის ურთიერთობა გარკვეული უნდა იყოს, უნდა შეიცვალოს დამატებული ღირებულების გადასახადის ტარიფიც,"** – აცახდებს ის.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო კანონმდებლობის კომისიის თავმჯდომარე გურამ გიორგაძე კი კოდექსის ძირითად ნაკლოვანებად ადმინისტრირების წესის არასრულფასოვნებას ასახელებს. **"განსაკუთრებით აქტუალურია დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული პრობლემა. ინსპექტორები მეწარმეებს ორჯერ არიცხავენ ამ გადასახადს. 2002 წელს არასწორი დარიცხვის 120 ფაქტი გამოვლინდა, სასამართლოში შეტანილი 79 სარჩელიდან კი 75 უკვე მოგებულია მეწარმეთა მიერ,"** - გვაცნობა გურამ გიორგაძემ. ის მიიჩნევს, რომ საქართველოში ადმინისტრირების წესია არასწორი, რის გამოც ბიუჯეტის შემოსავლები იკლებს. **"ჩვენი მოთხოვნით, აუცილებელი და გადაუდებელია საშემოსავლო გადასახადის პროგრესულ-რეგრესული სისტემის დაწესება. როდესაც შემოსავლები გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, გადასახადმა უნდა დაიკლოს. ეს საშუალებას მოგვცემს, მეწარმემ არ დამალოს თავისი შემოსავალი,"** - აცხადებს გიორგაძე. ახალგაზრდა ფინანსისტები მოგების გადასახადის დიფერენციაციის წინადადებით გამოსვლას გეგმავენ. მათი აზრით, მეწარმეები, რომელთა შემოსავალიც 2000 დოლარს არ აჭარბებს, არა 20-პროცენტიანი, არამედ შედარებით დაბალი – 15-პროცენტიანი განაკვეთით უნდა დაიბეგრონ. **"მცირე ბიზნესისთვის ყველა სახელმწიფოში არსებობს ხელშეწყობა და ამისთვის შესაბამისი ფონდებიცაა გამოყოფილი. საქართველოში კი ეს არ ხდება,"** – აღნიშნავს გიორგაძე.

როგორც "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრი კახა დამენია მიიჩნევს: **"საბოლოო ჯამში, არა მხოლოდ კოდექსი, არამედ მთლიანად საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა უფრო დიდი პრობლემაა. ბიუჯეტის შევსების უმთავრესი წყარო საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაა და ამ სისტემის გაუმართაობა იწვევს საბიუჯეტო პრობლემასაც."** დამენიას აზრით, საგადასახადო პოლიტიკა და ადმინისტრირება ერთად უნდა შეიცვალოს. **"გადამხდელსა და ინსპექტორს შორის ისეთი ურთიერთობაა ჩამოყალიბებული, რომ მათ საერთოდ არ სჭირდებათ კოდექსი: შეთანხმებულნი არიან - თვეში ამდენი და მორჩა. ამაში თავისი წვლილი მიუძღვის კოდექსსაც, ადმინისტრირებასაც და საზოგადოების შეგნებასაც,"** – აცხადებს დამენია.

მოსაზრებას, რომ საგადასახადო კოდექსი მოუქნელი და სასწრაფოდ შესაცვლელია, მთავრობაც იზიარებს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ლევან ჩრდილელის აზრით, **"რაც მეტი ცვლილება შედის კოდექსში, მით უარესია გადამხდელისთვის. ბოლო სამ-ოთხ წელიწადში კი, მასში 200-ზე მეტი ცვლილებაა შესული. არის მუხლები, რომლებიც სამჯერ გაუქმდა და სამჯერ თავიდან შევიდა ძალაში."** მისი განცხადებით, ახალი კოდექსის დაწერისას მთავარია, რომ საგადასახადო განაკვეთები შემცირდეს. **"ეს უნდა იყოს სრულიად ახალი კოდექსი, რომელიც გადამხდელისთვის ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტის როლს შეასრულებს,"** – აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. მისი თქმით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ **"დღეს საგადასახადო კოდექსის გარდამავალი დებულებები უფრო დიდია, ვიდრე მთელი დანარჩენი კოდექსი. ამაში კი ბრალი ცალკე საკანონმდებლო, ცალკე აღმასრულებელ ხელისუფლებას მიუძღვის. სამწუხაროდ, არც ახალი კოდექსია დაზღვეული ამ ცვლილებებისგან. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ის დაცული უნდა იყოს. ბიუჯეტში ცვლილებების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ პრეზიდენტს, ასევე უნდა იყოს კოდექსიც,"** – მიიჩნევს ჩრდილელი. მისი განცხადებით, ამ ცვლილებების მოთხოვნით ძალიან ხშირად გამოდის საკანონმდებლო ხელისუფლება, რაც მთავრობისთვის ხელისშემშლელია და პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებას აიძულებს. **"ძნელია, პარლამენტს მუდმივად ვეტოს ენით ესაუბრო,"** – დასძენს იგი.

მაგრამ კოდექსის შეცვლის პროცესს ერთი უარყოფითი მხარეც ახლავს. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, ძველი საგადასახადო კოდექსიდან ახალზე გადასვლის პერიოდი ბიუჯეტისთვის უმძიმესი იქნება. **"ამ დროს ქვეყანამ უნდა გააგრძელოს მუშაობა და ხარჯების გაწევა, ბიუჯეტმა კი არ უნდა იზარალოს,"** – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი კი მიიჩნევს, რომ **"საჭიროა გაკეთდეს ისეთი კოდექსი, რომელიც თავად გაითვალისწინებს გარდამავალ პერიოდს. უნდა იყოს საშუალება, რომ ახალი ბიუჯეტი ახალი კოდექსის მიხედვით დაიგეგმოს, რადგან წელიწადის შუა პერიოდში ნებისმიერი საგადასახადო ცვლილება ბიუჯეტის შესრულებისას უამრავ პრობლემას იწვევს."**

# "ბრიტიშ აეროსპეისი" ორ ავიამზიდს ააგებს

თორნიკე შარაშენიძე

"ბრიტიშ აეროსპეისმა" 4,8 მილიარდ დოლარიან კონტრაქტს გამოჰკრა ხელი. ბრიტანეთის მთავრობისგან მიღებული ამ თანხის სანაცვლოდ კომპანიამ ორი ავიამზიდი უნდა შექმნას მისი უდიდებულესობის ფლოტისათვის. "ბრიტიშ აეროსპეისს" ამ საქმეში მისი ფრანგული კონკურენტი "ტალესიც" დაეხმარება. თუმცა, სამუშაო მაინც ბრიტანეთში ჩატარდება, სადაც საბოლოო ჯამში 12 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. კონტრაქტორები დაამზადებენ 60 ათას ტონიან, სიგრძეში 289 მეტრიან ავიამზიდებს, რომელთა დარიც ბრიტანეთის ფლოტს ჯერ არ ჰყოლია. თითო მათგანი 2,4 მილიარდი ჯდება, ისინი "როლს-როისის" ძრავებზე იმუშავებენ. მათ შემდგომ შენახვაზე თავდაცვის სამინისტროს კიდევ ათეულობით მილიარდი დაეხარჯება. სამინისტროსათვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

ზოგიერთ სპეციალისტს ის ფაქტი აშინებს, რომ ფრანგულ და ბრიტანულ კომპანიებს ერთად მოუწევთ მუშაობა და, შეიძლება, სხვადასხვა ინტერესების შეჯახებამ საქმეს ავნოს. თუმცა, ვნახოთ.

**ექსპლოატაციის ტექნიკოსი**

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

**ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):**

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

**კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.**

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**
**კანდიდატს უნდა გააჩნდეს:**

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# შატლის კატასტროფა და პასუხგაუცემელი კითხვები

პირველი გვერდიდან

"კოლუმბია" ამერიკული ფლოტის ყველაზე ძველი ხომალდი იყო. შატლი (კოსმოსური ხომალდი) თავის 28-ე მისიას ასრულებდა მას შემდეგ, რაც 1981 წელს პირველი გაფრენა განახორციელა. კოლუმბიას 1999 წელს საფუძვლიანი რემონტი ჩაუტარეს და ის კოსმოსში მხოლოდ გასული წლის მარტში გაუშვეს.

"კოლუმბიის" აფეთქება ამერიკის ისტორიაში მეორე შემთხვევაა. 17 წლის წინათ, 1986 წლის 28 იანვარს, კოსმოსური ხომალდი "ჩელენჯერი" აფეთქდა. მაშინ ექვსი ასტრონავტი და ერთი - სკოლის მასწავლებელი კრისტა მაკოლიფი დაიღუპა. არადა, ექვსი კვირის წინ ნასა-მ განაცხადა, რომ 1986 წელს "ჩელენჯერის" ჩამოგდების შემდეგ, ბარბარა მორგანი პირველი მასწავლებელი იქნება, ვინც კოსმოსში შატლ "კოლუმბიით" გაემგზავრება მომავალი წლის 13 ნოემბერს.

ხომალდის აფეთქების შედეგად, ტეხასისა და მეზობელი შტატების ტერიტორიაზე ტოქსიკური ნარჩენები გაიფანტა და ამერიკის ხელისუფლება შიშობს, რომ შესაძლოა, მოსახლეობა მოიწამლოს.

შატლის ჩამოვარდნისას, სულ მცირე, რვა ადამიანმა მიიღო მძიმე დაზიანება. ამავდროულად, ნასამ საგანგებოდ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ ხომალდის ნამსხვრევებს ხელი არ ახლონ. ამის მიუხედავად, გამოჩნდნენ მსურველები, რომლებიც მზად არიან, აფეთქებული ხომალდის ნამსხვრევებში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადონ და ვებგვერდებზე სპეციალური განცხადებებიც კი გაჩნდა.

გუშინ ამერიკელმა ექსპერტებმა ასტრონავტების სხეულის ნაწილები იპოვეს. გამომძიებლები მათი დნმ-ს ანალიზს გეგმავენ.

ფლორიდაში, კენედის კოსმოსურ ცენტრში მოწყობილ საგანგებო პრეს-კონფერენციაზე, ნასა-ს ადმინისტრატორმა განაცხადა, რომ აფეთქებისთანავე დაუკავშირდა პრეზიდენტ ბუშსა და ტერიტორიული უსაფრთხოების სამსახურის დირექტორს ტომ რიჯს.

**"კოლუმბია" დაიღუპა. არავინ არ გადარჩენილა,** - განაცხადა ხომალდის აფეთქებიდან რამდენიმე საათში დამწუხრებულმა პრეზიდენტმა ბუშმა "სი-ენ-ენით" გამოსვლისას, - **ამ ასტრონავტებმა იცოდნენ მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე, მაგრამ ისინი ამას არ შეუპუებიან, რადგან სწამდათ, რომ მათ ღირსეული მიზანი ჰქონდათ ცხოვრებაში".**

პრეზიდენტმა "კოლუმბიის" დაღუპული ეკიპაჟის ხსოვნის პატივსაცემად მთელ ქვეყანაში ფედერალურ შენობებზე დროშების სანახევროდ ჩამოწევა ბრძანა. მას, ფაქტობრივად, ყველა გუბერნატორმა მიბაძა.

**"მთელი ერი თქვენთან ერთად გლოვობს",** - მიმართა ბუშმა დაღუპული ასტრონავტების ოჯახებს. თუმცა, იქვე დასძინა, რომ კოსმოსური პროგრამები მომავალში კვლავაც გაგრძელდება.

ამერიკის კოსმოსური სააგენტოს (ნასა) განცხადებით, მათ დაუყოვნებლივ დაიწყეს აფეთქების მიზეზების გამოკვლევა, მაგრამ ჯერჯერობით აფეთქების მიზეზის დასახელება ნაადრევია.

ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გამოძიებას აწარმოებს სამი უწყება – ნასა-ს სპეციალისტები, აშშ-ს კონგრესი და მთავრობის მიერ შექმნილი საგანგებო კომისია.

ნასა-ს ექსპერტების განცხადებით, ყველაზე სახიფათო მომენტებს ხომალდის აფრენა და ატმოსფეროში შემოსვლა წარმოადგენს. ამერიკის კოსმონავტიკის 42-წლიან ისტორიაში შატლის დაშვებისას არ მომხდარა არცერთი უბედური შემთხვევა. "ჩელენჯერი" აფრენისას აფეთქდა.

ჰიუსტონში, ჯონსონის კოსმოსურ ცენტრში, ნასა-ს მაღალი თანამდებობის პირმა აღნიშნა, რომ კატასტროფამდე რამდენიმე წუთით ადრე ხომალდის მარცხენა ნაწილთან კავშირი გაწყდა.

**"დაშვებისას პრობლემა ხომალდის მარცხენა მხარეს გაჩნდა. კავშირი ტემპერატურის სენსორებთან გაწყდა",** - აღნიშნა რონ დიტემორმა.

"კოლუმბიას" პრობლემები მარცხენა მხარეს, ავზთან გაშვებისთანავე შეექმნა. ნასა-ს სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ დაზიანება უმნიშვნელო იყო, მაგრამ გუშინ აფეთქებამდე შეფერხება ისევ მარცხენა მხარეს წარმოიქმნა.

აღსანიშნავია, რომ გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე მაკონტროლებლებმა წყლის გამანაწილებელ სისტემაში ელექტროგაყვანილობის დაზიანება შენიშნეს. მოგვიანებით მათ სისტემის მთლიანი დაკეტვა მოუხდათ, რადგან წყალმა გაჟონა. მაგრამ ეს სერიოზულ გართულებად არავის ჩაუთვლია. ახლა ექსპერტების მიერ დაახლოებით 3000-მდე ტექნიკური სახის დარღვევა არის აღმოჩენილი. გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხებს დაწვრილებით შეისწავლიან.


კოსმოსში ყველაფერი კარგად იყო...
REUTERS

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ექსპერტი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ აფრთხილებდა ნასა-ს ხელმძღვანელობას, რომ შატლის პროგრამა კატასტროფით დასრულდებოდა. ნასა-მ ტრაგედიის მოხდენისთანავე შეაჩერა პროგრამა მანამ, სანამ გამოძიება არ დასრულდება.

**"ჩვენ მანამდე არ გავაგზავნით ახალ მისიას, ვიდრე აფეთქების მიზეზებს ბოლომდე არ გამოვიკვლევთ",** - განაცხადა რონ დიტემორმა პრეს-კონფერენციაზე.

ნასა-ს, 1980-იანი წლების შემდეგ, როდესაც "ჩელენჯერი" ჩამოვარდა და გიგანტურ კოსმოსურ ტელესკოპ "ჰაბლის" მუშაობას პრობლემები შეექმნა, ყველაზე რთული პერიოდი უდგას. უკანასკნელ წლებში სააგენტომ ახალი პროგრამები უკუაგდო, რომლებსაც შატლი უნდა ჩაენაცვლებინა. სააგენტომ არც ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზრება გაიზიარა, რომ შატლის პროგრამა სახიფათო და ტექნიკურად გაუმართავი იყო.

შატლის ჩამოვარდნამ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მომარაგების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. შატლი სადგურის მომარაგების ძირითადი საშუალება იყო. 95 მილიარდ ამერიკულ დოლარად შეფასებულ საერთაშორისო სადგურზე ამჟამად სამი ამერიკელი ასტრონავტი იმყოფება. ისინი უკან დაბრუნებას წლის ბოლოს სწორედ შატლის მეშვეობით აპირებენ. ნასას წარმომადგენლების მტკიცებით, მათ დაბრუნების პრობლემა არ შეექმნებათ, რადგან ამერიკელებს რუსული ხომალდი ჩამოიყვანს.

საერთაშორისო პრესაში კი ამ აფეთქების მისტიკურ ნიშნებზე დაიწყეს საუბარი. შატლს, კალიფორნიიდან მოყოლებული, ყველა სამხრეთული შტატის თავზე უნდა გადაეფრინა და ფლორიდაში დაშვებული იყო. თუმცა, მაინცდამაინც ჯორჯ ბუშის მშობლიურ შტატ ტეხასში განიცადა კატასტროფა. რაც ყველაზე მთავარია, შატლი, რომელზეც პირველი ებრაელი ასტრონავტი იმყოფებოდა, ტეხასში პატარა ქალაქ პალესტინის მახლობლად აფეთქდა.

შატლის დაღუპული ეკიპაჟი 80-მდე ექსპერიმენტში მონაწილეობდა. ისინი სხვადასხვა ცდებს ატარებდნენ - დაწყებული მიწისძვრების პროგნოზირებიდან, ახალი პარფიუმერული პროდუქციის შექმნით დამთავრებული.

ნასას ადმინისტრატორმა შონ ო`კეფმა დაღუპულ ეკიპაჟზე საუბრისას განაცხადა, რომ ეს **"განსაკუთრებული ასტრონავტების ჯგუფი იყო. მათ თავი მიუძღვნეს მეცნიერების განვითარებას დედამიწაზე"**.

"კოლუმბიის" ეკიპაჟი შვიდი კაცისაგან შედგებოდა: 45 წლის ჰაზბენდი ასტრონავტობამდე აშშ-ს შეიარაღებული ძალების პილოტი იყო. მას ცოლი და ორი შვილი დარჩა. 41 წლის უილიამ მაკკულისათვის კი ეს პირველი გაფრენა იყო კოსმოსში. 43 წლის პიტსბურგელი ანდერსონი პირველი ფერადკანიანი გახლდათ, რომელიც კოსმოსში გაფრინდა 1998 წელს. მისიის სპეციალისტი კალპანა ჩავლა, 41 წლის ავიაინჟინერი, პირველი ინდოელი იყო, რომელიც 1997 წელს კოსმოსში მოხვდა. მისიის სპეციალისტი 46 წლის სერჟანტი დავიდ ბრაუნი ერთ დროს ცირკის აკრობატადაც მუშაობდა. 41 წლის ლორელ სალტონ კლარკი პედიატრი იყო, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტისას ბიძაშვილი დაკარგა.

ექვსი ამერიკელის გარდა, ბორტზე იმყოფებოდა ილან რამონი - 48 წლის პირველი ებრაელი ასტრონავტი. პოლკოვნიკ რამონის სიკვდილი ისრაელში, ფაქტობრივად, ეროვნულ ტრაგედიად იქცა. ებრაელი პოლკოვნიკის კოსმოსში გაფრენა ადგილობრივი გაზეთების მთავარი თემა იყო.

პოლკოვნიკი რამონი საჰაერო ძალების პილოტი იყო. იგი ერაყის ბირთვული რეაქტორის დაბომბვაშიც მონაწილეობდა 1981 წელს.

პოლკოვნიკ რამონის მამა ელიეზერ ვოლფერმანი ისრაელში მეორე არხის სტუდიაში იმყოფებოდა და შატლის დაშვებას პირდაპირ ეთერში უყურებდა.

აფეთქების შემდეგ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ ისინი უფრო მეტ ადამიანს გააგზავნიან კოსმოსში იმის მიუხედავად, რომ ისრაელის პირველი ასტრონავტი ილან რომანი შატლის აფეთქებას ემსხვერპლა.

**"ეს მთელი სახელმწიფოს ეროვნული დღესასწაული იყო და ახლა ყოველივე ტრაგიკულად დასრულდა",** - აღნიშნავს ერთ-ერთი დამწუხრებული მოქალაქე თელ-ავივში.

ებრაელები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პოლკოვნიკის დედა მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლოკოსტს გადაურჩა. რამონი კოსმოსში გაფრენამდე იად ვასემში - იერუსალიმში არსებულ ჰოლოკოსტის მუზეუმს ეწვია, რათა რომელიმე რელიკვია კოსმოსში თან წაეღო.

მან 14 წლის ბიჭის - პიტერ გინცის ფანქრით დახატული სურათი შეარჩია, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის შემდეგ ნაცისტებმა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს.

აღსანიშნავია, რომ პალესტინის ხელისუფლების წარმომადგენელმა კატასტროფის შემდეგ ებრაელებს მიუსამძიმრა.

მსოფლიოს ყველა ლიდერმა და საზოგადოებრივმა მოღვაწემ გამოხატა გულისტკივილი. საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, ვატიკანში პაპმა იოანე პავლე მეორემ დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ლოცვაც აღავლინა.

# წინასაარჩევნო კამპანია სომხეთში ახალ ფაზაში შედის

არა ტადევოსიანი
IWPR

სომხეთის პრეზიდენტი კოჩარიანი ბოლო კვირების განმავლობაში სულ უფრო დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. ამასობაში, შეერთებული შტატები აცხადებს, რომ სულ მცირე დარღვევის შემთხვევაშიც კი არჩევნებს ლეგიტიმურად არ სცნობს.

ოფიციალური საარჩევნო კამპანიის მეორე კვირაში კოჩარიანი საგრძნობლად გააქტიურდა. ქვეყნის ბევრ ქალაქში ტარდება პრეზიდენტის მხარდამჭერი დემონსტრაციები, რომლებსაც ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება და კოჩარიანის მომხრე პარტიების ლიდერები უკეთებენ ორგანიზებას.

კოჩარიანი, რომელიც მეორედ არჩევისათვის იყრის კენჭს, რამდენიმე ხნის წინ მოსკოვს ეწვია და რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მხარდაჭერა დაიბევა.

**"ჩვენ რობერტ კოჩარიანის მადლობელნი ვართ ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის,** – განაცხადა პუტინმა კოჩარიანთან შეხვედრის შემდეგ, – **დიდია მისი დამსახურება იმაში, რომ ჩვენ თანამშრომლობის ასეთ დონეს მივაღწიეთ".**

მაშინ, როდესაც მოსკოვმა, ფაქტობრივად, ღიად განაცხადა თავისი არჩევანის შესახებ, ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ მისთვის მთავარი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა.

22 იანვარს აშშ-ს ელჩმა სომხეთში ჯონ ორდუეიმ პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატთან შეხვედრისას განაცხადა: **"ხმების 5 პროცენტიც რომ გაყალბდეს, იმის მიუხედავად, თუ რამდენ ხმას მოაგროვებენ კანდიდატები, ვერც არჩევნებს ჩავთლით კანონიერად და ვერც არჩეულ პრეზიდენტს - ლეგიტიმურად".**

ორდუეიმ იგივე გაიმეორა ორი დღის შემდეგ, როდესაც განაცხადა: **"ნებისმიერი არსებითი დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, არჩევნებისა და არჩეული პრეზიდენტის კანონიერება ეჭვქვეშ დადგება".**

ეს განცხადებები ადასტურებს, რომ აშშ არჩევნებისათვის უჩვეულოდ მაღალ სტანდარტს აწესებს. სომხეთში ჩატარებული ორი უკანასკნელი, 1996 და 1998 წლების საპრეზიდენტო არჩევნები, მნიშვნელოვანი გაყალბებებით აღინიშნა.

უკვე ცხადი ხდება, რომ ამ საარჩევნო კამპანიაში, მას-მედია ახლანდელი პრეზიდენტის მხარეს დაიკავებს.

კოჩარიანის საარჩევნო კამპანიის ლამის ყოველი წუთი ტელევიზიით შუქდება, მისი მოწინააღმდეგეები კი ჩივიან, რომ საეთერო დროს ვერ იღებენ და მათი სიტყვებიც ხშირად დამახინჯებით გადაიცემა.

ძირითადმა ოპოზიციურმა კანდიდატმა, ერევნის ყოფილმა მერმა არტაშეს გეგამიანმა თავის მომხრეებს სომხეთის სახელმწიფო ტელევიზიის ახალი ამბების პროგრამისათვის ინტერვიუს მიცემა აუკრძალა.

ტელევიზიამ იმით უპასუხა, რომ უცხოელ დამკვირვებლებთან იჩივლა, რომ ახალი ამბების ბოიკოტირებით, გეგამიანი არღვევს ამომრჩეველთა უფლებას, მიიღონ ინფორმაცია ყველა კანდიდატის შესახებ.

ჯერჯერობით, კოჩარიანი ცდილობს ყველას დაუმტკიცოს, რომ არჩევნებში გამარჯვებას არამხოლოდ "ადმინისტრაციულ რესურსზე" დაყრდნობით ცდილობს. კამპანიის პირველსავე დღეს მან მოუწოდა თავის საარჩევნო შტაბს, დაუღალავად იბრძოლოს თითოეული პოტენციური ამომრჩევლის ხმისათვის.

**"ჩვენ უფლება არა გვაქვს, ელექტორატის მხოლოდ ერთი ნაწილისათვის ვიბრძოლოთ,** – განაცხადა მან, – **ბრძოლა დაიწყო, და თუ ჩვენ მასში მონაწილეობას ვიღებთ, ე.ი. მთელი ძალით უნდა ვიბრძოლოთ არა მხოლოდ გამარჯვებისათვის, არამედ სერიოზული გამარჯვებისათვის".**

გასულ შემოდგომას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას პირველივე ტურში გამარჯვების იმედი აქვს (სომხეთის საარჩევნო კანონის თანახმად, კანდიდატი პირველივე ტურში გამარჯვებულად ითვლება, თუ მან ხმების 50 პროცენტზე მეტი მიიღო). რამდენიმე დღის წინ მან კვლავ განაცხადა, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ყველაზე სავარაუდოა. "სერიოზულ გამარჯვებაში" პრეზიდენტი, როგორც ჩანს, ისეთი უპირატესობით გამარჯვებას გულისხმობს, რომ გაყალბებაზე ყოველგვარმა საუბარმა აზრი დაკარგოს.

ერევნის გაზეთები ამტკიცებენ, რომ კოჩარიანს პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში ორი მთავარი კონკურენტი ეყოლება: არტაშეს გეგამიანი და სომხეთის ცეკას ყოფილი პირველი მდივნის, კარენ დემირჭიანის ვაჟი, სტეფან დემირჭიანი. უფროსმა დემირჭიანმა კოჩარიანს 1998 წლის არჩევნებში სერიოზული ბრძოლა გაუმართა. მომდევნო წელს იგი მოკლეს.

სერიოზული კანდიდატების სიაში კიდევ ორ ადამიანს განიხილავენ, ვაზგენ მანუკიანს (1996 წლის არჩევნებში, რომლის შედეგები დღემდე დავის საგანია, იგი მეორე ადგილზე გავიდა) და არამ სარქისიანს, 1999 წელს მოკლული პრემიერ ვაზგენ სარქისიანის ძმას.

ოპოზიცია დღემდე განიხილავს არჩევნებზე ერთი კანდიდატით გამოსვლის საკითხს, მაგრამ არც დემირჭიანსა და არც გეგამიანს კანდიდატურის მოხსნაზე სიტყვის გაგონებაც არ სურთ.

გეგამიანის პოზიციები მნიშვნელოვნად განამტკიცა მისმა მოულოდნელმა ალიანსმა სომხეთის ყველაზე ცნობილ ყოფილ დისიდენტთან, პარუირ ჰაირაკიანთან. ჰაირაკიანი, რომელიც პოსტსაბჭოთა სომხეთის ყველა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა და ბოლო ხანს პრეზიდენტთან არსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს ხელმძღვანელობდა, წლევანდელ საპრეზიდენტო რბოლას იანვრის დასაწყისში გამოეთიშა.

ჰაირაკიანი ე.წ. "კონსტრუქციული" ან "ლოიალური" ოპოზიციის წევრად განიხილება და მთავრობას მაინცდამაინც არ აკრიტიკებს. მასთან ალიანსმა ბევრს განუმტკიცა მოსაზრება, რომ გეგამიანი რეალურად ხელისუფლების შემოგზავნილი "ტროას ცხენია".

ყოფილ მმართველ პარტიასთან - "სომხეთის ეროვნულ მოძრაობასთან" დაკავშირებული წყაროებიც იგივეს ამბობენ. მათი თქმით, გეგამიანი შენელებული მოქმედების ნაღმია, რომელიც ხელისუფლებამ ჩადო ოპოზიციაში.

ამ მოსაზრების მომხრეები ამტკიცებენ, რომ გეგამიანის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სხვა ოპოზიციურ ლიდერებს ხმები წაართვას. თავად გეგამიანი ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და კვლავინდებურად ირწმუნება, რომ კოჩარიანს პირველივე ტურში დაამარცხებს.

სტეფან დემირჭიანისა და არამ სარქისიანის წინასაარჩევნო კამპანიაში დიდ როლს ასრულებს მათი ნათესავების ფაქტორი, რომლებიც 1999 წელს სომხეთის პარლამენტში ჩაცხრილეს.

გაზეთი "აიოწ აშხარი" წერდა, რომ ამ ორი კაცის საარჩევნო კლიპები მათ პოლიტიკურ უმწიფარობას მოწმობს. მათში დემირჭიანი და სარქისიანი, შესაბამისად, მამისა და ძმის საფლავთან არიან გადაღებულნი. მთავრობის მომხრე გაზეთები წერენ: ეს ამტკიცებს იმას, რომ ამ ორ კაცს მხოლოდ გარდაცვლილი ნათესავების ქარიზმის ანარეკლი შეუძლიათ შესთავაზონ საზოგადოებას.

წინასაარჩევნო კამპანია განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც სარქისიანების ოჯახის მოსკოველმა ადვოკატმა ოლეგ იუნოშევმა განაცხადა, რომ დეკემბერში სომხეთის ტელევიზიის ხელმძღვანელის, ნაღდალიანის მკვლელობა 1999 წლის მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

იუნოშევმა განაცხადა, რომ პარლამენტში მომხდარი თავდასხმის კადრების შემცველი ვიდეოკასეტა, რომელიც ნაღდალიანმა წარუდგინა სასამართლოს, დამონტაჟებული იყო იმგვარად, რომ ნამდვილი დამნაშავეების ამოცნობის საშუალებას არ იძლეოდა.

გენერალურმა პროკურატურამ იუნოშევს სთხოვა დაემტკიცებინა ბრალდება, მან ეს ვერ შეძლო. შედეგად, პრეზიდენტმა კოჩარიანმა საჯაროდ დაადანაშაულა არამ სარქისიანი იმაში, რომ იგი თავისი საარჩევნო კამპანიისათვის გარდაცვლილების გამოყენებას ცდილობს.

## ინფორმაცია

### შრიოდერის პარტია პოზიციებს კარგავს

გერმანიის ომისშემდგომ ისტორიაში არც ერთი კანცლერის რეიტინგი არ დაცემულა ისე სწრაფად, როგორც შრიოდერისა ბოლო ოთხი თვის განმავლობაში.

შემოდგომაზე შრიოდერმა, რომელსაც ბუნდესტაგის არჩევნებში დამარცხებას უწინასწარმეტყველებდნენ, წყალდიდობის დროს სწრაფი და გადამჭრელი მოქმედებითა და ერაყთან შესაძლო ომის კრიტიკით შეძლო ვითარების გადარჩენა და კანცლერის პოსტზე დარჩენა.

არჩევნებიდან ოთხი თვის მერე უმუშევრობის, რთული ეკონომიკური მდგომარეობისა და გადასახადების ზრდის (არჩევნების წინ კანცლერი პირობას დებდა, რომ გადასახადებს არ გაზრდიდა) გამო შრიოდერის და მისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შრიოდერის შესახებ შექმნილი დამცინავი სიმღერა ლიდერობდა გერმანულ ჩარტებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შექმნილი რთული მდგომარეობა გუშინ გამართულმა რეგიონულმა არჩევნებმაც დაადასტურა. შრიოდერის მშობლიურ ლანდში, ქვედა საქსონიაში მისმა პარტიამ ხმების 34 პროცენტი მიიღო (1998 წლის არჩევნებზე ამ პარტიას 47,9 პროცენტმა მისცა ხმა), მაშინ, როდესაც მეტოქე ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ 47 პროცენტი (გასულ არჩევნებზე – 36 პროცენტი) მოიპოვა.

სდპ-მ არჩევნები ჰესეშიც წააგო (ლანდი, რომელშიც მდებარეობს გერმანიის საფინანსო დედაქალაქი ფრანკფურტი), სადაც მან ხმების 30 პროცენტიც ვერ მიიღო.

ამ გამარჯვებების წყალობით, ქრისტიან-დემოკრატებმა პარლამენტის ზედა პალატაში, ბუნდესრატში უმრავლესობა განიმტკიცეს.

შრიოდერმა არჩევნებში დამარცხება აღიარა, მაგრამ განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს.

ექსპერტები აცხადებენ, რომ გერმანიას, დიდი ხანია, სჭირდება არაპოპულარული, მაგრამ აუცილებელი სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარება (ეკონომიკის ლიბერალიზაცია, შრომის ბაზრის დერეგულაცია და სხვ). ახლა გერმანია ელოდება მთავრობას, რომელიც საკუთარი რეიტინგის ხარჯზე ამ რეფორმებს განახორციელებს.

მიმომხილველების ერთ ნაწილს იმედი აქვს, რომ ახლა როდესაც არჩევნები დასრულდა, მთავრობა პოპულარობაზე ნაკლებად იფიქრებს და ქრისტიან-დემოკრატებმაც, შეიძლება, ხელისუფლების კრიტიკას რეფორმების გატარებისათვის მასთან თანამშრომლობა არჩიონ.

### ირანში სოციოლოგები ჯაშუშობისათვის დააპატიმრეს

უცხოელებთან საიდუმლო შეხვედრებისა და ამერიკული სოციოლოგიური გამოკითხვების კომპანია "გელაპისათვის" ინფორმაციის გადაცემის ბრალდებით კვირას ირანში ორი სოციოლოგი გაასამართლეს.

რამდენიმე თვის წინ მათ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ ირანის მოსახლეობა ამერიკასთან დიალოგის განახლების მომხრეა.

ირანელი კონსერვატორებისათვის დიალოგი ვაშინგტონთან, რომელმაც მათი ქვეყანა "ბოროტების ღერძის" წევრად გამოაცხადა, ტაბუდადებულ თემად ითვლება.

ჰოსეინ გაზიანმა და აბას აბდიმ, შესაბამისად, რვა და შვიდი წელი მიიღეს.

"სოციოლოგების საქმე" რეფორმატორებსა და კონსერვატორებს შორის ახალი დაპირისპირების მიზეზად იქცა. რეფორმატორული ფრთის სათავეში ირანის პრეზიდენტი ხათამი, ხოლო კონსერვატიულის სათავეში – სასულიერო პირები დგანან.

### სასტუმროს ხანძარმა 33 ადამიანი იმსხვერპლა

გუშინ, ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ჰარბინში სასტუმროში მომხდარმა ხანძარმა 33 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა – იუწყება ახალი ამბების ოფიციალური სააგენტო სინხუა. ათი ადამიანი საავადმყოფოში წაიყვანეს.

სააგენტოს ცნობით, ასამდე ადამიანმა უვნებლად დააღწია თავი ხანძარს, რომელიც ნახევარ საათში ჩააქრეს.

ხანძრის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ დაიწყო ქალაქის დაწესებულებებში უსაფრთხოების ზომების შემოწმება.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ჩინეთში გაჩაღებული საახალწლო ზეიმებია.

# შექსპირი მეგრულად

## ეუთო-ს დახმარებით, შესაძლოა, გალის რაიონში მშობლიურ ენაზე სწავლა აღდგეს

კარგა ხანია, რაც ოფიციალური საქართველო "აფხაზეთში" მხოლოდ გალის რაიონს გულისხმობს. მაგალითად, აფხაზეთის განათლების სამინისტრო გალის რაიონის სამინისტროა, რომელსაც ამ რაიონის 42 სკოლა ექვემდებარება. ამავე სკოლებს გულისხმობს საქართველოს განათლების სამინისტროც, როდესაც აფხაზეთის სკოლებზე საუბრობს.

როგორც ცნობილია, პირობითობა - "აფხაზეთის სკოლები", კიდევ ერთ ქვეპირობითობას შეიცავს: ამ 42 სკოლიდან 39, პირობითად, ქართულია, ხოლო 3 - რუსული და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ე.წ. "ქართულ სკოლებში" ქართული ენის გაკვეთილი კვირაში ერთხელ ტარდება, ხოლო რუსულ სკოლებში საერთოდ არ ისწავლება არც ერთი სახელმწიფო ენა. კანონით, აფხაზური ენა აფხაზეთში სახელმწიფო ენაა ქართულთან ერთად. დღეს გალის სკოლებში არსებული სიტუაცია არაფრით განსხვავდება "ლინეიკებისა" და როზგების პედაგოგიკისგან, სადაც ქართულ ენას "ძაღლის" ენის სტატუსი აქვს.

ერთი, ვითომ ანეკდოტური შემთხვევა, რომელიც გალელმა მასწავლებელმა გვიამბო, მოგვითხრობს, თუ როგორ ჩაატარეს მეთერთმეტეკლასელებმა გამოსაშვები საღამო და მეგრულად დადგეს შექსპირი, რომელიც "ენთუზიასტ" მასწავლებელს უთარგმნია. მიზეზი ის არის, რომ გალელ მოსწავლეებს ქართულზე და აფხაზურზე უფრო მეგრული და რუსული ეხერხებათ და თან, მასწავლებელს რომ "უცხო ენაზე" - ქართულად დაედგა პიესა, მას სკოლის დატოვებას არ აკმარებდნენ.

ქართული წყაროების ინფორმაციით, გალის რაიონის ძველ საზღვრებში დაახლოებით 45 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. აფხაზური ადმინისტრაციის მიერ მოსახლეობის აღწერის ოფიციალური შედეგები ჯერ ცნობილი არ არის. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ გალის რაიონში მოსახლეობის აღწერას ახალ საზღვრებში ატარებენ - კერძოდ, გალის რაიონის სოფლები - ოქუმი, წარჩე, ბედია, მუხური, პირველი გალი, რეჩხი, აჩიგვარა, რეფი, ეწერი და გუდავა - ომის შემდეგ არძინბას ხელისუფლებამ ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებს შეუერთა.

აფხაზეთში სომხური სკოლები იხურება, რადგან სომხური მოსახლეობა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებს ტოვებს. ასევეა სხვა, არააფხაზური მოსახლეობაც, რომელთა საერთო რაოდენობა ბოლო პერიოდში 100 ათასიდან 18-20 ათასამდე შემცირდა.

აფხაზეთში ამჟამად მცხოვრებ ბერძენთა ინტერესების დამცველი საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საზოგადოება "ირინის" თავმჯდომარის, ნიკოლოზ ისააკოვის მონაცემებით, 20 ათასი ბერძენიდან დღეს აფხაზეთში 2 ათასზე ნაკლები შემორჩა - უმრავლესობა მოხუცია.

აფხაზეთში ომამდე მცხოვრები 2.400 ებრაელიდან სათვისტომო ამჟამად მხოლოდ 170 კაცს აერთიანებს, რომელთა საშუალო ასაკი 60-65 წელია. სათვისტომოს ყოველთვიურ დახმარებას უწევს კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება "შალომი", რომელსაც თავის მხრივ აფინანსებს "აშშ-ს ებრაული კომიტეტი"-ს წარმომადგენლობა რუსეთში.

მნიშვნელოვნად შემცირდა ესტონური დიასპორაც. აქაურ ესტონელებს სამშობლოში დაბრუნებაში ესტონეთის სოჭის წარმომადგენლობა ეხმარება, ხოლო აფხაზეთში მათ ინტერესებს "ესტონური სათვისტომოს კონგრესი" იცავს. სათვისტომოს ხელმძღვანელის, სვეტლანა იაკობსონის ხელშეწყობით, ესტონელთა სოფლების - ლინდავასა და ესტონკის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აფხაზეთი დატოვა.

აფხაზეთს მასობრივად ტოვებენ გერმანელებიც, რომელთა საზოგადოებაშიც ამჟამად მხოლოდ 48 ადამიანია რეგისტრირებული. ამ საზოგადოების თავმჯდომარის, ლავრენტი გარტის განცხადებით, ისინი მომავლისადმი პესიმისტური განწყობის გამო ტოვებენ აფხაზეთს. გერმანული სათვისტომო დახმარებას ლუთერანული ეკლესიიდან და გერმანიის წითელი ჯვრის კომიტეტიდან იღებს.

ღმერთმა ქნას, ის დღე დადგეს, როცა გალის რაიონი რეალურად საქართველოს ნაწილი გახდება და ენის სახელმწიფო პროგრამაში ჩართავენ ისევე, როგორც სხვა არაქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებს: ჯავახეთს და ქვემო ქართლს. თუმცა, გალში განსხვავებული ვითარება მაინც იქნება, რადგან ქართულთან ერთად აფხაზური ენის სწავლებაც აუცილებელი გახდება, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის მიზნით.

და თუ ოდესმე გალის რაიონი მართლა დაექვემდებარება საქართველოს განათლების სამინისტროს, ის უკვე მზად არის და დამუშავებული აქვს კომპლექსური პროგრამა.

განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია წლების განმავლობაში ხვდებოდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა არძინბას ხელისუფლების განათლების მინისტრთან, ბესლან დბართან. ძირითადი მიზანი იყო - ადამიანის (მოსწავლის) დარღვეული უფლებების აღდგენა, სახელმწიფო ენაზე სწავლება (ქართულზე და აფხაზურზე) და მათთვის მშობლიური ენების შენარჩუნება (ქართველებისთვის-ქართული და აფხაზებისთვის-აფხაზური). დბარი ყოველ შეხვედრაზე ახალ მიზეზს პოულობდა უარის სათქმელად. მისთვის მდგომარეობის შესაცვლელად არც ერთი წინადადება არ აღმოჩნდა მისაღები. მის არგუმენტებს, რაც ხან სახელმძღვანელოების არქონა იყო და ხან შეძენის შეუძლებლობა, ხან რა და ხან რა, განათლების მინისტრი "საშველს" უძებნიდა, მაგრამ ამაოდ.

განათლების სამინისტროს მცდელობით, ეუთო-ს წარმომადგენლებისთვის ნათელი გახდა, რომ არძინბა - დბარის ადმინისტრაცია არ იცავს გაერო-ს რეზოლუციის მე-12 პუნქტს. უკანასკნელი ინფორმაციით, ეუთო-მ საქართველოს განათლების სამინისტროს დახმარება აღუთქვა. პროგრამის მიხედვით, გალის რაიონში უნდა აღდგეს მოსწავლეთა უფლება - ისწავლონ მშობლიურ ენაზე.

*"24 საათი"*

# რიონი ქომელებს ნალექვით ემუქრება

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ჭომაში, რიონჰესის კაშხლის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. რიონმა კალაპოტი იცვალა და, დაახლოებით, 200 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი მიიტაცა. უკვე 7 სახლი ჩაიძირა. საფრთხე ემუქრება მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ 50 მოსახლესაც. შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებელია ორი ორგანიზაცია - ქალაქის მერია და რიონჰესის ადმინისტრაცია. თავის დროზე ქუთაისის საქალაქო აღმასკომმა, უსაფრთხოების წესების გაუთვალისწინებლად, მოსახლეობას ამ ტერიტორიაზე დასახლების უფლება მისცა. ჰესის ამჟამინდელი ავარიული მდგომარეობა არ იძლევა მდინარის კალაპოტის კონტროლის საშუალებას. ახლა ეს ორივე ორგანიზაცია უსახსრობას იმიზეზებს, მოსახლეობა კი ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ჭომაში მცხოვრები ლექვინაძის სახლიდან მდინარე რიონი უკვე 5 მეტრში მოედინება. პრობლემის მიზეზი ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არასწორი გადაწყვეტილებაა. მისი 1987 წლის განკარგულებით, და არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ნებართვით, ლესელიძის ქუჩის მეორე შესახვევში, რიონჰესის კაშხლის მარჯვენა სანაპიროზე 100- მდე მოსახლეს მისცეს დასახლების უფლება. 1994 წლიდან კი მდინარე რიონმა კალაპოტი იცვალა. ამის მიზეზი ჰესის ფარების არასწორი მუშაობა გახლდათ. არსებობს საქენერგოგენერაციის რამდენიმე წერილი, სადაც ისინი აღნიშნავენ, - ჰესის ფარები ამორტიზირებულია და აღნიშნული პროცესის შეჩერებაზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთო. იმავე ტერიტორიაზე გაყვანილია წყალსადენის მილები, რომელსაც წყალმა მიწა გამოუთხარა, ახლა მილები ჰაერშია გამოკიდებული და დღე-დღეზე შეიძლება ჩატყდეს, რის შედეგადაც ქალაქის დიდი ნაწილი უწყლოდ დარჩება. იგივე მდგომარეობაშია ტერიტორიაზე მყოფი მაღალი ძაბვის ანძებიც. უფრო მეტიც, ეს პროცესი თუ არ შეჩერდა, შეიძლება მთელი უბანი წყალმა წაიღოს. 1994 წლიდან მოსახლეობა პრობლემის მოსაგვარებლად ყველა ინსტანციას მიმართავდა. თავის დროზე ქუთაისის მერია მოსახლეობას 10 ათასი ლარით დაეხმარა, მაგრამ მათი ევაკუაციისთვის ეს თანხა საკმარისი არ არის.

საზოგადოებრივი ინტერესების ცენტრის ხელმძღვანელ სულხან ქობულაძეს მიაჩნია, რომ "ჭომაში სასწრაფოდ ჩასატარებელია ნაპირის გასამაგრებელი სამუშაოები. ეს რიონჰესმა უნდა იტვირთოს. ორგანიზაცია იმდენ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მოგებაც უნდა ჰქონდეს. მაგრამ, აცხადებენ, - ბიუჯეტიდან 14 მილიონი ლარი გვერგება და თანხას არ გვაძლევენო. მერიამ დაზარალებულებს, დახმარების სახით, 10 000 ლარი კი გამოუყო, მაგრამ აღნიშნული თანხა სახლის დაშლას და გადატანასაც არ ეყოფა. ამასთანავე, ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში ეს თანხა უკან უნდა დააბრუნონ. ჩვენი მოთხოვნაა, სასწრაფოდ გამოინახოს თანხები, რომ აღნიშნული სახლის დანგრევა და სხვა ადგილზე გადატანა მოხდეს." რიონჰესის დირექტორი ვახტანგ ოყრეშიძე კი აცხადებს, რომ ჰესს, კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, არათუ სხვისი, საკუთარი თავის გადარჩენაც არ შეუძლია. იგი ამ საკითხის ირგვლივ მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების იმედზეა, რომელიც როდის გამოვა, ღმერთმა უწყის. ქუთაისის ვიცემერი ონისე უგრეხელიძე ირწმუნება, რომ ჯებირების გაკეთებისა და მოსახლეობის ევაკუაციისთვის საჭირო თანხები 2003 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნებაო. ამ განცხადებას იგი ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გოგოლაშვილის სიტყვებზე დაყრდნობით აკეთებს. თუმცა, სულხან ქობულაძე ამტკიცებს, რომ ბიუჯეტში ეს თანხები ჩადებული არ არის. ამ ეტაპზე ქუთაისის მერია აპირებს ჰესის მიმდებარე მოსახლეობისათვის 10 000 ლარისა და ასათიანის ქუჩაზე მიწის ნაკვეთის გამოყოფას. ასევე 10 000 ლარი გამოიყოფა ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, თუმცა აღნიშნული თანხა პრობლემას ვერ წყვეტს. წინ გაზაფხულის წყალდიდობებია, ამიტომ აღნიშნულ პრობლემას მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

# ბავშვების საქველმოქმედო აქცია

თამარ დვალი

*შარდენის საგამოფენო დარბაზი ორი დღით უსასყიდლოდ დაეთმოთ ბავშვებს, რომლებმაც, თავიანთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვით, ხელი გაუმართეს თანატოლებს. შემოსულ თანხას ისინი "რწმენის სახლის" უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს გადაურიცხავენ.*

შარდენის საგამოფენო დარბაზი ბავშვებს ველარ იტევდა. დამთვალიერებლები ეცნობოდნენ იმ ცხრა ბავშვის შემოქმედებას, რომლებმაც თავიანთი ნამუშევრები გასაყიდად გამოფინეს. რომ არა საქველმოქმედო აქცია, ისინი ამ ნამუშევრებს, ალბათ, არ შეელეოდნენ. ქველმოქმედთა შორის ყველაზე პატარა იყო ხუთი წლის მირიან ჩიქოვანი. მან თავისი საყვარელი ნამუშევარი - პატარა ვირიც კი გაიმეტა გასაყიდად, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ ამით კეთილ საქმეს აკეთებდა.

აქცია-გამოფენა გამომცემლობა "დიოგენესა" და მოზარდთა განვითარების ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით მოეწყო. ორგანიზატორებმა გამოფენაზე საელჩოების, საკრებულოსა და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები მიიწვიეს. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ შემოსული თანხით ბავშვებს ფეხსაცმლის პრობლემას მაინც მოუხსნიან. "იმედი მაქვს, რომ დღეიდან ეს ნამუშევრები თქვენს ბინებს დაამშვენებს. ამ ბავშვებმა თავად გამოთქვეს სურვილი, თავიანთი ნამუშევრების გაყიდვით, თანატოლებს დახმარებოდნენ. აქ ბავშვთა სამყაროა წარმოდგენილი", - განუცხადა საზოგადოებას გამომცემლობა "დიოგენეს" დირექტორმა და მოზარდთა განვითარების ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ლებანიძემ.


გამოფენაზე

თიხისგან შესრულებული ფიგურებისა და დეკორატიული თეფშების ავტორები, ხუთიდან თექვსმეტ წლამდე ბავშვები, ნანა იზორიას საოჯახო სტუდიის მოსწავლეები არიან. უკვე რამდენიმე წელიწადია, თიხის ხელოვნებას ეუფლებიან. როგორც თავად განაცხადეს, ამ დღეს მიღებული სიგელები, რომლებიც აქციის ორგანიზატორებმა გადასცეს, ყველაზე საპატიო იქნება მათ ცხოვრებაში. ბავშვებს გულწრფელად სჯერათ, რომ ამ აქციით უდედმამო ბავშვებს სულ ცოტათი მაინც დაეხმარებიან.

# სიგარეტის გადაგდება 40 ლარად

*თებერვლის ბოლოს თბილისის ყველა რაიონში გაიხსნება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ცენტრები. ეს ამბავი განსაკუთრებით დააინტერესებთ მწეველებს, რადგან ცენტრები, უპირველესად, მათ დასახმარებლად იქმნება. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ პაციენტს სიგარეტის გადაგდება და თამბაქოს ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა 40-60 ლარი დაუჯდება.*

ნანა ქადაგიშვილი

თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრმა შარშანვე სცადა, მწეველები დაეინტერესებინა, როცა თამბაქოს საწინააღმდეგო პრეპარატები შემოიტანა. მწეველთა შორის გამოაცხადა კონკურსი, რომლის მონაწილეებს, სიგარეტის გადაგდების შემთხვევაში, ფულადი პრიზებით დააჯილდოებდნენ. გამარჯვებაში მათ ცენტრის თანამშრომლები ახალი პრეპარატებით დაეხმარებოდნენ. მკურნალობა 40 ლარი ჯდებოდა. თუმცა, კონკურსში მონაწილეს, რომც ვერ გაემარჯვა, წაგებული მაინც არ დარჩებოდა - ფულს სიგარეტში აღარ დახარჯავდა და, რაც მთავარია, ჯანმრთელობას შეინარჩუნებდა. ამის მიუხედავად, ცენტრმა კონკურსში მონაწილეთა საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა.

წლეულს ცენტრმა გადაწყვიტა, თამბაქოთი გამოწვეული დაავადებების მკურნალობა მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადოს. ამიტომაც ჯანმრთელობის ხელშემწყობ ცენტრებს რაიონებში ხსნის. ამ ცენტრებში რამდენიმე დასახელების პროგრამა განხორციელდება. უპირველესად - მოსახლეობის სამედიცინო განათლების პროგრამა, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციას მოიცავს. მაგალითად, როგორ მოქმედებს თამბაქო ადამიანის ჯანმრთელობაზე, რა უნდა ვქნათ, რომ შვილმა სიგარეტი არ მოწიოს, როგორ დავიცვათ მოზარდი ნარკომანიისგან... ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამები მწეველთათვის ექიმის კონსულტაციებსა და თამბაქოს მიზეზით გამოწვეული დაავადებების (მაგალითად, პოსტინფარქტული მდგომარეობა, ნევროზი, სასუნთქი ორგანოების პათოლოგიები, წყლულოვანი დაავადებები, ჰიპერტენზია, გინეკოლოგიური დარღვევები, დიაბეტი) დიაგნოსტიკა-მკურნალობასაც ითვალისწინებს. სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის ეს ყველაფერი უფასო იქნება, დანარჩენები კი, თუკი ამ პროგრამებში ჩაერთვებიან და ცენტრთან ურთიერთობას გააგრძელებენ, კონსულტაციებს უფასოდ მიიღებენ, დიაგნოსტიკა-მკურნალობა კი 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ჩაუტარდებათ. როგორც თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მენეჯერი, დავით მესხიშვილი გვარწმუნებს, ეს ყველაფერი 40-60 ლარზე ძვირი არ დაგიჯდებათ. "ცენტრებში თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის კლინიკის თანამშრომლები იმუშავებენ და, დარწმუნებული ვარ, პაციენტს ზედმეტს არც ერთი მათგანი გადაახდევინებს. თუმცა, თუ დარღვევები მაინც იქნება, მოქალაქეებს შეეძლებათ, "ცხელი ხაზით" შეგვატყობინონ", - აცხადებს იგი.

თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის იდეა მერიაშიც მოეწონათ. მხარდაჭერაც აღუთქვამთ. ამიტომ ცენტრი იმედოვნებს, რომ ჯანმრთელობის ხელშეწყობის კაბინეტების გასახსნელად ადგილის გამოძებნა არ გაუჭირდება.

# BFM პროგრამის ამოქმედებამ სამასზე მეტი ბავშვი გამოაჯანმრთელა

ირინე სანებლიძე

*საქართველოში ყოველი ოცი ათასი ბავშვიდან ერთი ავადდება ლეიკემიით. არსებობს სისხლის სხვა დაავადებები, რომელთა მაჩვენებელიც, თურმე, გაცილებით მაღალია. ლიმფოსარკომა და ლიმფოგრანულომატოზი სისხლის დაავადებებია, რომელთაც ლეიკემიის მსგავსად მკურნალობენ. რამდენიმე წლის წინ ამ დაავადებებით შეპყრობილი ბავშვები განწირულები იყვნენ, დღეს კი, თურმე, მათი განკურნება შეიძლება.*

13 წლის ჯაბა მშობლებს, უბრალოდ, გაციებული ეგონათ და წამლებით გაჭყიპეს. რომ არ მომჯობინდა, მერე გლანდებს დააბრალეს და თიანეთის რაიონში, სოფელში, ნაქებ ექიმთან მიიყვანეს. ექიმმა, - ლიმფოსარკომის ნიშნებიაო. ელდანაცემმა მშობლებმა, ექიმის რჩევით, ბავშვი სოფელ თოლენჯიდან პირდაპირ ონკოლოგიის ცენტრში გააქანეს. იქ, ანალიზების შემდეგ, ლიმფური ჯირკვლების სიმსივნე დაუდგინდა. მშობლებს ბევრი არ უფიქრიათ - ბავშვი ონკოლოგიური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში დააწვინეს.

ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში ლიმფოსარკომის სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული მკურნალობის სამი მიმართულება არსებობს: ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია უფასოა, ქიმიოთერაპიის ღირებულება კი განსაზღვრულია. ერთ სამკურნალო, ორთვენახევრიან კურსზე გათვალისწინებულია 300 ლარი. "ქიმიოთერაპია ამაზე ძვირი არ ჯდება. გამონაკლის შემთხვევაში გამოსავალს ყოველთვის ვპოულობთ. ჩვენთან, ბავშვთა განყოფილებაში, მკურნალობა, უფასოა", - გვითხრა ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რევაზ გაგუამ.

ჯაბას მამის თქმით, ონკოლოგიის ცენტრში სხვადასხვა ხარჯი ყოველდღიურად მას მაინც ჰქონდა: "ქიმიურ წამლებს, გადასასხმელებს, ერთჯერად შპრიცებს ვყიდულობდი ხან აფთიაქში, სადაც მკურნალმა ექიმმა თვითონ გამგზავნა, ხან ადგილზე, ონკოლოგიურში. რა თქმა უნდა, საუკეთესო წამლებს ვყიდულობდი. მე რა გამეგება, მაგრამ, რასაც მეუბნებოდნენ, ყველაფერს ვაკეთებდი."


ჩვენ ჭანმრთელები ვიქნებით.

ასე გაგრძელდა ოთხთვენახევარი. ერთი კურსის შემდეგ ჯაბას თითქოს არა უშავდა. მისთვის კომპიუტერული ტომოგრაფია უნდა გადაეღოთ. მამამისმა რევაზ გაგუას შეღავათი სთხოვა და გადასახადი თანაბრად გაიყვეს. "ამდენი უკვე აღარ მქონდა. მარტო ერთი, 100-დოლარიანი წამალი, ხუთჯერ დასჭირდა. აგვისტოს მერე, ოთხთვენახევარში, 3 000 დოლარამდე დავხარჯე. ფულს ვინ ჩივის, მაგრამ ერთი უბრალო კაცი ვარ, განათლება არა მაქვს, შოფრად ვმუშაობ. ყველაფერს ვაკეთებდი და გავაკეთებ, რასაც მეტყვიან. ერთადერთი, რასაც ვითხოვდი, სწორ გზაზე დამაყენეთ-მეთქი; არავინ გამაგებინა, რომ არსებობს ონკოჰემატოლოგიური ცენტრი, სადაც ქიმიური პრეპარატები უფასოა, გერმანიიდან მარაგდებიან", - გვითხრა ჯაბას მამამ. ჩვენს გაწვალებას ასე არ შევარჩენო, იმუქრება თემურ ბუჯიაშვილი.

ჯაბა ონკოჰემატოლოგიურ ცენტრში ანალიზების ასაღებად მიიყვანეს და მშობლებმა გადაწყვიტეს, იქვე ემკურნალათ.

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიურ ცენტრში, რომელიც იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოშია, ლეიკემიას, ლიმფოსარკომასა და ლიმფოგრანულომატოზს დასავლეთევროპული მეთოდით მკურნალობენ. BFM (Berlin-Frankfurt Munster) პროგრამით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის სპეციალისტები სისხლის ამ დაავადებებს ერთნაირი მეთოდით მკურნალობენ. პროგრამის თანახმად, ყველა ქვეყანაში პრიორიტეტულია ინტენსიური, აგრესიული ქიმიოთერაპია.

BFM პროგრამა საქართველოში გერმანიისა და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით ამოქმედდა. ცივილიზებულ ქვეყნებში აპრობირებული მკურნალობის მეთოდის საქართველოში დასამკვიდრებლად, რამდენიმე ექიმი-სპეციალისტი გერმანიაში გაემგზავრა. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) ამ პროგრამისთვის ონკოჰემატოლოგიის ცენტრში ყოველწლიურად 200 000 ლარის ქიმიოპრეპარატებს გზავნის. GTZ-მა ცენტრი ლაბორატორიებით და სხვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიამ ონკოჰემატოლოგიური ცენტრის ბავშვებისთვის წლიურად 285 000 ლარამდე დააწესა. "თუმცა, სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ ფინანსებს ცენტრი წყვეტილად იღებს. ასე რომ, სახელმწიფო დაფინანსებით, როგორც ყველა, ჩვენც უკმაყოფილო ვართ. განუსაზღვრელი და შეუფასებელია GTZ-ის დახმარება. ამ საზოგადოების წარმომადგენლები, გერმანელ ექსპერტ-სპეციალისტებთან, ონკოჰემატოლოგებთან ერთად, სისტემატურად აკონტროლებენ ჩვენს მუშაობას", - გვითხრა ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ასმათ შენგელაიამ.

როგორც ჩანს, საქართველო-გერმანიის ურთიერთობამ დადებითად იმოქმედა ამ პროგრამაზეც - საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის მონდომებით, ზემოაღნიშნული პროგრამა 2005 წლამდე გაგრძელდა.

"წინასწარ არ ვიცით, როგორი იქნება ჯაბა ბუჯიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამ პროფილის ავადმყოფები აუცილებლად ჩვენი საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიურ განყოფილებაში უნდა მოხვდნენ, რადგან უზრუნველყოფილნი იყვნენ როგორც მკურნალობის თანამედროვე მეთოდით, ისე უფასო ქიმიოპრეპარატებით",- გვითხრა ასმათ შენგელაიამ.

BFM პროგრამის ამოქმედებამდე ლეიკემიით, ლიმფოსარკომითა და ლიმფოგრანულომატოზით დაავადებულები განწირულები იყვნენ, დღეს კი ასეთი ბავშვების 80-85 პროცენტი იკურნება. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ამ დაავადებებისგან სამასზე მეტი ბავშვი გამოჯანმრთელდა.

# კრიმინალური ავტორიტეტები სიტუაციას ციხიდანაც მართავენ

პირველი ბეროძიძე

ფართომასშტაბიანი ჩხრეკა პატიმართათვის მოულოდნელად ჩატარდა და მასში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის გარდა, სპეცრაზმიც იღებდა მონაწილეობას. "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, "F-1" ტიპის ხელყუმბარა, დანები, ე.წ. "შტრიხები", სხვადასხვა სახის საჩხვლეტი რკინის ნივთები, ხისა და რკინის ხელკეტები – ეს ციხეში მაცხოვრებელთათვის აკრძალული იმ ნივთების ჩამონათვალია, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციამ პატიმრებს წაართვა. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მესამე სართულზე მდებარე საპროცედუროში, მჩხრეკავებმა საიდუმლო სამალავი აღმოაჩინეს, სადაც ძირითადში გადახვეული პისტოლეტი და ხელყუმბარა ინახებოდა. პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან სპეციალური თბილისის №1 საპყრობილეში, ე. წ. "კრიტში" გადმოიყვანეს და აქაც მედეგიანად დასრულდა.

რაც შეეხება, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, პატიმრებს ჩხრეკისას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მობილური ტელეფონების, ბანქოს, აუდიოკასეტების, საპარიკმახეროს, ხელკეტებისა და სხვა, მომარაგებული აკრძალული ნივთების გარეშე დარჩნენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული ჩხრეკისა და იქიდან სხვადასხვა ტიპის ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს არ აღუძრავს, როგორც ეს ჩვეულებრივ დანაშაულისას ხდება ხოლმე. თუმცა, საეჭვოა დადგინდეს ვისგან, როგორ და რანაირად ხვდება იარაღი ციხეში და კონკრეტულად ვის ეკუთვნის.

**"პატიმრებმა ხელთათმანი გვესროლეს, დუელში გამოგვიწვიეს და ჩვენც კონფრონტაციით ვუპასუხეთ. იძულებულნი გავხდით გავაკეთოთ ნუსხები და ყველა შემსვლელ-გამსვლელი, ისევე, როგორც პატიმართათვის განკუთვნილი ამანათები, მკაცრად გავჩხრიკოთ. თუმცა შიშველი ხელებით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, გვჭირდება საჩხრეკი აპარატურა, რადგან ახლობლების მოსანახულებლად მოსულ ქალბატონებს ხშირად უადგილო ადგილას აქვთ გადამალული ციხისთვის აკრძალული ნივთები. დასაშვებია, მშობლის სანახავად მოყვანილი ბავშვების პამპერსებშიც ინახებოდეს ეს ნივთები. ერთი სიტყვით, არანაირ დათმობაზე აღარ წავალთ, რადგან დამნაშავეთა სამყარო უკვე თავს გვიდგა და შიგნიდან გარეთ მართავს დანაშაულს. ე.წ.კანონიერი ქურდები დანაშაულებრივ სამყაროს ხომ სწორედ აქ არის - მონოპოლიზება გაუკეთოს და აკონტროლოს სიტუაცია, მიზნით თუ გარეთ. ამის საშუალება მათ აღარ ექნებათ, რადგან ციხის რეჟიმი სასტიკად გამკაცრდება. წინ დავიდეთ "კანონის პატიმრობის შესახებ" და როგორც საჭიროა, ისე ვიმოქმედებთ,"** – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და საკუთარ უწყებაში დაწყებული წმენდით ამცირებს.

ერთი სიტყვით, იმას, რომ ცის თუ ის კონკრეტული დანაშაული ხშირ შემთხვევაში ციხიდან იმართება, არც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა უარყოფს და არც ციხეში მყოფ დამნაშავეთა სამყაროს კანონის ფარგლებში მოქცევას აპირებს. თუმცა, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხუხია ციხეში მომხდარ დანაშაულს ისევე და სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირებს. **"როცა კონტროლიორს 75-ლარიანი ხელფასი აქვს და ამ ხელფასისთვის ყოველ დღე დამცირებას, შეურაცხყოფას იტანს, თანაც სახლში მშიერი ცოლ-შვილი ელოდება, 100 ლარის გულისთვისაც გაწირავს თავს და მოახერხებს საპატიმროში იარაღის შეტანას. საპატიმრო ადგილები ხომ სახელმწიფოს პასპორტია. სწორედ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გაჭირვებულ ხალხზე, რომლებიც კაპიკების გულისთვის ხშირად გაუცნობიერებლად ხდებიან დამნაშავეები",** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლერი ხუხიამ, რომლის უწყებაც ე.წ. კანონიერ ქურდებთან ბრძოლას იწყებს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

## ბრიტანელი ადმირალი ტერორისტებმა მიზანში ამოიღეს

იტალიის პოლიცია ცდილობს გაარკვიოს, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ნეაპოლში დაკავებული ტერორიზმში ეჭვმიტანილები აპირებდნენ მოეკლათ ერთ-ერთი მაღალი რანგის ბრიტანელი სამხედრო პირი. იტალიურ პრესაში უკვე გამოქვეყნდა ფოტო, რომელიც ჟურნალისტთა მტკიცებით, ნეაპოლში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის დროსაა ნაპოვნი და რომელზეც წითელი ფანქრით არის შემოხაზული ბრიტანეთის უმაღლესი შტაბის ხელმძღვანელის, ადმირალ მაიკლ ბოისის თავი. გაზეთები ირწმუნებიან, რომ ეს ფოტო იმავე ბინაში აღმოაჩინეს, საიდანაც დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება იქნა ამოღებული. ბრიტანელი ადმირალის მკვლელობის გეგმის შესახებ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ, ზოგიერთი ინფორმაციით, მაიკლ ბოისი რამდენიმე დღეში ნეაპოლში უნდა ჩასულიყო. რაც შეეხება დაკავებულებს, მათი რაოდენობა 28-ს აღწევს, ყველა მათგანი პაკისტანელია და ისინი პარასკევს ტერორიზმში ბრალდებით დააპატიმრეს. თვით პაკისტანის საგარეო უწყების წარმომადგენლის თქმით, ყველა დაკავებული იტალიაში ლეგალური გზით მოხვდა. პოლიციის ცნობით, მათ ბინაში იმდენი ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა სამსართულიანი სახლის სრულად გასანადგურებლად. იმავე ბინაში მიაგნეს 100 ცალ მობილურ ტელეფონსა და რუკებს, რომლებზეც აღნიშნული იყო ის შენობები, რომლებშიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატო-ს წარმომადგენლები მუშაობენ. ბინის ჩხრეკა ერთი დღის მუშაობით არ ამოწურულა. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ იქ ასაფეთქებელი ნივთიერებები კიდევ უნდა ინახებოდეს. ნეაპოლის პოლიციის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დიდი სერიოზულობით უდგება ამავე ბინაში აღმოჩენილ ბრიტანელი სამხედროს ფოტოს. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მაიკლ ბოისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა ბრიტანელ სამხედროთა შორის და სრულიად დამაჯერებელია, რომ სწორედ ის უნდა გამხდარიყო ტერორისტების სამიზნე. იტალიელი და ბრიტანელი ძალოვნები ბევრი რამის გარკვევას სასამართლო პროცესზე ელიან – 28 პაკისტანელი სასამართლოს წინაშე დღეს წარდგება.

ბოლო თვეებში იტალიაში ათეულობით ადამიანი დააკავეს ტერორიზმის ბრალდებით. ერთი კვირის წინ კი ვენეციის გარეუბანში დაკავებულ ხუთ მაროკოელს იტალიაში განლაგებულ ნატო-ს ერთ-ერთ ობიექტზე ტერაქტის მზადება ბრალდებათ.

## სიცილიის პოლიციის მახეში ჯერ ყველაზე დიდი თევზი არ გაბმულა

რამდენიმე მკვლელობისათვის 12 წლის მანძილზე ძებნის შემდეგ სიცილიელმა სამართალდამცველებმა ქალაქ ტრაპანის მახლობლად დააკავეს სიცილიური მაფიის "ბოსი" ანდრეა მაჩარაჩინა. ის "კოზა ნოსტრას" ყოფილი "ნათლიის", ამჯერად კი ციხეში მყოფი ტოტო რიინას უახლოეს ადამიანად ითვლება.

პოლიციის ცნობით, მაჩარაჩინასთან ერთად დაპატიმრებულია ნატალე ბონაფედეც – სიცილიის ქალაქ მარცალას მაკონტროლებელი დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი. სიცილიელი სამართალდამცველები ფლობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 1985 წლის აგვისტოში მაჩარაჩინა შეხვდა სენატორ ჯულიო ანდრეოტის. როგორც ცნობილია, სენატორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეც კი იყო აღძრული მაფიასთან მჭიდრო კონტაქტის ბრალდებით, თუმცა, საბოლოოდ ის გაამართლეს.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პიზანუ სიცილიელ ქვეშევრდომებს გამარჯვებას ულოცავს - იქაურმა პოლიციამ, რომელმაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ შეძლო "კოზე ნოსტრას" ლიდერის დაკავება( ის უკვე 40 წელია, მართლმსაჯულებას ემალება), ბოლო რამდენიმე თვეში მაინც არა ერთი მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მაფიას. მეტიც, მთელი 2002 წელი ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლას მიუძღვნა. კერძოდ, შარშან, წლის ბოლოს, სიცილიური მაფიის ხელმძღვანელობის დასაკავებლად ჩატარებულ ოპერაციას შედეგად 14 მნიშვნელოვანი მაფიოზის დაპატიმრება მოჰყვა.

იტალიელი სამართალდამცველების ყველაზე მნიშვნელოვან "ნადავლად" კი ანტონიო ჟიუფრე ითვლება. მას გამოძიებასთან თანამშრომლობაც კი აიძულეს და, შესაბამისად, "კოზა ნოსტრას" საქმიანობის შესახებ ბევრი ახალიც შეიტყვეს. სამაგალითო მოქცევისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისათვის კი ეს უკანასკნელი 2002 წლის დეკემბერში საშობაო არდადეგების მანძილზე ციხიდანაც კი გაუშვეს.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიას გუშინ დილიდან კვლავ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები აკონტროლებდნენ.

ძალოვანები პარლამენტს საქართველოს ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებისგან იცავენ, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ საპროტესტო აქციებს უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში ყოველდღიურად მართავდნენ. თუმცა როგორც ექს-პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია აცხადებს, პარლამენტის წინ აქციები მომავალშიც გაგრძელდება. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** "სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირი" უახლოეს დღეებში ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის ბადრი ზარანდიას მკვლელობასთან დაკავშირებული კონკრეტული პირების გვარებს დაასახელებს.

ორგანიზაციის წარმომადგენლები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ აღნიშნული პირების ვინაობას და აცხადებენ, რომ ისინი სპეციალური პრესკონფერენციის მოწვევას აპირებენ, სადაც დამნაშავეების გვარებთან ერთად მკვლელობასთან დაკავშირებულ იმ მტკიცებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც უკვე გადასცეს სამართალდამცავი უწყებების პირველ პირებს. **"პრაიმ-ნიუსი".**

# მოძალადე პოლიციელს თანამდებობა დაატოვებინეს

### გორის პოლიციის სამმართველოში მომხდარი ინციდენტის გამოძიება გრძელდება

სოფიკო ჩხაიძე

*სამი ახალგაზრდის ცემის გამო, პოლიციელი აიძულეს, თანამდებობა დაეტოვებინა, თუმცა, სავარაუდოდ, სასჯელი ამით არ ამოიწურება.*

ჩვენი გაზეთი უკვე წერდა გორის პოლიციაში სამი ახალგაზრდის - გიორგი ქარელის, ლევან სომხიშვილისა და ქართლოს ედიშერაშვილის ცემის შესახებ. როგორც თავად დაზარალებულები ყვებოდნენ, მათ ქუჩაში შელაპარაკება მოუვიდათ გამვლელი მანქანის მძღოლთან, რომელიც პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა. მას ბიჭები ჯერ მანქანიდან გადმოღებული ხელკეტით უცემია, რამდენიმე წუთში კი მათთვის პოლიციის შემადგენლობა დაუყენებია თავს. გორის პოლიციის სამმართველოს შენობაში მიყვანილი სამეული აქ უკვე ხუთ პოლიციელს უცემია. ახალგაზრდების თქმით, განსაკუთრებით აქტიურობდა გორის რაიონის პოლიციის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ ლომიტაშვილი. იმავე დღეს შინ საკმაოდ მძიმე დაზიანებებით გაშვებული ბიჭები მეორე დღესაც დაუკავებიათ. ისინი მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციის - "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონული კოორდინატორი ია მეფარიშვილი ჩაერთო. თუმცა, გათავისუფლებამდე ერთ-ერთი დაკავებული კიდევ გაილახა – როგორც გიორგი ქარელი ამბობს, ლომიტაშვილმა ის წიხლებით ცემა იმის გამო, რომ საქმეში ადამიანის უფლებათა დამცველის ჩართვა გაბედა. ია მეფარიშვილმა, რომელიც, "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორობასთან ერთად, პოლიციაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობასაც ითავსებს, ახალგაზრდები თბილისში ექსპერტიზის ჩასატარებლად ჩამოიყვანა. ექსპერტიზამ სამივეს აღმოუჩინა სხეულზე ცემის კვალი. შესაბამისი დასკვნით გორში ჩასულმა ადამიანის უფლებათა დამცველმა მონიტორინგის საბჭოს სხდომა ჩაატარა და პოლიციის ხელმძღვანელობისგან მკაცრად მოითხოვა მოძალადე პოლიციელის დასჯა.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ის იშვიათი შემთხვევა გამოდგა, როცა პოლიციის ხელმძღვანელობა არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნას უყოყმანოდ დაეთანხმა და ავთანდილ ლომიტაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. თუმცა, ცხადია, ეს საკმარისი სასჯელი არ გახლავთ მოძალადე პოლიციელისთვის. როგორც ჩვენთვის ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ინციდენტის ირგვლივ მოკვლევას უახლოეს მომავალში დაასრულებს და მოკვლევის მასალებს გენერალურ პროკურატურას გადასცემს, რა თქმა უნდა, თუ ლომიტაშვილის საქციელში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები აღმოაჩინა. ამის შემდეგ, უკვე პროკურატურა გადაწყვეტს, აღძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ.

როგორც ია მეფარიშვილი აცხადებს: **"პოლიციაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო საქმის შემდგომ მსვლელობაზე კონტროლს განაგრძობს. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ პოლიციელს, რომლებიც, დაზარალებულების თქმით, ლომიტაშვილთან ერთად სცემდნენ მათ, ბიჭები მათ ვინაობას ვერ ასახელებენ. ამიტომ საეჭვოა, რომ ამ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას".**

# პროკურორის საქმის განხილვა ორი წლის მანძილზე ჭიანურდება

თამარ კაციტაძე

*ვაკე-საბურთალოს რაიონის ერთ-ერთი არჩევნების დროს "ადვოკატთა პარტიის" კანდიდატი ომარ მდივნიშვილი, რომელიც მისივე თქმით, საარჩევნო კამპანიას საბჭოთა პერიოდში გერმანიის კაზინოში მოგებული თანხით აწარმოებდა, ამომრჩევლებს, მხარდაჭერის შემთხვევაში, სრულყოფილი კანონების შექმნასა და სამართლიანობის სრულ დაცვას ჰპირდებოდა. იმ არჩევნებში ყოფილ სამართალდამცველს აშკარად არ გაუმართლა და ვერც დეპუტატის სასურველი მანდატი მიიღო და ვერც იმუნიტეტი.*

*არადა ეს უკანასკნელი მას აშკარად სჭირდებოდა.*

წლების განმავლობაში ერთ სართულზე ცხოვრობდნენ თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე ომარ მდივნიშვილი და ლეილა კანკია, რომლებსაც ნორმალური მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. მართალია, ერთხელ მდივნიშვილის მეუღლეს მარტოხელა მეზობლისთვის ნაგვის "ბუნკერის" ტერიტორიის მიერთება უთხოვია, რაზეც კანკიასგან უარი მიიღო, მაგრამ ამას ორ ოჯახს შორის ურთიერთობა არ გაუფუჭებია.

2000 წლის 6 ივლისს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა.

**"ჩემი და ავად იყო და ამიტომ გარკვეული პერიოდი მასთან ვცხოვრობდი. საღამოს დეიდის სანახავად მოსულები იყვნენ ჩემი შვილები - გიორგი და ირმა მეტრეველები, სიძე დავით მაისურაძე, ნათესავები - ქრისტინე დანელია და 11 წლის სოფო გერგია. მოულოდნელად ხმაური შემოგვესმა. "გლაზოკში" გავიხედე და დავინახე, ომარ მდივნიშვილი საკუთარ კარებს ეჯაჯგურებოდა, გასაღებით რომ ვერ გააღო, წიხლებს ურტყამდა. მივხვდი, რომ ნასვამი იყო და ოთახში დავბრუნდი. ცოტა ხანში მტვრევის ხმა შემოგვესმა, ისევ გავიჭყიტე და დავინახე, ომარს ტელევიზორი გამოუთრევია, რომელიც "ბუნკერთან" გვედგა და რკინის საგანს ურტყამდა. მე და ჩემი ვაჟი გიორგი გავედით და მეზობლის დამშვიდება ვცადეთ. ომარმა გვითხრა - ცოტა ხანი დამელოდეთო, სახლში შევიდა და სადარბაზოში რომ გამოვიდა, დავინახეთ, ხელში პისტოლეტი ეჭირა. მაშინვე ბინისკენ გავიქეცით, მაგრამ ომარი გამოგვეკიდა და კარების დაკეტვის საშუალებას არ გვაძლევდა. რკინის კარები რამდენიმე ადამიანმა ძლივს ჩავკეტეთ. ამან, როგორც ჩანს, მეზობელი გააბრაზა და კარებს რამდენჯერმე ესროლა, თან იარაღს და წიხლებს ურტყამდა. შეშინებულებმა პოლიციაში - 02-ზე დავრეკეთ. აღელვებულმა ჩემმა დამ პოლიციას უთხრა – პროკურორი გვესვრის და გვიშველეთო. რომ გაიგეს პროკურორი ისვრისო, გვიპასუხეს – ჩვენ არ გვეხებაო. რამდენჯერმე დარეკვის შემდეგ სხვა ნომერი მოგვცეს – აქ დარეკეთო. მაგრამ პოლიციელები არც იმ ნომერზე დარეკვის შემდეგ გამოჩენილან. მდივნიშვილის ტერორი, დაახლოებით, საათნახევარი გაგრძელდა. ბოლოს იძულებულნი გავხდით ნათესავი პარლამენტარისთვის დაგვერეკა, რომელმაც მომხდარის შესახებ სამთავრობო დაცვას შეატყობინა. სამთავრობო დაცვის თანამშრომლების მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე მდივნიშვილი სახლში შევიდა. ამასობაში პოლიციაც გამოჩნდა. გასაუბრების შემდეგ მე და ჩემი და პოლიციის განყოფილებაში წაგვიყვანეს. ვინაიდან პროკურორი სიტყვიერად კვლავ გვემუქრებოდა, ამიტომ მოვითხოვეთ, განყოფილებაში ისიც წამოეყვანათ,"** – ასე გაიხსენა ორწლინახევრის ისტორია ჩვენთან საუბარში ლეილა კანკიას დამ, მერი კანკიამ.

დებს დიდუბის რაიონის პოლიციაში ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს და მეორე დღისთვის დაიბარეს. დაზარალებულთა მტკიცებით, იმავე საღამოს პოლიციის განყოფილებიდან დაბრუნებულ პროკურორს ლანძღვაგინება და კარებზე წიხლების რტყმა ისევ გაუგრძელებია.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მეორე დღეს მეზობლები პოლიციის განყოფილებაში კვლავ შეხვედრიან. ლეილა კანკიას თქმით, თავდაპირველად მდივნიშვილს თავი ისე დაუჭერია, თითქოს არც ახსოვდა, წინა ღამეს რაც მოხდა. განყოფილების უფროსთან ერთი-ერთზე რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ შემდეგ კი პროკურორს ბოდიშის მოხდის ტონით მორიგებაზე საუბარი დაუწყია.

**"მეზობლის დაპატიმრების სურვილი ნამდვილად არ მქონია, მაგრამ მის მოპირდაპირე მხარეს რომ ველარ ვიცხოვრებდი, აშკარა იყო. ამიტომ შევთავაზე, სადმე ახლოს ისეთივე ბინა ეყიდა, როგორიც ჩემია და საცხოვრებლად იქ გადავიდოდი. რამდენიმე ბინა მართლაც მაჩვენეს, მაგრამ გაცილებით უარესი პირობებით, ამიტომ არ დავთანხმდი. ის ბინა, რომელიც ჩვენ შევარჩიეთ - ეძვირათ. ასე გავიდა ორ თვეზე მეტი. მე კი მიღებული სტრესი თანდათან უფრო მიძლიერდებოდა,"** – გვითხრა მთავარმა დაზარალებულმა.

ამასობაში კანკიების ისტორია "რადიო თავისუფლებამ" გადასცა, რის საფუძველზეც გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა დაიწყო და სისხლის სამართლის საქმეც აღძრა. პარალელურად, მდივნიშვილი პროკურორთა რიგებიდან დაითხოვეს.

როგორც ლეილა კანკიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სწორედ ამ პერიოდში მასთან მდივნიშვილის ადვოკატი მისულა, წინასწარ შედგენილი ჩვენების ტექსტი მიუტანია და დაურიგებია – ამგვარი შინაარსის ჩვენება დამიწერეთ, მერე ნოტარიუსთან წავიდეთ, რეგისტრაციაში გავატაროთ, უკან დაბრუნებისას კი 15 ათას დოლარს მოგცემთ და ბინა თქვენ თვითონ იყიდეთო. მაგრამ ამგვარ გარიგებაზე კანკიებს უარი უთქვამთ.

რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, ხულიგნობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე (ითვალისწინებს სამიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას) შემდგომი განხილვისათვის საოლქო სასამართლოში გადაიგზავნა.

პირველი პროცესი საოლქო სასამართლოში 2001 წლის 21 იანვარს დაინიშნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე გადაიდო. დაზარალებულებისთვის სასამართლოში აუხსნიათ – ვინაიდან ბრალდებული თვითონაც პროკურორია, ამიტომ მის წინააღმდეგ პროცესზე გამოსვლა არც ერთ პროკურორს არ უნდა და საქმის განხილვა ამიტომაც ჭიანურდებაო.

ბოლოს, როგორც იქნა, თბილისის პროკურატურის პროკურორის ბრალმდებლობა აფხაზეთის პროკურატურის პროკურორს უკისრია, მაგრამ საქმე თვითონ საოლქო სასამართლომ აიცილა. **"მდივნიშვილი სხვა პირებთან ერთად დამფუძნებელია ქართული სამართლის აღორძინებისა და განვითარების კავშირის - "მდივანბეგის", რომლის საქმიანობის მიზანშიც, სხვა საკითხებთან ერთად, მითითებულია ადამიანის უფლებათა დაცვა და საადვოკატო მომსახურების გაწევა. აქედან გამომდინარე, იგი საადვოკატო საქმიანობას ეწევა,"** – დაასკვნა მოსამართლემ და "ადვოკატთა კანონიდან" გამომდინარე, საქმე უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.

ამასობაში კიდევ ერთი წელი გავიდა. 2002 წლის 24 სექტემბერს კი ყოფილი პროკურორის საქმე მათელი რიგი შენიშვნებით ზემდგომმა სასამართლომ განსახილველად საოლქო სასამართლოს უკან დაუბრუნა – **"სასამართლოს უფლება აღარ ჰქონდა ეს საქმე განსჯადობის მიხედვით სხვა სასამართლოსთვის გადაეცა,"** – აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს განჩინებაში.

**"მიმდინარე წლის იანვარში ფოთიდან და ბორჯომიდან იმ ინციდენტის დროს ჩემთან სახლში მყოფი ახლობლები დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს - 17 იანვარს საოლქო სასამართლოში ვართ დაბარებულებიო. მართალია, ჩვენ შეტყობინება არ მოგვსვლია, მაგრამ სასამართლოში მაინც წავედით (როგორც მოგვიანებით აგვიხსნეს, ქალაქგარეთ ტელეგრამა გაუგზავნიათ, ჩვენთან დაკავშირება კი წერილობით უცდიათ, მაგრამ შეტყობინება დღემდე არ მოგვსვლია). საქმე აფხაზეთის უზენაეს სასამართლოში დაგვხვდა გადაგზავნილი. მოსამართლე ქირიამ გვითხრა – საოლქო სასამართლოს ბევრი საქმე აქვს და ჩვენ ვეხმარებითო,"** – გვითხრეს დებმა კანკიებმა.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მართლაც ეხმარებიან უზენაესი სასამართლოს კოლეგებს, მაგრამ რა პრინციპით უნდა მოხდეს საქმეების გადანაწილება, განკარგულებაში არაფერია ნათქვამი. ფაქტია, საოლქო სასამართლომ არასასურველი საქმის აცილება სწორედ აღნიშნული განკარგულებით მოახერხა და ხელებიც დაიბანა.

აფხაზეთის უზენაეს სასამართლოში კი კანკიების საქმე კვლავ ძველ ლაბირინთში გაეხვია და პროცესიც უკვე მეოთხედ გადაიდო. ბოლო პროცესზე საქმის გასაცნობად ხუთდღიანი ვადა განსასჯელის ადვოკატმა მოითხოვა.

დაიწყება თუ არა 10 თებერვალს დანიშნული პროცეს, წინასწარ ძნელი სათქმელია. მით უმეტეს ძნელია იმის გათვლა, როდის ან რა შედეგით დასრულდება იგი, რადგან ყოფილ პროკურორს, კანკიას კარებზე ნასროლ ოთხ ტყვიასთან დაკავშირებით, საკუთარი ვერსია გააჩნია. ყოფილი კანონდამცველი, რომელმაც კარგად იცის, რომ ცრუ ჩვენებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება, ირწმუნება - ჩემს სახლში ქურდები შედიოდნენ და იმათ ვესროლეო.

თითქმის სამწლიანი დავით დაღლილი ლეილა კანკია კი აღნიშნავს: **"ყოფილი პროკურორის საქმის განხილვა არავის უნდა. თანაც ციხეში მოხვედრილი მდივნიშვილი შეიძლება უფრო გაბოროტდეს და იქიდან გამოსვლის შემდეგ რას იზამს, ღმერთმა იცის. ამიტომ ახლაც თანახმა ვარ, ბინა მიყიდოს და მორალური ზიანი აგვინაზღაუროს".**

# ვისია ხუთჯვრიანი დროშა?

ზაალ დგებუაძე

დროშის გარშემო ატეხილმა ციებ-ცხელებამ კულმინაციას მიაღწია და თითქოს ჩაქრა. ქუჩის აქციებიდან და შიმშილობიდან ცივილურ-ცივილიზებულ არენაზე გადაინაცვლა - სასამართლო დარბაზში. რა არ მოგვისმენია, რა არ წაგვიკითხავს ამ ხანებში. მერიის წინ აღმართულ ტრანსპარანტზე ეწერა: "შევარდნაძე, ხელები შორს ქართული დროშისგან". ეს დიდი ხნის ნაცნობი ფრაზა არასწორად არის გამოყენებული. როცა ერთი მეექვსედიდან გასძახოდნენ: "ამერიკავ, ხელები შორს კორეისგან" (ან ვიეტნამისგან და ა.შ. დაუსრულებლად), იგულისხმებოდა, რომ შეძახილის ადრესატი ემუქრება ან ჩაბღაუჭებულია ამ ობიექტებს. ჩვენი პრეზიდენტი ნამდვილად არ იმსახურებს ამ ყოვლად მკვახე შეძახილს, იმ ცნობილი რეჟიმის გადმონაშთს, რომლის ერთ-ერთი ბურჯი თავად იყო ("დრო იყო ასეთი"). პრეზიდენტი არც აპირებს, ხელყოს ეს დროშა, დაისაკუთროს იგი ან წაართვას ქვეყანას, ქრისტიან ხალხს, დასტოვოს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა მრავალსაუკუნოვანი "ქართული დროშის" გარეშე. არც უფიქრია. უცდის მომენტს, როგორც მას სჩვევია. მას ფიქრის დრო კიდევ დარჩა - ორ წელიწადზე მეტი ხანი. მაგრამ "ხუთჯვრიანი დროშის" მხარდამჭერნი კი ნამდვილად ჩქარობენ. დროშა მათ ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ უნდა წაუძღვეს, თან ფართო მასებიც გაიყოლოს.

პროფანაცია აშკარაა ორივე მხრიდან - მხარდამჭერთაგან და უარისმყოფელთაგან. პირველნი აფრიალებენ ამ დროშას ყველგან ჯიქურად, აგრესიულად, გამომწვევად. მეორენი ლანძღავენ, გმობენ ასევე აგრესიულად, აცამტვერებენ მას. ერთმა დეპუტატმა, მგზნებარე "მართლმადიდებელმა", ხუთჯვრიანი ალმების დაწვისკენ მოუწოდა ბრბოს, ხოლო ალმისტარების კეტებად გამოყენება ურჩია, როცა ის საკრებულოს გარეკვას გადაწყვეტს. "საბოლოოდ უნდა დასამარდესო" - დროშაც და საკრებულოც. რატომ? ხუთი ჯვარი კათოლიკურია, ერგო, მისი ამფრიალებელნიც, მამანი საკრებულოსანი, ამავე რჯულისანი არიან. დროშა უნდა განადგურდეს. მისი ადგილი არათუ მერიის თავზე, საქართველოშიც არ არის. ის დააბრკოლებს მის გაბრწყინებას. ეჭვი არ არის, ჩვენს თვალწინ თავისუფლად იფურჩქნება ფსევდომართლმადიდებლურ-სექტანტური ცნობიერება. აქ ვაწყდებით ჯვრისადმი სექტანტური მიდგომის კლასიკურ-ქრესტომათიულ შემთხვევას.

შეაწუხეს ეკლესიაც, რომლის ხმამ ვიეთთათვის სამწუხაროდ, ვიეთთათვის სასიხარულოდ უარყო მისი კათოლიკობა და, ასე გასინჯეთ, მასონობაც (თუმცა, რა მიზეზით დაისვა მასონობის საკითხი ჯვრებთან დაკავშირებით, გაუგებარია), ჩათვალა რა ძირძველ მართლმადიდებლურ, მაშასადამე, ქართულ დროშად, ლამის გორგასლიან-დავითიანად. ამის გამგონე ვიღაც წარსულში იცინის ან იღუშება. ბოლოს და ბოლოს, არსებობს წარსული, თუ ყოველივე, რაც მომხდარა, - ვის რა მოუპოვებია, ვინ რა ნიშნით აღჭურვილი შესულა იერუსალიმში, - ყველაფერი სამარადისოდ დავიწყებულია, ყველაფერი უგზოუკვლოდ დაკარგულია? ან იქნებ მხოლოდ ქართველებს გვაქვს წარსული და მხოლოდ ჩვენ გვმართებს მისი არდავიწყება? ისტორიას ახსოვს და არ დაიკარგება არათუ დროშის პატრონის სახელი, არამედ ის მკვახე შეძახილიანი ტილოც კი, რომელიც, შესაძლოა, სადმე სარდაფში ლპებოდეს, საბოლოოდ დალპეს, გაიხრწნას, მაგრამ რაკი ერთხელ დღის სინათლეზე გამოიფინა მისი ტექსტი, სამარადისოდ იჟღერებს თავისი მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტებით, ასე დარჩება უხილავად ამ ქვეყნის ეთერში და, როგორც ცნობილი უმბერტო ეკო, მწერალი და სემიოტიკოსი გვასწავლის, ახალ-ახალი შინაარსებით აივსება.

ერთმა მგზნებარე "დამცველმა" მართლმადიდებლობისა უაღრესად საპატიო პირისადმი იკადრა თქმა, ცრუობსო და დაასკვნა: "ვისაც კი საქართველოს ისტორიისა ცოტა მაინც რამე გაეგება, ყველასთვის ნათელია, რომ აღნიშნული ხუთჯვრიანი დროშა კათოლიკური და მისიონერულიაო" ("ასავალ დასავალი", 13-19 იანვ., მსურს, დავიჯერო, რომ ეს "მისიონერული" ავტორისეული არ არის). ცრუობა რა საკადრისია, მაგრამ, ამ საკითხში რომ მართალს არც ერთი მხარე არ ამბობს, ეს ცხადია. მაგრამ რა შუაშია აქ საქართველოს ისტორია? განა ყველა ხვეული ამ ქვეყნის ისტორიისა ყველასათვის ცნობილია, თეთრი ადგილები აღარ დარჩა? დანამდვილებით ვიცით, რომ დღევანდელი "პატრიოტებივით" კრულავდნენ ხუთ ჯვარს მათი წინაპრები?

ერთნი ხელაღებით უარყოფენ: "ეს არის უცხო, დამპყრობლური ანტიმართლმადიდებლური დროშა", "უნდა დასამარდეს!"; მეორენი, როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკური წრეები, არანაკლებ მგზნებარე "მართლმადიდებლები" და, ამდენადვე, კატეგორიულნი, უარყოფენ მის რაიმე კავშირს კათოლიკურ სამყაროსთან, იმ მოტივით, რომ იგი ოდითგანვე იერუსალიმის სიმბოლო იყო და, ერგო, მართლმადიდებლური. ორივე მხარე სცოდავს ისტორიული სიმართლის წინაშე. საიდან მოდის ეს ზერელობა, მიყრუება-მიფუჩეჩება?



*ქართველების საპროტესტო მანიფესტაცია ნიუ-იორკში.*

**■ პრეზიდენტი არ ჩქარობს. უცდის მომენტს, როგორც მას სჩვევია.**

**■ ჯვრისადმი სექტანტური მიდგომის კლასიკურ-ქრესტომათიული შემთხვევა.**

**■ იქნებ მხოლოდ ქართველებს გვაქვს წარსული და მხოლოდ ჩვენ გვმართებს მისი არდავიწყება?**

**■ ორივე მხარე სცოდავს ისტორიული სიმართლის წინაშე.**

**■ გოტფრიდ ბულიონელი – წმიდა საფლავის მცველი, რომლის ღერბიც იყო ხუთჯვრიანი დროშა.**

**■ ქართველობას ვალი აქვს ხუთჯვრიანი დროშისა. მაგრამ მადლიერება არ ნიშნავს იმას, რომ ხუთჯვრიანი დროშა დღეს სახელმწიფო სიმბოლოთა შორის ვაღიაროთ.**

სად არის ჭეშმარიტება? ერთი პატივცემული ავტორი "ფრთხილი ვარაუდით" შენიშნავს, რომ ხუთჯვრიანი დროშა, იერუსალიმის სიმბოლო, "ეს ოდითგანვე წმინდა მიწის ემბლემა", თითქოს ჯვაროსნებს დაესაკუთრებინოს. ასეა? იქნებ პირიქითაც იყო? ანუ ჯვაროსნული წარმოშობის ნიშანი იერუსალიმის ღერბად იქცა?

ვიცით, რომ ჯვაროსნების ნიშანი ხუთჯვრიანი დროშა არ ყოფილა. ყველა ჯვაროსანს ჰქონდა ერთი ნიშანი - ეს იყო თეთრ ტილოზე გამოსახული მეწამული ჯვარი, ბერძნული ჯვარის ფორმისა, ოღონდ სიგრძივ დაწვენილი. ჯვაროსანთა ლაშქარში ცალკეულ დაჯგუფებებსაც ჰქონდათ თავ-თავისი ემბლემები. ყველაზე ცნობილთ მათ შორის - იოანელებს (წმ.იოანეს რაინდებს), რომლებიც მოგვიანოდ იერუსალიმის დაცემის შემდეგ ჯერ როდოსზე მკვიდრობდნენ, შემდეგ კი, თურქების შემოსევის შემდეგ, მალტაზე გადავიდნენ, მკერდზე ე.წ. "მალტური ჯვარი" ჰქონდათ გამოსახული. არათუ ორდენის მთელ კორპუსს, არამედ თითოეულ წინამძღოლსაც ჰქონდა თავისი პირადი ნიშანი, რომელსაც ის საომარ საჭურველზე გამოსახულს, როგორც ღერბს, ატარებდა.

ჰქონდა თავისი ნიშანი (ღერბი) ერთ ღირსეულ რაინდს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთ წინამძღოლს, ქვემო ლოთარინგიის (ამჟამინდელი ბელგიის აღმოსავლეთი ნაწილის) ჰერცოგს, გოტფრიდ ბულიონელს, რომელმაც (მანამდე უჩინო-უსახელომ) სახელი იერუსალიმის აღების დროს მოიხვეჭა. მან პირველმა აღმართა იერუსალიმის გალავანზე თავისი შტანდარტი - ხუთჯვრიანი დროშა (ახლა რომ უახლესი სრულიად ევროპის დროშასთან ერთად მერიის თავზე ფრიალებს). ეს მოხდა 1099 წელს. იგი იერუსალიმის მეფედ აირჩიეს, მაგრამ მეფობაზე უარი თქვა ეკლის გვირგვინოსანი უფლისადმი მოწიწების გამო და წმიდა საფლავის მცველის ტიტულით დაკმაყოფილდა. ისტორიაში იგი ცნობილია, როგორც ღვთისმოსავი რაინდი, რომელიც თავისი ქცევით (გადმოგვცემს იმჟამინდელი მატიანე) უფრო ბერს ჰგავდა, ვიდრე რაინდს; ის შელავათებს უწევდა სამღვდელოებას, სწყალობდა მათ, რასაც მას პოლიტიკური ისტორიკოსები სისუსტეში უთვლიან. სხვაგან კიდევ სად უნდა გამოჩენილიყო მისი ღვთისმოსავობა, თუ არა იმ ნიშანში, რომელიც მან (შესაძლოა, სასულიერო პირთა რჩევით) თავის ღერბად აირჩია. ეს იყო სწორედ ხუთი ჯვარი, რომელთაგან თითოეულმა სიმბოლურად ჯვარცმული მაცხოვრის თითო ჭრილობა გამოხატა. და რამდენადაც ეს კეთილშობილი რაინდი იერუსალიმის სამეფოს დამაარსებელი იყო, ბუნებრივია, მისი პირადი ნიშანი იერუსალიმის სამეფოს ღერბი გახდა (ანალოგიურად, ბაგრატიონთა დინასტიის ნიშანი საქართველოს სამეფოს ღერბიცაა). და ამ სახის ჯვარმაც იერუსალიმის ჯვრის სახელი დაიმკვიდრა ჯვრის სახეობათა ნომენკლატურაში. ასე განზოგადდა ერთი პიროვნების ღერბი სამეფო ღერბად. ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ხუთი ჯვარი ზედმიწევნილი სიმბოლოა ჯვარცმულის საფლავისა, რომლის მცველის ტიტულსაც ის ატარებდა სიკვდილამდე (1110 წ.). მის შემდეგ მისი ძმა ბოლდუინი გახდა უკვე გვირგვინოსანი მეფე იერუსალიმის სამეფოსი.

ასე რომ, ხუთჯვრიანი დროშა არც მართლმადიდებლურია (ამ ცნების ვიწრო კონფესიური სქიზმისშემდგომი გაგებით), არც ქართული, მით ნაკლებად, იმ პოლიტიკური ლიდერისა, რომელმაც მხოლოდ ააფრიალა იგი მერიის თავზე და თბილისის ქუჩებში - სეკულარული თვალსაზრისით დასაძრახისი აქ არაფერია. მაგრამ მის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გააფთრებული, ისტერიული ლაპარაკი დროშის "უცხო წითელ ჯვრებზე", "უცხო დამპყრობლურ ანტიმართლმადიდებლურ დროშაზე", მკრეხელობაზე მეტი იქნებოდა, სრული აბდაუბდა რომ არ იყოს. ამ ეპითეტების ავტორებმა, თუ ისინი ქრისტიანები არიან, უნდა იცოდნენ, რომ **ჯვარი ჯვარია** და თავის თავს არასოდეს დაუპირისპირდება. გაიხსენონ, თუ ოდესმე ქრისტეს მგმობელთ ჯვარის ნიშანი უტარებიათ. თუ ჯვაროსნებს "უცხო დამპყრობელთა" შორის ვიხსენიებით და პოსტ ფაქტუმ წყევლა-კრულვას ვუთვლით, ის ათასი ფრანგი (ფრანკი - გერმანელი) ჯვაროსანი რაინდიც უნდა დავკრულოთ, რომლებიც სწორედ უცხო დამპყრობლების გარეკვაში შეეწიენ დავით მეფეს დიდგორის ომში. უფრო ადრეც შეწევნა ირიბად მომხდარა. აი, რას გვამცნობს დავითის ისტორიკოსი: "ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს". ივ. ჯავახიშვილი ამ თარიღს უკავშირებს "საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენას". არ შევნიშნოთ, თუ ბრმები არ ვართ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იერუსალიმ-ანტიოქიის აღებასა და ქართლის "მოშენებას" შორის? ნუთუ ვერ ვგრძნოთ აქ წმ. საფლავის მცველის ხელს და მის ხუთჯვრიან ნიშანს?

ქართველობას ვალი აქვს ხუთჯვრიანი დროშისა. მისი აუგად მოხსენიება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ჯიბრზე (რაკი მათ აღმართეს), უმადურობაა. მაგრამ პიეტეტი, მადლიერება, არ ნიშნავს იმას, რომ ხუთჯვრიანი დროშა დღეს სახელმწიფო სიმბოლოთა შორის ვაღიაროთ. ჩემი აზრით, ეს დაუშვებელია ორი მიზეზის გამო.

**პირველი მიზეზი**. ხუთჯვრიანი სიმბოლო ეკუთვნის ქვემო ლოთარინგიის ჰერცოგს, შემდგომ წმ. საფლავის მცველს გოტფრიდ ბულიონელს და, რამდენი ათასწლეულიც არ უნდა გავიდეს, ამ სახის ჯვარი მისი კუთვნილება დარჩება უკუნითი უკუნისამდე. ის ამავე დროს იყო სიმბოლო იერუსალიმის, თუმც ეფემერული სამეფოსი, რომელმაც მხოლოდ ას წელს იარსება. სამეფო დაეცა, მაგრამ ჯვარი დარჩა, ამჯერად იერუსალიმის ჯვრის სახელწოდებით, და დღემდე ასეა და ასე გასტანს უკუნითი უკუნისამდე.

**მეორე მიზეზი.** საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია აღმართოს, გაშალოს, პროცესიაზე წაიმძღვაროს ნებისმიერი სახის ჯვრიანი დროშა, რადგან როგორც ერთი ლათინური გამოთქმა ღაღადებს: ცრუხ ესტ სემპერ ცრუხ (ჯვარი მარად ჯვარია), მათ შორის, თუნდაც კოპტური ჯვარი, რომლის იდენტური საგან-ნიშანი ფარაონებს ეპყრათ ხელთ, და მითუმეტეს, ხუთჯვრიანი დროშა - განა ის საქართველოს ეკლესიის, როგორც კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის, ისტორიის ნაწილი არ არის? მაგრამ რაც შეუძლია ეკლესიას, რისი უფლებაც მას აქვს, არ ხელეწიფება სახელმწიფოს. ხუთჯვრიანი დროშა, - ამაზე არავინ არაფერს ლაპარაკობს, არც ბერი, არც ერი, - პირწმინდად ლიტურგიულია: თუ ხუთი ჯვარი ქრისტეს ხუთ ჭრილობას გამოხატავს, ეს იმას ნიშნავს, რომ დროშაზე სიმბოლურად ჯვარცმული მაცხოვარია გამოხატული. და რატომ უნდა იყოს სახელმწიფოს დროშა ამ სიმბოლიკის შემცველი, როცა ეს სახელმწიფო არათუ თეოკრატიული არ არის, არამედ, უბრალოდ, არც ქრისტიანულია, ამ ცნების მკაცრი, სიღრმისეული გაგებით. განსაჯოს ერმა და ბერმა, თუ ოდნავ მაინც შეესატყვისება ეს სახელმწიფო, რაც უნდა გაბრწყინდეს იგი მომავალში, ამ მძიმე, სტიგმატურ, სისხლმდინარ დროშას?

# რუსეთის პოლიტიკა მხოლოდ მზაკვრობას და უხეშ ზეწოლას ემყარება

A3 გვერდიდან

დასავლეთს, შესაძლოა, სერიოზული ბიძგი მიეცეს, რომ ამ საკითხს უფრო სერიოზულად მოჰკიდოს ხელი და პრიორიტეტად გაიხადოს.

**ლევან მიქელაძე:** არ მეგულება ნორმალური ქართველი, რომელსაც სამშვიდობოების იქ ყოფნა უხარია. მაგრამ ცოტა ხნით უფრო პრაგმატულები გავხდეთ. რასაც ბატონი არჩილი ამბობს, ეს ძალიან საინტერესოა და პროვოცირების ელემენტს მართლაც შეიცავს დასავლეთისთვის. მაგრამ, მეორეს მხრივ, ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სარისკო ნაბიჯი იქნება.

**არჩილ გეგეშიძე**: ანუ ვკარგავთ ორ რამეს, დევნილებს აგდებენ გალიდან და სერიოზული პრობლემები იწყება კოდორში.

**ლევან მიქელაძე**: გარდა ამისა, იქიდან გადის საერთაშორისო ელემენტი, იუნომიგი (გაერო-ს დამკვირვებელთა მისია)

**არჩილ გეგეშიძე**: მაგრამ რას აკეთებს რეალურად იუნომიგი. მისი თანამშრომლები მაღალ ხელფასებს იღებენ და სხვა არაფერი. .

**ალექსანდრე რონდელი:** მოდით, ამ საკითხს უფრო ღრმად შევხედოთ. ჩვენს მიმართ მზარდი ინტერესი დასავლეთს 1997-1998 წლების ჩათვლით ჰქონდა. მერე დაიწყო სტაგნაცია. რატომ? ქვეყანას შიგნიდან მატლები ჭამენ. ეს მატლები უკვე ძალიან გამრავლდნენ. ამას ხედავს ყველა. მტერი რომ ხედავს, აშკარაა. გარდა ამისა, ჩვენი მოკავშირეებიც კარგად გრძნობენ ჩვენს სისუსტეს. ბუნებრივია, თუ კონფლიქტის ზონიდან რუსები გავლენ, პროვოკაცია აუცილებლად მოხდება. იმ ფონზე, როცა ბუში და პუტინი ერთმანეთს "თვალებში უყურებენ", არავის აქვს იმედი, რომ ამ პრობლემებს დამოუკიდებლად დავძლევთ.

**არჩილ გეგეშიძე:** ჩვენი ფასი დასავლეთისთვის უკვე ძალიან დაბალია.

**ლევან მიქელაძე:** მაგრამ ის მაინც მზარდია. ამ ტენდენციას ხელი არ უნდა შეუშალოს შიდა პროცესებმა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყველა პრობლემის გასაღები ჩვენი სახლმწიფოს გაძლიერებაშია.

**არჩილ გეგეშიძე**: საქართველო დასავლეთისათვის მნიშვნელოვანია, როგორც საცოდავი, დასახმარებელი ქვეყანა და არა მოკავშირე, პარტნიორი სახელმწიფო.

**ლევან მიქელაძე:** მსოფლიო იცვლება. ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოება ჩვენ დიდ შესაძლებლობას გვაძლევს. ეს მათთან თანამშრომლობისა და ინტეგრირების შანსს ზრდის. მჯერა, ასეც მოხდება, თუ არ იქნება რელიგიური უმცირესობების მუდმივი დარბევა, თუ გამოსწორდება საკადრო პოლიტიკა, თუ საქართველოს ხელისუფლებას ექნება მკაფიო და მიზანმიმართული სტრატეგია აფხაზეთთან მიმართებაში.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ დღეს ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა იყოს კოდორის ხეობის დაცვა, რომელსაც რუსები უკვე სიზმარში ხედავენ. როგორ შეიძლება, ასე იზოლირებული იყოს ეს რაიონი დანარჩენი საქართველოსაგან, ნუთუ არ შეიძლება, გზა მაინც გაგვეკეთებინა? ასეთივე პრობლემა დგას სამცხე-ჯავახეთში. ღამე არ უნდა გვეძინოს ამ პრობლემებზე ფიქრით.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ქვეყნის ერთიანი სტრატეგიის საკითხია.

ჩვენ დიდი ნაბიჯებით უნდა ვიაროთ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ და ამ გზაზე უამრავი რამ არის გასაკეთებელი. მაგალითად, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება. თუ ამ არჩევნებმა არ მიიღო უმაღლესი შეფასება, ჩვენს მიმართ ნდობა გაქრება. ნატო-ში გასაწევრიანებლად მხოლოდ სამხედრო რეფორმა არ არის საკმარისი, თუ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა ვერ შევძელით, მაშინ დანარჩენი ყველაფერი ილუზიაა.

თანაც, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება ღირებულია არა მხოლოდ როგორც მიზანი. ამ გზაზე გადადგმული ნაბიჯებიც კი ქვეყანას უზარმაზარ სიკეთეს მოუტანს.

**არჩილ გეგეშიძე:** მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლითა და ბაქო-ჯეიჰანით საქართველო იმდენად მნიშვნელოვანი ვერ გახდება დასავლეთისათვის, რომ მისი გულისათვის ის სერიოზულად დაუპირისპირდეს რუსეთს. ჩვენ უფრო დემოკრატიული, მიმზიდველი და საჭირო ქვეყანა უნდა გავხდეთ და არა მხოლოდ მისახედი და სარეანიმაციო. თუ ჩვენ გავხდით დასავლეთის ინტერესების დასაყრდენი და ფორპოსტი ამ რეგიონში, მაშინ ის მეტად იზრუნებს საქართველოში სტაბილურობაზე და მაშინ მათი სტაბილურობის ფორმულა დაემთხვევა ჩვენსას.

**რუსეთი მტაცებელია, რომლის მოშინაურება მხოლოდ ძალით შეიძლება. ჩვენთთან მიმართებაში მისი მოშინაურება დასავლეთს არ უცდია, მაშინ როცა ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში იგი მოაშინაურეს.**

**ალექსანდრე რონდელი:** ჩვენ დღეს მხოლოდ საერთაშორისო მათხოვრები ვართ და მეტი არაფერი

**- რუსების მიერ ახლახან შემოთავაზებული ფორმულა, რკინიგზის მაგისტრალური ხაზის აღდგენა და ლტოლვილების დაბრუნების სინქრონიზირება, რამდენად არის მისაღები ჩვენთვის? მეორე მხრივ, არის თუ არა რკინიგზის აღდგენა რუსეთისათვის ისე მნიშვნელოვანი, რომ ამის სანაცვლოდ აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნებას დათანხმდეს?**

**ივნისში რუსები აპირებენ აეროპორტის გახსნას აფხაზეთში. ისევ პოსტ-ფაქტუმ უნდა ავტეხოთ ამაზე აჟიოტაჟი?**

**არჩილ გეგეშიძე**: ეს საკითხი დიდი ხანია დგას და, სხვათა შორის, ჩვენი ინიციატივით. ჩვენ თანახმა ვიყავით ამგვარ გაცვლაზე.

**ჩვენს მიმართ მზარდი ინტერესი დასავლეთს 1997-1998 წლების ჩათვლით ჰქონდა. მერე დაიწყო სტაგნაცია. რატომ? ქვეყანას შიგნიდან მატლები ჭამენ. ეს მატლები უკვე ძალიან გამრავლდნენ. ამას ხედავს ყველა.**

მაგრამ აფხაზური მხარე იყო ყოველთვის წინააღმდეგი. არაფრის დიდებით არ თანხმდებოდა გალში ლტოლვილების დაბრუნებას.

საერთოდაც, ვფიქრობ, რომ სანქციები არცთუ ისე შედეგიანი აღმოჩნდა.

**ლევან მიქელაძე**: მართალია, მაგრამ სანქციები რეალურად ხომ არ განხორციელებულა.

**არჩილ გეგეშიძე**: დიახ, მაგრამ ნათელია, რომ ვერც განხორციელდებოდა. საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ სანქციები ეფექტურად იშვიათად მუშაობს. მით უმეტეს, რომ დსთ-ს გადაწყვეტილება სანქციების შესახებ იმდენ იურიდიულ ხვრელს შეიცავს, რომ მათთვის გვერდის ავლა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს.

დღეს ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ, სანქციები არ მოქმედებს, მაგრამ ჩვენ მაინც ბრალს გვდებენ იმაში, რომ აფხაზ ხალხს ვახრჩობთ. მეორეც, რაში დაეხმარება აფხაზეთს ეკონომიკურად რკინიგზის აღდგენა? ხომ ნათელია, რომ რუსი აფხაზს სატრანზიტო გადასახადს არ გადაუხდის.

**ლევან მიქელაძე:** მაგრამ, არსებობს სახელმწიფოებრივი პოზიცია, რომელიც თანამიმდევრული უნდა იყოს. ჩვენ სულ რაღაცეებს ვთმობთ, მაგრამ სანაცვლოდ არაფერს ვიღებთ, განსაკუთრებით მთავარ საკითხში, რაც არის ლტოლვილების დაბრუნება, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სტატუსი.

**არჩილ გეგეშიძე**: თუ რკინიგზა გაიცვლება ლტოლვილების დაბრუნებაში, გარდამავალ ადმინისტრაციაში და სამშვიდობო ოპერაციის გადაწევაში მდინარე მოქვამდე, მაშინ ვფიქრობ, დათანხმება შეიძლება

**ამდენი ხანია, რუსეთს კონფლიქტის მოგვარებისათვის ერთი სასიკეთო ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს. მისი პოლიტიკა მხოლოდ მზაკვრობას და უხეშ ზეწოლას ემყარება. ჩვენ კი იმის გამო, რომ სუსტები ვართ, მუდმივად მივდივართ დათმობაზე.**

**ლევან მიქელაძე**: სამწუხაროდ, ძალიან დიდი შანსია, რომ ჩვენ ამაზე დაგვითანხმონ და მერე არაფერი მოგვცენ. ამიტომ, ყველაფერი დაწვრილებით უნდა იყოს გაწერილი.

**ალექსანდრე რონდელი**: ჩვენთან ურთიერთობაში რუსეთს აქამდე არც ერთი პირობა არ შეუსრულებია. რა გარანტიაა, რომ ამ პირობას შეასრულებს?

ამდენი ხანია, რუსეთს კონფლიქტის მოგვარებისათვის ერთი სასიკეთო ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს. მისი პოლიტიკა მხოლოდ მზაკვრობას და უხეშ ზეწოლას ემყარება. ჩვენ კი იმის გამო, რომ სუსტები ვართ, მუდმივად მივდივართ დათმობაზე. ამჯერადაც, ეს წინადადება მორიგ მზაკვრობად მიმაჩნია, რომელსაც შორსგამიზნული გეგმები უდევს საფუძვლად

**არჩილ გეგეშიძე**: თუ პირობა არ შეასრულეს, რკინიგზის გადაკეტვაზე ადვილი რა არის?

**ალექსანდრე რონდელი**: მაგრამ ჩვენ მაინც მოტყუებულები გამოვდივართ.

**არჩილ გეგეშიძე:** რკინიგზის აღდგენა კი არ უნდა გავაჩუქოთ, არამედ რაც შეიძლება ძვირად უნდა გავყიდოთ.

**- საუბრის ბოლოს, იქნებ შევეცადოთ, პატარა რეზიუმე გავაკეთოთ. ბატონო ლევან, რატომ შესუსტდა ამ ბოლო დროს საქართველოს პოზიციები საერთაშორისო არენაზე?**

**ლევან მიქელაძე:** პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში გახდა ძალიან აგრესიული და ჩვენ გვიჭირს, მას რაიმე დავუპირისპიროთ.

ახლა, ყველაზე მთავარია, რომ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან, ასე გაგრძლება არ შეიძლება. პირველ რიგში, საჭიროა ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც შედარებით დაბალ, ოპერატიულ დონეზე (კოდორი, გალი, სამშვიდობო ოპერაციის გაფართოება), ისე მაღალ დონეზე (ქვეყნის ერთიანი სტრატეგია). ეს პოლიტიკა უნდა იყოს ძალზე აგრესიული, რა თქმა უნდა, კონსტრუქციულად; უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო სტრატეგია რუსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში.

საერთაშორისო გარემოს რაც შეეხება. ერაყის კამპანიის დასრულების შემდეგ შეიქმნება ახალი უსაფრთხოების სისტემა. იმედი მაქვს, რომ მისი ნაწილი საქართველოც იქნება.

დიპლომატიურ ფრონტზეც, მართალია, ძალიან ხშირად დახურულ კარებს ვაწყდებით, მაგრამ ხელის ჩაქნევა არ შეიძლება. უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო.

და კიდევ ერთი, რასაც განსაკუთრებით მინდა, ხაზი გავუსვა - დღეს ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება კოდორს. პანკისში ისევ შეიძლება ბომბები ჩამოყარონ და ცხვრები დახოცონ, ქალაქების დაბომბვას ვერ გაბედავენ, ამიტომ ყველაზე დიდი საფრთხე კოდორს დაემუქრება. ცნობილია, ჯერგენია იმას გადაყვა, რომ რუსებმა ვერ დაითანხმეს კოდორში პროვოკაციის მოწყობაზე.

**არჩილ გეგეშიძე:** დღეს თუკი რუსეთს საიდანმე ემუქრება დეზინტეგრაციის საფრთხე, ეს არის პირველ რიგში ჩრდილოეთ კავკასია, განსაკუთრებით ჩეჩნეთი, რომელსაც სამხრეთიდან მხოლოდ საქართველო ესაზღვრება. ამიტომ საქართველო მათთვის მნიშვნელოვანია.

საქართველოს რუსეთი აღიქვამს, როგორც ყველაფერ ცუდის, ნატოურის, ამერიკულის, თურქულის კარიბჭეს, რომლის გადაკეტვაც, მისი აზრით, აუცილებელია.

იმისათვის, რომ თავისი შეზღუდული რესურსების პირობებში საქართველოზე ზეწოლის ბერკეტები შეინარჩუნოს, რუსეთი ყველანაირად ცდილობს, კონფლიქტის ნებისმიერ გადაწყვეტას ხელი შეუშალოს; ამიტომ ახალ-ახალ რაღაცეებს იგონებს, რათა ყველასათვის საჭირო მესამე მხარედ დარჩეს, რასაც დღემდე ახერხებს კიდეც. როგორც ხედავთ, ჩვენ სამშვიდობოების გაყვანასაც ვერ მოვითხოვთ.

**ალექსანდრე რონდელი:** ბატონმა ლევანმა ბრძანა, რომ რუსეთი ჩვენს მიმართ საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ იცავს. იმიტომ არ იცავს, რომ იმედი აქვს, გაუვა, რადგან საქართველო შინაგანად ძალზე სუსტია.

ყველამ ვიცით, რომ როდესაც ძაღლი გიკბენს, თუ ჯოხი არ ჩაარტყი, ისე პირს არ გაგიშვებს.

www.24hours.ge
24
B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

გიორგი ასანიშვილმა შეკითხვა დაგვისვა: "**ვინ იცის, შეიძლება, აფხაზეთის საკითხის ასეთი "ამორტიზაცია" უფრო საშიშია, ვიდრე იგივე სარკინიგზო მიმოსვლა და პასპორტიზაცია**" (*აფხაზეთის "ამორტიზებული" საკითხი პოპულისტებსაც კი აღარ იზიდავს*, 31 იანვარი). წინადადებას კითხვის ნიშანი არ ახლავს, მაგრამ მე მაინც შეკითხვად აღვიქვი. ამ შეკითხვაზე კი უნდა ვუპასუხოთ — შეძლებისდაგვარად ყველამ ერთად. სანამ საქმის კურსში შევიყვანდე მკითხველს, კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა: არ მახსოვს, ვინმეს მსგავსი შეკითხვა დაესვას. ახლა მიხვდებით, რისი თქმაც მინდა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში "24 საათმა" დიდი ადგილი დაუთმო "აფხაზური საკითხის" გამწვავების განხილვას. არავისთვის არაა საიდუმლო, რომ გამწვავება მართლაც მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მათთვის, ვინც სულ მუდამ "პრიჩინაზეა" და ასი თვალი და ასი ყური აქვს გამობმული, ოღონდ კი რამეში გამოიჭიროს ძლიერნი ამა ქვეყნისანი — ამჯერად ჩვენც შეგვეშინდა, ნაინტელიგენტარ ინტელექტუალებს, პწკარებს შორის კითხვას რომ ვართ მიჩვეულნი და აშკარად წავიბორძიკეთ ნინო ბურჯანაძისა და ალექსანდრ ვოლოშინის თავბრუდამხვევ თავგადასავალზე. რაღაც ხდება! — გაგვიელვა თავში და ჰაერში საიდუმლო გარიგების სურნელი შევიგრძენით. ყველაზე განათლებულმა პესიმისტებმა ფინელი სარდლის, მანერჰაიმის სიტყვებს მიაშურეს ნუგეშის მისაღებად: "განა ნაკლებად გვეყვარება ჩვენი ოდნავ შემცირებული სამშობლო?". მაგრამ რა მივიღეთ ამ შიშის პასუხად? — დიდი ხნის განმავლობაში დუმილის საფარის ქვეშ დაფლული ჭეშმარიტება, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა გიორგი ასანიშვილის სტატიაში: აფხაზეთის "დაბრუნების" საკითხი კარგა ხანია ამორტიზებულია და შექმნილი მდგომარეობის გამო ბრჭყალები სწორედ რომ "დაბრუნებას" უფრო უხდება, რადგან არავინ იცის დანამდვილებით, რას ნიშნავს ეს სიტყვა. დიახ, თვით პოლიტიკოსებმაც კი არ იციან, ყოველ შემთხვევაში, ვერავის დაუმტკიცეს, ვერავის უჩვენეს, მცირედი იმედიც კი ვერ ჩაუსახეს, რომ იციან.

დიახ, მართალია გიორგი ასანიშვილი, როცა ამბობს, რომ "ბოლო ათწლეულის საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა — აფხაზეთის დაბრუნება — როგორც ჩანს, ძალიან გაუფასურდა. ყოველ შემთხვევაში, პირველად ხდება, რომ საქართველოს პარლამენტში ამ საკითხზე მსჯელობა თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. ერთმნიშვნელოვნად ძნელი სათქმელია, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი ტენდენცია და რა არის მისი მიზეზი — აპათია, უიმედობა, ხელის ჩაქნევა, შეგუება, კაპიტულაცია... ან, იქნებ, ყველაფერი ერთად. ყოველ შემთხვევაში ფაქტია — აფხაზეთის თემა იმდენად გაცვდა, რომ პოპულიზმისთვისაც კი აღარ გამოდგება და ქულების ჩაწერის მოყვარულ პოლიტიკოსებს პარლამენტის დარბაზში ვეღარ იზიდავს". ამ გრძელი ციტატისთვის ბოდიშს არ ვიხდი, სამწუხარო სხვა რამ გახლავთ: ციტატის სიგრძის გამო სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია ერთი სასარგებლო პროექტის განხორციელება: ამ სიტყვებით შევცვალოთ ფარისევლური სლოგანი — "გახსოვდეს აფხაზეთი!".

არ ვიცი, რამდენად დამეთანხმება "24 საათის" ხელმძღვანელობა, მე კი საინტერესოდ მივიჩნევდი ასეთი რუბრიკის შემოღებას: "ვთქვათ, დავიბრუნეთ აფხაზეთი..." ნეტა რას უპასუხებდნენ ამაზე ქართველი პოლიტიკოსები და არაპოლიტიკოსები? როგორ გააგრძელებდნენ ამ წინადადებას?

ბოლოს და ბოლოს, უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენი პრობლემების მიზეზი პოლიტიკური ან ეკონომიკური კი არა, ეგზისტენციურია. ასეთი დასკვნის საბაბი მოგვცა 31 იანვარს გამოქვეყნებულმა ამ სტატიამ. რას იზამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთობ არაპატრიოტული ერი ვართ და ჩვენი ეს არაპატრიოტულობა არსებობის უმთავრეს მოდუსებში მჟღავნდება: დროში, სივრცეში, ურთიერთობებში...

აი, მაგალითად, დროის შეგრძნება ვნახოთ. ერთხელ, მეგობრული სადილისას (ყველას კი არ ვძულვარ, ვისაც ვაკრიტიკებ) ანა კორძაია-სამადაშვილმა მამცნო სვანური ხალხური ქრონოლოგიის საიდუმლოება: ფარნავაზის შვილია მირიანი, მირიანის შვილია ვახტანგ გორგასალი, ვახტანგ გორგასალმა შვა დავით აღმაშენებელი, დავით აღმაშენებელმა — თამარ მეფე, თამარ მეფემ კი — ერეკლე მეორე. ეს თავისებური თეორია მშვენივრად მოქმედებს: ვერც ღვინო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც რახი მის ქმედითობას ვერაფერს აკლებს. რეალობის მიმართ ჩვენი მოთხოვნები მეტად მოკრძალებულია, უფრო მეტიც, მწირია. მაგალითად, ხსენებული ქრონოლოგია რომ საქართველოს ისტორიის აკადემიურ ვერსიად მივიღოთ, ეს ამ რეალობას ვერანაირად შეცვლის. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ჩვენი ყველაზე გამოჩენილი ადამიანები, ესე იგი ისინი, რომლებიც დანარჩენებზე ხშირად ჩნდებიან ხან ტელევიზორში და ხან გაზეთის გვერდებზე, სწორედ ამგვარი თეორიების ფარგლებში ცხოვრობენ და შესანიშნავად ურიგდებიან ობიექტურ ჭეშმარიტებას, საკუთარ სინდისსაც და ერთმანეთსაც. ამ ნიადაგზე კონფლიქტები მხოლოდ მაშინ წამოჰყოფს თავს, როცა ან ფულია გასაყოფი, ან ძალაუფლება, ან სულ სხვა რამ შემთხვევითი მიზეზით აითვალწუნებენ ხოლმე ერთმანეთს. ამ შემთხვევაში კონფლიქტი სრულიად გადაუჭრელია, რადგანაც არსებული რეალობიდან ზემოთ აღწერილის მსგავს ათასობით რედუცირებულ ქრონოლოგიას გამოვიყვანთ, რომელთაგან არც ერთი არ განმეორდება. განა გასაკვირია, რომ საერთო ენას ვერ ნახულობენ ერთნი, რომელთაც გორგასლიანად გამოაცხადეს ცხონებული ეროვნული მოძრაობის მიტინგებზე თვალმოკრული დროშა, და მეორენი, რომლებსაც სწორედ ახლა გაახსენდათ, რომ ვიღაც ნაცნობის მიერ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ წიგნში, რომლის სათაურიც არ ახსოვთ, ნახეს ილუსტრაცია, სადაც ამ დროშით ხელში გამოსახული იყო ჰუნების ბელადი ატილა.

სამშობლოს სიყვარულთან ყოველივე ამას ერთობ პირობითი კავშირი აქვს, მაგრამ ხმაური ისეთია ატეხილი, რომ გასული კვირის განმავლობაშიც რამდენჯერმე მოუხდა "24 საათს" ამ იგავთმიუწვდენელ დისკუსიასთან დაკავშირებული მასალების გამოქვეყნება, რომელთა ჩამოთვლით მკითხველს თავს არ შევაწყენ. მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ზაზა ფაჩუაშვილმა, რომელიც, როგორც ეტყობა ამ თემას კურირებს, 1 თებერვლის ნომერში (სტატია: *პატაკი ბარონ მიუნჰაუზენს*) თავისი ისედაც წიწაკიანი რეპორტაჟები პოლიტიკური ფელეტონის დონეზე აიყვანა. სამწუხაროდ, ამ ჟანრის რისკი ჩვენს პირობებში იმდენად რეპრესიებთან არაა დაკავშირებული (წერე და იკითხე, ვის დაჰკარგვიხარ!), რამდენადაც იმასთან, რომ ოქმის სიზუსტით გადმოცემული სინამდვილე ხშირად ყველაზე უფრო სასაცილო და მწვავე ფელეტონს აჭარბებს. მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ჯერ ის დავასკვნათ, რომ ჩვენი ეროვნული ცნობიერება დროის კონტინუუმიდან რაღაც დისკრეტულ მიმდევრობებს გამოყოფს, რომელთა არჩევის კრიტერიუმი მხოლოდ საკუთარი სიმყუდროვე ან პატივმოყვარეობაა. ამიტომაც სამარყანდში ჩასული ქართველი საბჭოთა ტურისტი, როგორც კი ექსკურსიამძღოლის მახვილი მზერის მიღმა დაიგულებდა თავს, მადიანად აფურთხებდა თემურ ლენგის საფლავს, თითქოს მისგან გუშინ მიეღოს პირადი შეურაცხყოფა. ამის სამაგიეროდ, დამოუკიდებელ საქართველოში, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ათწლიანი დევნილება სასწაულებრივად უტოლდება ქართველი მეზღვაურების ექვსთვიან აფრიკულ ტყვეობას. უტოლდება საზოგადოებრივი გულგრილობის დონით.

სივრცეც არაა უკეთეს დღეში. ჩვენი ეროვნული ცნობიერება დაჟინებით ესწრაფვის მის შეზღუდვას, ცდილობს ძველ საბნად აქციოს იგი, რომ მყუდროდ შემოიკეცოს გვერდებში — გრილია დამოუკიდებლობის ჰაერი, ძნელია კოლონიური ბოსლის სითბოდან გამოსვლა. არ შეგიმჩნევიათ, რა ადვილად აგნებენ თბილისსა და მის შემოგარენში სასეირნო თუ დასასვენებელ ადგილებს ორი დღის ჩამოსული უცხოელები? ჩვენ ეს გვიკვირს. უცხოელებს, პირიქით, ბინების მოვლილობასა და სადარბაზოების მოუვლელობას შორის პირდაფჩენილი უფსკრული აოცებს.

სიშორე და სიახლოვე არეულია ჩვენს შეგნებაში და ამიტომაც ელვისებური სისწრაფით იქცევიან ცხრამთასიქითა ზღაპრულ ქვეყანათა სახელებად მედიის მიერ ჰაერში ატაცებული შესიტყვებები: "კოდორის ხეობა", "პანკისი". "პაკისტანში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა" — ისმის ჩართული ტელევიზორიდან. "ჩემი შვილი იყო ჩასული პაკისტანში", — აცხადებს ხანდაზმული ქალბატონი. "პაკისტანში რა უნდოდა?" — ეჭვობს მეორე. "პოლიციელია", — პასუხობს პირველი. ნუ ვიცინით სხვის უმეცრებაზე: განა ჩვენთვის პანკისი პაკისტანზე უფრო ახლოა? დიახ, სანამ თბილისს არ დაბომბავენ, იქნებ ვერც კი შევიგნოთ, რომ კოდორის ხეობაც საქართველოა.

სამაგიეროდ, ამავე თვისების გამო სრულიად მოულოდნელად გვიახლოვდება ჰონგკონგი. გადავშალოთ 1 თებერვლის ნომერი და გავეცნოთ ხათუნა ჯანგირაშვილის პუბლიკაციას: *საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაწყებულა*. ამ ღრმააზროვან დასკვნამდე ჩინეთის ახალ პროვინციაში ათი დღით მივლინებული ქართული დელეგაცია მივიდა. დელეგაციას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ლადო ჭანტურია ხელმძღვანელობდა. მოვუსმინოთ მას: "**სანამ ქვეყანაში იქნება იმის საშუალება, რომ ზოგიერთმა ნებისმიერი დანაშაულისთვის სასჯელს თავი აარიდოს, სანამ დაუსჯელობის სინდრომი არ მოისპობა, სახელმწიფო ვერ განვითარდება**". ბრავო! —სწორედ ჩინეთში უნდა გაგვემგზავრებინა ათი დღით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (ჯერ მარტო ბილეთის ფასი წარმოიდგინეთ!), რომ ამას მიმხვდარიყო. თუმცა ეს ერთადერთი მარგალიტი არ გახლავთ. ახლა ესეც ვნახოთ: "**საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა რეალურად არც დაწყებულა. ჩვენთან კანონს არავინ სცემს პატივს, არავინ იცავს. ყველაზე დიდი კორუფცია კი, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც სწორედ სამართალდამცველ ორგანოებშია**". თითქოსდა ქვეყნის დასალიერში კი არ წასულან ინტერპოლისა და კორუფციასთან ბრძოლის დამოუკიდებელი კომისიის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაზე, უბრალოდ საკუთარი დაწესებულების დერეფნებში გაიარ-გამოიარეს. ათასობით კილომეტრი და ორიოდე ნაბიჯი მათთვის ერთი ყოფილა.

ესეც მზა პოლიტიკური ფელეტონი, რომლის შესაქმნელად ხათუნა ჯანგირაშვილს არაფერი დასჭირვებია, გარდა მეხსიერების დაძაბვის, ან ბლოკნოტში ჩახედვის, ან ფონოგრამის გაშიფვრის, ან კიდევ რომელიმე წმინდად ტექნიკური ხერხისა. საინტერესოა, რატომ კვდებიან სიცილით ქართველები მიშა მშვილდაძის უკვე მოყირჭებულ "ნიუსებზე", გარემომცველი სინამდვილის კომიკურობას კი ვერ ამჩნევენ?

სივრცესთან ჩვენი "მესაკუთრული" დამოკიდებულება, ვინ იცის, უკვე მერამდენეჯერ გამოვლინდა თბილისის საკრებულოში გამართულ ანტიკორუფციული კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 2 თებერვლის ნომერში გააშუქა სოფო კვინტრაძემ: *სანამ ყველა ტროტუარი და გაზონი გაყიდულა*. საქმე ეხებოდა თბილისში 2000-2002 წლებში უკანონოდ გაყიდულ მიწის არასამეურნეო ნაკვეთებს. ვფიქრობ, მკითხველმა უკვე საკმაო ინფორმაცია მიიღო ამის შესახებ მედიის ყველა არხიდან. მაგრამ ერთი რამ კი მინდა აღვნიშნო: რომ არა დღევანდელი საკრებულოს წინასწარ აღებული კურსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, ამაზე არავინ შეიწუხებდა თავს: გაყიდული სივრცე ხომ არავისია. არა, ქართული კია, მაგრამ ხომ ისევ ქართველებმა იყიდეს! ალბათ, ეს ბოლო წინადადება ბევრს უადგილოდ მოეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში იგი ძალიან ზუსტად ასახავს საზოგადოებაში გაბატონებულ ლოგიკას. ვისაც დღეს მიხეილ სააკაშვილი უკანონოდ ნაყიდი ნაკვეთების სანაცვლოდ ორთაჭალის ციხეში ორიოდე კვადრატულ მეტრ ფართობს პირდება, — ამ ადამიანებს, უბრალოდ, არ გაუმართლა. საზოგადოებრივი რისხვა მხოლოდ მათზე გავრცელდება, ვისაც ამ უიღბლოებთან არანაირი ნათესაური კავშირი არ გააჩნია. განრისხებულთა სიმრავლე კი მაჩვენებლადაც არ გამოდგება. საქართველოში დანაშაულს კანონის დარღვევა კი არ ქმნის, არამედ ვიღაცის ინტერესებთან წინააღმდეგობა. ამ ინტერესების კანონთან თანხმობა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ შემთხვევითი ფაქტია.

ეს ჩვენი დებულება საკმაოდ ნათლად დასტურდება მაკა ჯაიანის 30 იანვარს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, *ლაკმუსი ხელისუფლებისათვის*. სტატია მეტად საჭირბოროტო საკითხს ეხება და მისი მნიშვნელობის უგულებელყოფა ნამდვილად საზიანო იქნებოდა. ამიტომაც არ ვიჩქაროთ.

რამდენიმე დღის წინ, ჩემმა კოლეგამ, დალი კუპრავამ მითხრა, საზოგადოებაში ძალიან მცირე ინტერესია საშუალო სკოლებში არსებული მდგომარეობის მიმართოა. ჩემი აზრით, ეს საყოველთაო უიმედობისა და უნდობლობის აშკარა სიმპტომია. მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი: ჩვენს ცნობიერებაში სივრცისა და დროის შეზღუდულობის, მათი აპრიორულობის მსგავსად მრავალი პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთობაც სრულიად აპრიორულადაა მიჩნეული. ამ ცოტა ხნის წინათ ხელში ჩამივარდა ერთი დოკუმენტი, რომელიც კლასის დამრიგებელთათვის სავალდებულო დირექტივების სიას წარმოადგენს. ამ დირექტივათა შორის ასეთებიც მოიპოვება: "კლასის კონტინგენტის დაზუსტება" (ნეტა რას უნდა ნიშნავდეს?), "მოსწავლეთა ჩაბმა სასკოლო ბიბლიოთეკაში" (რაღა დროს ეგეთებია!), "არაკეთილსაიმედო ოჯახების ბავშვთა აღრიცხვა, დახასიათება, მათზე მუდმივი კონტროლი" (მე ნამდვილად ამგვარი ოჯახი მაქვს — ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნისთვის დღევანდელი პუბლიკაციის ტექსტიც კმარა). რატომ არაფერი ვიცით ამის შესახებ? რატომ არ ვრცელდება ჩვენი გავლენა მათზე, ვისაც ჩვენი შვილების ბედი აბარია? რატომ სარგებლობს სიტყვა "მასწავლებელი" იმგვარი პიეტეტით, რომელიც ამ სიტყვით განსაზღვრულ კონკრეტულ ადამიანთა უმრავლესობას არ დაუმსახურებია? ნუთუ ამდენად გამჯდარა ჩვენში სახელთთაყვანისმცემლობის უცნაური რელიგია, რომ მარტო სიტყვა "სკოლის" გაგონებაზე მოწიწების ჟრუანტელი უნდა გვივლიდეს?

სწორედ ამ საკითხს ეხება მაკა ჯაიანის ზემოხსენებული სტატია: თურმე თბილისის მთავრობას მუნიციპალური სკოლების დაარსება გადაუწყვეტია. ამ ნაბიჯისათვის საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ მყიფეა: ერთი მხრივ, თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო ორგანოებზე მეურვეობის დაწესება, მეორე მხრივ, ამის გაკეთება აკრძალულია მოქმედი სკოლების ბაზაზე. ჩემი მხრიდან ვიტყვი, რომ ეს უკანასკნელი შეზღუდვა ნამდვილად ეწინააღმდეგება საღი აზრის მოთხოვნებს. ვეთანხმები იმათ, ვინც სტატიაში დამოუკიდებელ ექსპერტებადაა მოხსენიებული: "შევიტანოთ ცვლილება კანონში, ბოლოს და ბოლოს, კანონები ხალხისთვის იწერება".

მუნიციპალური სკოლების დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება საკრებულომ მაინც მიიღო. მაგრამ მეტად ნიშანდობლივია ამის გამო ლეიბორისტთა არაოფიციალური განცხადება: "სხვა გზა არ გვქონდა, სახელმწიფო კანცელარიასთან ალიანსში დაგვადანაშაულებდნენ". რა გამომდინარეობს ამ წინადადებიდან? — 1. საქართველოს სახელმწიფო სუსტი და უკვე ოდიოზური სტრუქტურაა; 2. გადაწყვეტილებების მიღებისას ან უარყოფისას მთავარი კრიტერიუმი გადაწყვეტილების შინაარსი კი არაა, არამედ ამ სუსტი და ოდიოზური სტრუქტურის სავარაუდო დამოკიდებულება; 3. პირველი ორი გარემოების გამო საზოგადოებრივი ინტერესები თითქმის სრულიად უგულებელყოფილია და მათი გათვალისწინება ყოველთვის შემთხვევით და დროებით ხასიათს ატარებს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასკოლო თვითმმართველობის შემოღება საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალებაა. ეს ზემოქმედება მართლაც შესამჩნევი შეიძლება გამოვიდეს, თუ მმართველ პოლიტიკურ ძალებს სკოლების მხრიდან მხარდაჭერა დააკლდებათ. ამიტომ ხდება მუნიციპალური სკოლების დაფუძნება ასე ნაჩქარევად და სულმოუთქმელად.

საშიშროება ერთია: როგორც კი არჩევნები ჩაივლის, მუნიციპალური სკოლების იდეა ჩაიფარცხება. აქ კი ჩვენ უნდა ვიყოჩაღოთ და გაზეთმაც გარკვეული როლი უნდა შეასრულოს იმაში, რომ ჩვენი განათლების სისტემისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხი არჩევნების შემდეგაც დარჩეს საყოველთაო ინტერესის არეში. იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში გაზეთის ფურცლებზე გაჩნდება მასალები, რომლებიც საზოგადოებას ვრცლად და გასაგებად განუმარტავენ საქმის ვითარებას.

და თუ ეს არ მოხდა? თუ კვლავაც განვაგრძეთ ყოფნა ჩვენს შეზღუდულ, დავიწროებულ, გაღარიბებულ სივრცესა და დროში? თუ ვერაფრით გავარღვიეთ ურთიერთობათა გაქვავებული წესები? აქაც თვალსაჩინო პასუხი მოგვეპოვება: 31 იანვრის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო. მჭიდროდ შექუჩული, მიწაზე დაჩოქილი ძაძებით მოსილი ქალები და კაცები. მონახეთ ეს გაზეთი, შეხედეთ ამ ფოტოს და ჰკითხეთ საკუთარ თავს: ნუთუ ამ ხალხის სულიერი ერთიანობა საკმარისი კომპენსაციაა ღვთის მიერ შექმნილი, უთვალავი ფერით გაბრწყინებული ქვეყნიერებისაგან მათი მოწყვეტისა? წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ თქვენს შვილებს მოუწევს ამ ადამიანებს შორის ცხოვრება? ნუ მეტყვით, რა პასუხს გასცემთ ამ კითხვებს, — ეს წინასწარ ვიცი. მრავლისმეტყველი ფოტოა, თუმცა კი წარწერა აქვს მცდარი...

ფოტოს აწერია: "ბასილი მკალავიშვილის მომხრეები". ეს მომხრეები კი არა, მრევლია. მომხრეები სულ სხვანი არიან: საქართველოს პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, კობა ნარჩემაშვილი... კიდევ გავაგრძელო თუ ისედაც გასაგებია?







# თბილისში კავკასიური თეატრალური ლაბორატორია დაარსდა

## თბილისში კავკასიური თეატრალური ლაბორატორია დაარსდა

რეჟისორმა დათო საყვარელიძემ ახალგაზრდა დრამატურგებთან ერთად თბილისში - "კავკასიური თეატრალური ლაბორატორია" დააარსა; ლაბორატორიაში ქართველ რეჟისორებთან, მსახიობებთან და დრამატურგებთან ერთად, აზერბაიჯანელი და სომეხი თეატრალებიც განევრიანდებიან. ლაშა ბუღაძის თქმით, თეატრალური ლაბორატორიის დაარსება თანამედროვე დრამატურგიის განვითარების პოპულარიზაციასა და პროპაგანდას შეუწყობს ხელს. იდეა ბუღაძეს და მის მეგობრებს რუსეთის თანამედროვე დრამის ფესტივალზე ყოფნისას დაებადათ. "რუსეთში თანამედროვე დრამატურგები იქაური რეჟისორებისგან განებივრებულები არიან, რასაც ვერ ვიტყვით ქართველ რეჟისორებზე, რომლებიც თანამედროვე დრამატურგების მიმართ სიფრთხილეს იჩენენ", - ამბობს ახალგაზრდა ქართველი დრამატურგი.

ახალგაზრდა ხელოვანებმა პირველი ქართული პროექტი - "კავკასიური თეატრალური ლაბორატორია" განახორციელეს. თეატრალურ ლაბორატორიაში სამი სპექტაკლი დაიდგმება. რეჟისორმა დათო საყვარელიძემ სამი ახალგაზრდა დრამატურგის: ლაშა ბუღაძის "ის სკამი და აი, ეს საწოლი", ბასა ჯანიკაშვილის "მეზობლები" და მანანა დოიაშვილის "სამს პლუს სამი" შეარჩია. ლაშა ბუღაძის თქმით, ეს პიესები ერთმანეთისგან ჟანრობრივად განსხვავებულია, თუმცა ერთი საერთო პრობლემა აერთიანებთ; სპექტაკლებში თეატრალური ლაბორატორიის წევრები, თბილისის სხვადასხვა თეატრებიდან მოწვეული მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. სპექტაკლების პრემიერა თბილისში გაიმართება, რის შემდეგაც მას სომეხი და აზერბაიჯანელი მაყურებელიც იხილავს.

პროექტი თანამედროვე ქართული დრამატურგიის შესახებ წიგნის გამოცემასაც ითვალისწინებს, რომელიც რუსულ და ფრანგულ ენებზეც ითარგმნება. დათო საყვარელიძის დადგმული სპექტაკლები რუსეთის ახალი დრამის საერთაშორისო ფესტივალშიც მიიღებს მონაწილეობას. პროექტის ავტორების თქმით, პროგრამას მერიის კულტურის საქალაქო სამსახური ყოველწლიურად დააფინანსებს. პროექტის ფარგლებში თბილისში დრამატურგიული და ლიტერატურული სემინარები გაიმართება. მასში სომეხი და აზერბაიჯანელი თეატრალებიც მიიღებენ მონაწილეობას.

# რადიომსმენელთა საპროტესტო აქცია

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დახურული რადიოსადგურის - "ძველი ქალაქის" ათასობით მსმენელი საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. "ძველი ქალაქის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, კობა ჟორჟოლიანის ცნობით, რადიოსადგურის იურისტებმა შესაგებებელი სარჩელი უკვე დაწერეს. ქუთაისის მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა ადგილობრივი რადიოკომპანია "ძველი ქალაქის" მაუწყებლობის შეჩერების თაობაზე სასამართლოს სარჩელით რამდენიმე დღის წინ მიმართა. მათი აზრით, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში აღმართული რადიოგადამცემი იქ მცხოვრებთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ამ საკითხის შესწავლამდე სასამართლომ რადიოგადაცემების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლოს არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდა იმისა, რომ ასეთ დასკვნამდე მისულიყო და მაუწყებლობა შეეჩერებინა," - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები. დამოუკიდებელი რადიოკომპანია "ძველი ქალაქი" მერვე წელია ქუთაისში 107.9 მეგაჰერცის სიხშირეზე მაუწყებლობს. **(ინტერ-პრესი)**

# Dark Side-ის საიუბილეოდ

ლეგენდარული Dark Side Of The Moon-ის გამოსვლიდან 30 წლის აღსანიშნავად, ხმისჩამწერმა კომპანიამ EMI Music-მა ალბომის ახალ ფორმატზე გამოცემა გადაწყვიტა. "ფინქ ფლოიდის" ისტორიული ნამუშევარი აწი SACD-ზე (რაც სუპერ აუდიო კომპაქტ-დისკს ნიშნავს) გაიყიდება.

SACD-ს შეგიძლიათ უსმინოთ ჩვეულებრივ CD-პლეერებში, თუმცა მისთვის განკუთვნილ საგანგებო ფლეერში შესაძლებელია გაუმჯობესებული ჟღერადობის მიღწევა, რაც არცერთ ჩვეულებრივ კომპაქტის დასაკრავს არ აქვს. ამას გარდა, ჰიბრიდულ SACD-ს მრავალარხიანი მიქსების შესაძლებლობაც აქვს. თანაც, SACD იკვრება როგორც თავიდან ბოლოსკენ, ისე პირიქით, რაც ჟღერადობის შესახებ ორმაგი ინფორმაციის მისაღებად საუკეთესო საშუალებაა. 3 მარტს ახალ ფორმატში გამოცემული Dark Side Of The Moon-ის პროდიუსერი ჯეიმს გატრია. ეს იქნება პირველი დისკი, რომელსაც ეს კომპანია მსგავს ფორმატში წარადგენს.

სხვა ხმისჩამწერმა კომპანიებმაც გადაწყვიტეს კლასიკური როკ-ალბომების ახალ ფორმატებზე დამზადება. Sony Music შემოდგომაზე გამოუშვებს ბობ დილანის ასეთ თხუთმეტ ალბომს; Universal Music Group კი "პოლისის" კრებულის დამზადებას გეგმავს.

# ბლუზმენებმა აღიარეს ბობ დილანი

ბობ დილანმა ბლუზის მუზისადმი თითქმის 50 წლიანი მსახურების შემდეგ პირველი ბლუზის ჯილდო მიიღო. თუმცა, შესაძლოა გასაკვირი ამაში არც არაფერი იყოს: დილანის ხსენება ხომ ათწლეულების განმავლობაში დღემდე ფოლკ და როკ-მუსიკასთან ასოცირდება, ხოლო ფაქტი, რომ მუსიკოსმა გარკვეულწილად ზეგავლენა იქონია თანამედროვე ამერიკულ ბლუზზე, რატომღაც უყურადღებოდ რჩებოდა აქამდე.

ფონდ W.C. Handy Award-ის წყალობით ასეთი უზუსტობა ალბათ მალე აღმოიფხვრება. ფონდმა ბობ დილანი "წლის საუკეთესო ბლუზ-შემსრულებლად" დაასახელა. მაგრამ, მცირე კაზუსი აქაც მოხდა: სიმღერა Stepchild, რომელიც დილანის დაწერილია, ჟიურის ვინმე სოლომონ ბურკის შესრულებით მოეწონა. სიმღერას ბურკის ალბომში საპატიო ადგილი უჭირავს.

მიიღებს თუ არა დილანი მის პირველ ბლუზის ჯილდოს, ამას 23 მაისს, მემფისში დაგეგმილ დაჯილდოვების ცერემონიიდან გავიგებთ. W.C. Handy Award-ის ნომინანტები და გამარჯვებულები მხოლოდ ბლუზის პროფესიონალი მუსიკოსები და თაყვანისმცემლები არიან. წელს არჩევნებში მონაწილეობა 30 ათასმა ასეთმა ადამიანმა მიიღო. თავად ჯილდო ატარებს იმ ბლუზმენის სახელს, რომელმაც ოფიციალურად პირველი ბლუზ-სიმღერა St. Louis Blues დაწერა.

## კალენდარი



### 3 თებერვალი

1809 წელს, ჰამბურგში, ებრაელი ფილოსოფოსის ვაჟს, მოშე მენდელსონსა და ლეა სალომონს შვილი შეეძინათ, ფელიქსი. შვიდი წლისა როცა შესრულდა, ქრისტიანად მონათლეს. უფროს დასთან, ფანისთან ერთად ფელიქსი ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას და მუსიკის თეორიას სწავლობდა, პირველი კონცერტი კი 9 წლისამ ჩაატარა.

ბერლინის უნივერსიტეტში ახალგაზრდა ფილოსოფიას სწავლობდა, ესთეტიკას თავად ჰეგელი უკითხავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მუსიკაზე შეაჩერა არჩევანი. ოცი წლისა მუსიკალური განათლების გასაღრმავებლად რვა თვით ინგლისსა და შოტლანდიაში გაემგზავრა, ინგლისში კონცერტები ჰქონდა. შემდეგი დიდი მოგზაურობა 1830 წელს დაიწყო – თითქმის მთელი გერმანია და იტალია მოიარა.

ფელიქს მენდელსონს, მრავალი სხვა მუსიკოსისაგან განსხვავებით, თანამედროვეთა აღიარება არ მოკლებია: საქსონიის სამეფო კაპელმაისტერი, ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის კარის კომპოზიტორი და პრუსიის სამეფო კაპელმაისტერი იყო. გარდა ამისა, მენდელსონი ლაიფციგში პირველი გერმანული კონსერვატორიის დამაარსებელი გახლავთ.

კომპოზიტორი 1847 წელს გარდაიცვალა და უმდიდრესი მუსიკალური მემკვიდრეობა დატოვა. ისინიც კი, ვისაც მუსიკასთან არავითარი შეხება არა აქვთ, აუცილებლად გაიხსენებენ მის "საქორწილო მარშს"...

გერმანელი კომპოზიტორი, **ფელიქს მენდელსონი**, დაიბადა 1809 წლის 3 თებერვალს.

# ტრანსი კავკასიურ რითმებზე

## ფოლკოთეკა უკანასკნელი მოდა თბილისის ღამის კლუბებში

*"სუხიშვილების" მორიგმა ნოვაციამ თბილისის ღამის კლუბებში აჟიოტაჟი გამოიწვია. შაბათს, პირველ ქართულ ფოლკოთეკას იმდენი დამსწრე მიაწყდა, თვით "აჭარა მიუზიკ ჰოლსაც" გაუჭირდა მათი დატევა. სანახაობამ გაამართლა. "აჭარაში" გათენებამდე ცეკვავდნენ ტრანს-კავკასიურ რითმებზე.*

*ისტორია, როგორც ყოველთვის ახლაც განმეორდა. ჩვენთან არაერთგვაროვნად შეხვდნენ "სუხიშვილების" სურვილს ტრადიციების გათანამედროვების შესახებ. "ასსა" პროექტზე ერთნი ამბობენ, ეს არაა ქართული ცეკვაო; ზოგიერთები პლაგიატობაშიც სდებენ ბრალს ახალგარზდა ქორეოგრაფებს; დანარჩენები ამ მოსაზრებებს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და იხსენებენ, თუ როგორი წინააღმდეგობა ჰქონდათ "დიდ სუხიშვილებსაც" ქორეოგრაფიული სიახლეების დანერგვისას. აჟიოტაჟი ნოვაციის მიმართ ბუნებრივია, მითუმეტეს ჩვენთან, სადაც ძალიან გვიჭირს სიახლეებთან შეგუება. ასეა თუ ისე, ფაქტია: ქართველმა ახალგაზრდობამ "ასსა" მოიწონა და ის უკვე ქართული დისკოთეკების სასურველი ნაწილია.*

ვერა ნეფარიძე



"ასსა" იქოქება



"ასსა" ტრანსი

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

### ყველანი ფოლკოთეკაზე

"ნოა-ნოაში" გამართული პირველი ქართული ფოლკოთეკის საჩვენებელი ექსპერიმენტი, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ "ასსა-ფართის" მორიგ წვეულებას ასეთი ვნებთაღელვა გამოეწვია. "აჭარა მიუზიკ ჰოლის" შესასვლელში ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ, იფიქრებიდით, უდაოდ, ჩვენს მზიან დედაქალაქში გაისმა მოწოდება "ყველანი ფოლკოთეკაზეო!" და შედეგიც იქვე სახეზე იყო. სრული ისტერიკა "აჭარის" შესასვლელიდან იწყებოდა. საგულდაგულოდ გამოწყობილი თბილისელები არც 50 ლარიანებს იშურებდნენ და არც ენერგიას ერთმანეთის გადასასწრებად; ხოლო, ის რაც გარდერობთან ხდებოდა, ენით აღსაწერად მეტად ძნელი საქმეა. არც "აჭარა მიუზიკ ჰოლი" და არც კლუბის ადმინისტრაცია მზად არ აღმოჩნდა მსგავსი უხვსტუმრიანობისთვის. მოკლედ, ამ დავიდარაბის წყალობით "ასსა-ფართი" საკმაოდ გვიან დაიწყო. სამაგიეროდ, ეს დრო კარგი საშუალება იყო კლუბში შეკრებილი უზომოდ დიდი საზოგადოების დასათვალიერებლად.

"ასსას" დასაგემოვნებლად ვინ აღარ მოვიდა "აჭარა მიუზიკ ჰოლში". პოლიტიკოსებიდან მიშა სააკაშვილი და ხათუნა გოგორიშვილი შევნიშნეთ; კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე "ასსა-ფართის" მეუღლესთან ერთად ეწვია; ასეთ კულტურულ ღონისძიებას ცხადია არ გამოაკლდებოდა ქალაქის კულტურული სამსახურის უფროსი დავით ოქიტაშვილიც; რეჟისორებს შორის ქეთი დოლიძესა და ლევან კიტიას მოვკარით თვალი; მწერლებიდან – თაბუკაშვილების ორივე თაობას; კოტე ყუბანეიშვილი, როგორც ყოველთვის, აქაც არ დარჩენილა ვინმესთვის შეუმჩნეველი. მაგრამ, ეს ჩამონათვალი ცხადია, რეალური სურათის მეათედსაც ვერ ჰქმნის. წარმოსადგენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს შოუ-ბიზნესის კარგად ნაცნობი პერსონები შეადგენდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სფეროდან "ასსა-ფართი" თითქმის არავის გაუმაზავს.

### გატრანსული "ასსა"

ამჯერად თბილისელების მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია. იმის გარდა, რომ "სუხიშვილების" ახალ პროექტს, სრულიად დამსახურებულად, უდაოდ დიდი მოწონება ერგო, წვეულებას კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი ჰქონდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ახალი ეტაპის დასაწყისი დედაქალაქის საკლუბო ცხოვრებაში. რაც პირველ რიგში, თავად "აჭარა მიუზიკ ჰოლის" დამსახურებაა. რაც მთავარია, როგორც იქნა აჟღერდა თბილისის კლუბში მუსიკა, რომელიც მხოლოდ იმიტომაა სასიამოვნო მოვლენა, რომ ერთფეროვანი და ჩვენთან გავრცელებული ლათინოამერიკული რითმების ალტერნატივაა; ხოლო, თუ იმასაც დავამატებთ, რომ ეს მუსიკა მსოფლიოს წამყვანი კლუბების რჩეულია, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ნამდვილად სასიხარულოდ გვაქვს საქმე. აქამდე ხშირად იმასაც ამბობდნენ, რომ თბილისში გემოვნებიან ტრანსს საჭირო აუდიტორია არ ეყოლებოდა. კარგია, რომ "აჭარა მიუზიკ ჰოლის" არც თუ ისე დიდი ხნის არსებობამ ამ მოსაზრების სიყალბეში დაგვარწმუნა. ალბათ ბევრი მიხვდა, რომ გემოვნებიან მუსიკას არ შეიძლება მსმენელი არ გამოუჩნდეს.

ის რაც "სუხიშვილებმა" დი-ჯეი გიორგი ჟორჟოლიანთან ერთად შემოგვთავაზეს, სწორედ გემოვნებიანი ნამუშევრის შეფასებას იმსახურებს. ალბათ ბევრი ვერ წარმოიდგენდა, როგორ შეიძლებოდა ერთმენთს შეხამებოდა ტრანსი და ცეცხლოვანი კავკასიური მელოდიები, მაგრამ როგორც დავრწმუნდით, პროფესიონალებმა (და გიორგი ჟორჟოლიანი საქართველოში მართლა ერთ-ერთი საუკეთესო დი-ჯეია) ყველაფერი წინასწარ გათვალეს.

ტრანს-კავკასიური "ასსა" "სუხიშვილების" მოწინავე მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა დი-ჯეი "შავთან" (იგივე დათო ცირეკიძე) ერთად წარმოადგინეს. თავიდან აუდიტორია უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა და ირაკლი ჩაჩხიანმა გაახურეს. საამისოდ ავსტრალიური ინსტრუმენტი "დიჯირიდუ" შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა. სხვათა შორის, საქართველოში ამ ეგზოტიკურ საკრავზე მხოლოდ ირაკლი ჩაჩხიანი უკრავს. ფოლკოთეკის მუსიკალურ ტრანს-ჟღერადობას "დიჯირიდუსთან" ერთად "სუხიშვილები" ტუვაში გავრცელებული ვარგანითაც აღწევდნენ. "ასსა"-ს მუსიკალური ღირებულება, უდაოდ, რიტმ-სექციის დამსახურებაა (ბას-გიტარა, ისევე როგორც დასარტყამი ინსტრუმენტი, ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზე იდგა). ცხადია, გამოყენებული იყო ტრადიციული კავკასიური საკრავები: დოლი, ფანდური, აკორდეონი.

ფოლკოთეკის ავტორებს ყურადღება არც ვიზუალური მხარისთვის დაუკლიათ. ალბათ სუბიექტური ვიქნები, მაგრამ ჩემი აზრით, მთლიანობაში, მუსიკალური მხარე სჯობდა ქორეოგრაფიულს. თუმცა, შესაძლოა განგებაც, რადგან "ასსა"-ს მიზანი ხომ დისკოთეკებზე აუდიტორიის აყვანაა. მოცეკვავე "სუხიშვილების" შემხედვარენი ისედაც დაითრგუნენ, რის გამოც კლუბის სტუმრებს სითამამე აკლდათ. სამაგიეროდ, ამ ხარვეზს იოლად ასწორებდა მუსიკა, რომელიც ყველაზე მორიდებულებსაც კი არ აძლევდა მოდუნების საშუალებას.

პირველად "აჭარა მიუზიკ ჰოლში" პროექტის მონაწილეები "ასსას" ფორმებში (რომელიც კომპანია "მაკა ასათიანმა" დაამზადა) იყვნენ გამოწყობილნი. ასე რომ, "ასსა"-ს უკვე აქვს საკუთარი მუსიკა, ქორეოგრაფია, პროფესიონალ ინსტრუმენტალისტთა ჯგუფი, ფორმები და რაც მთავარია, კავკასიური ენერგია. ახლა მუშაობა "ასსა"-ს გარშემო პროექტის მუსიკალური კომპაქტ-დისკის გამოსაშვებად დაიწყება, რასაც "ასსა ფართის" საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანა უნდა მოჰყვეს. "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართული "ასსა-შოუს" შემდეგ ბევრმა ივარაუდა, რომ პირველი ქართული ფოლკოთეკა ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საექსპორტო ნამუშევარი იქნება საქართველოდან. დაველოდოთ და ვნახოთ, აღმოჩნდება თუ არა ტრანს-კავკასიური "ასსა" არაკავკასიელებისთვის საინტერესო.

# „გოგი - ფერების ოსტატი"

ჯიმშერ ბედიანაშვილი

*გერმანიიდან*

ასე ეწოდა თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტის, საქართველოს სამხატვრო აკადემიის ფერწერის სექციის თავმჯდომარის, აკადემიის მდივნის, ბატონ გიორგი ლაზარაშვილის პერსონალურ გამოფენას, რომელიც გერმანიის ქალაქ აისბერგენში, გალერეა „შპიგელში" გაიმართა. გამოფენას, რომელიც გასული წლის 30 ნოემბრიდან, მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე გრძელდებოდა, უამრავი აღფრთოვანებული დამთვალიერებელი ჰყავდა. ამიტომაც იყო, რომ 1 თებერვალს გამართულ საზეიმო დახურვაზე, უამრავი დამთვალიერებელი მოაწყდა საგამოფენო დარბაზს, რათა საკუთარი თვალით ენახათ და გასაუბრებოდნენ ბევრისთვის დღემდე უცნობ, საქართველოდან ჩამოსულ ფერთა ოსტატს.

"დღეს, აქ დამსწრე საზოგადოებას შორის არიან ის ადამიანებიც, ვინც არა მარტო ეხლა, არამედ გასული წლების განმავლობაშიც შეიძინეს ბატონი გიორგის ნამუშევრები და აღტაცებულნი არიან, რომ ამ დიდებული მხატვრის პირადად ნახვისა და მასთან გასაუბრების საშუალება მიეცათ", - აღნიშნა გალერეის მფლობელმა, ქალბატონმა ბარბარა ვარხოლეკმა. "საერთოდ კი აღვნიშნავდი, რომ ამ გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად და, რაც მთავარია საკმაოდ თბილი გამოხმაურება ჰპოვა გერმანულ პრესაში."

ქართველი მხატვრის ტემპერამენტითა და, იმავდროულად, ერთგვარი სინაზით აღსავსე, მგზნებარე ფერთა სამყაროს, თითქოსდა, რაღაცა, ახალი იდუმალებით ავსებდა გერმანელი მეცო-სოპრანოს, ქალბატონი ბეატე ჯოსტენის მიერ შესრულებული იოჰან ბრამსის, საკმაოდ მელანქოლიური სიმღერები. მომღერალს გიტარისტი ვილი გროტე უწევდა აკომპონიმენტს.



მერაბ ჯაფარიძე და გიორგი ლაზარაშვილი

"მე აღფრთოვანებული გახლავართ დღევანდელი საღამოთი და ბატონი გიორგის ნამუშევრებით" - გამიმხილა ცნობილმა გერმანელმა პოეტმა იოხენ ნოიჰაუსმა - „ქართული ხელოვნების სიდიადეს მინდენში მოღვაწე რეჟისორმა და პოეტმა მერაბ ჯაფარიძემ მაზიარა და გამოგიტყდებით, ძლიან მხიბლავს თქვენი ერის უძველესი კულტურა და ტრადიციები. რაც შეეხება ბატონი გიორგის შემოქმედებას, შემიძლია გითხრათ, რომ მან თავისი დახვეწილი ოსტატობითა და ფერთა საოცარი ბრწყინვალებით კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდებული ხელოვანი ბრძანდება იგი."

გამოფენის დახურვის შემდეგ ხალხის დიდი ნაწილი კიდევ დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს და ცდილობდნენ ქართველი მხატვრისთვის პირადად გამოეთქვათ თავიანთი აღფრთოვანება, მისი ნამუშევრების შესრულების დონისა და მხატვრული გემოვნების გამო.

„ყოველი გამოფენა განსაკუთრებული მოვლენაა მხატვრის ცხოვრებაში" - აღნიშნა დამშვიდობებისას ბატონმა გიორგიმ ჩვენთან საუბარში - „ძალზე სასიამოვნოა, როდესაც შენი ხელოვნებით აღფრთოვანებული საზოგადოების წინაშე დგახარ და მათ არა მარტო საკუთარი შემოქმედების შესახებ მოუთხრობ, არამედ საკუთარი ქვეყნის კულტურული ცხოვრების შესახებაც აწვდი ინფორმაციას. მე კი ეს, ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორად მიმაჩნია, რადგან ბევრ უცხოელს დღემდე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ჩვენი ქვეყნის შესახებ. განსაკუთრებულ სიამოვნებას კი გამოფენის დასათვალიერებლად მოსულ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრა და მათთან საუბარი მანიჭებს. საერთოდ კი აღვნიშნავდი, რომ ამ გამოფენამ ძალზე წარმატებულად ჩაიარა, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ"

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## შევჩენკოს მუხლი აწუხებს

"მილანის" მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. წარმოგიდგენთ ამ პრესკონფერენციის რამდენიმე ფრაგმენტს. პირველი კითხვა უდინეში "მილანის" დამარცხებას შეეხებოდა.

" ვიმედოვნებთ და დარწმუნებული ვართ, რომ ასეც იქნება - გვსურს კვლავ დავუბრუნდეთ წარმატებულ სერიას. გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრების დაწყებამდე ქულათა კარგი მარაგი შევიქმნათ. ფეხბურთი გვასწავლის, რომ თამაშის დაწყებამდე არც ერთი მატჩი მოგებულად არ უნდა ჩათვალო. ჩვენ ამ კვირაში ბევრი ვიშრომეთ და ქულების მოხვეჭა გვსურს. არ შემიძლია, უდინეში წაგებისთვის გუნდი გავკიცხო. მე ხომ ძალიან კარგი მახსოვრობა მაქვს და ვერ დავივიწყებ იმ კარგ პერიოდს, რაც გუნდს ამ მარცხამდე ჰქონდა. წინა კვირაში მოწოდების სიმაღლეზე არ ვიყავით, მაგრამ ამჯერად უკეთესად ვითამაშებთ. ჩვენ მომავალს მშვიდად უნდა შევხვდეთ და თან შეცდომებიც არ უნდა დაგვავიწყდეს. რაც შეეხება მატჩის დროს ვიდეო განმეორებას, ამ სიახლეს არ მივესალმები, რადგან თამაში უსაშველოდ გაიწელება და დაუსრულებელი გახდება", - განაცხადა ანჩელოტიმ.

ფეხბურთელთა მდგომარეობას რაც შეეხება, ანჩელოტიმ განაცხადა: "არ არის გამორიცხული შემდგომ მატჩებში ძირითად შემადგენლობაში ფერნანდო რედონდო გამოჩნდეს. რედონდო ამისთვის მზად არის. ის ხომ მოედნის ცენტრის ნამდვილი ტვინია. ჩვენ გვაშინებს ალესანდრო ნესტას მდგომარეობაც, რომელმაც გასულ კვირას ტრავმა მიიღო. უდინეში მუხლი დაიზიანა ანდრეი შევჩენკომაც".

"მილანის" შეტევა აღარ არის ისეთი შედეგიანი, როგორც სეზონის დასაწყისში, მაგრამ ანჩელოტი ამის გამო არ ნერვიულობს: "ვფიქრობ, რომ ამ სეზონში 50-მდე გოლის გატანის შემდეგ მეტისმეტი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ "მილანი" გოლის კრიზისს განიცდის. წლევანდელ სეზონში "მილანის" მიზანია სეზონის ბოლომდე რაც შეიძლება კარგი შედეგის ჩვენება, თან ჩვენი კლუბი ხომ სამ ფრონტზე ერთად იბრძვის", - ამბობს "მილანის" მწვრთნელი.

### მოკლედ

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სვენ გორან ერიქსონი აცხადებს, რომ, მისი აზრით, გუნდის ვეტერანმა მეკარემ ამხანაგურ შეხვედრებში არ უნდა ითამაშოს. შესაძლოა, შვედი უახლოეს პერიოდში რომელიმე ახალი მეკარის გამოცდას აპირებს. ამ ახალი მეკარის ამპლუაში კი პირველ რიგში იგულისხმებიან დევიდ ჯეიმსი "ვესტ ჰემიდან" და პოლ რობინსონი "ლიდსიდან". ამ უკანასკნელს ნაკრებში ჯერ არ უთამაშია. ამდენად, ერიქსონის ნათქვამიდან გამომდინარე, სიმენს ავსტრალიელთა წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში თამაშის ძალიან მცირე შანსი აქვს. ეს თამაში 12 თებერვალს გაიმართება. მიუხედავად ამისა, დღეს სიმენი მაინც პირველობას ინარჩუნებს, რასაც სვენ გორან ერიქსონიც ადასტურებს. მისი თქმით, სიმენი ამჟამად კარგ ფორმაშია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჯან ლუკა ვიალიმ განაცხადა, რომ სამშობლოში ბრუნდება. "ჩემი გადაწყვეტილება ფეხბურთს უკავშირდება, მაგრამ ამის მეტს ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი", - განაცხადა ვიალიმ. ვარაუდობენ, რომ ვიალის ერთ-ერთი იტალიური კლუბის მწვრთნელობა შესთავაზეს. ვიალი 1996 წელს "იუვენტუსიდან" "ჩელსიში" გადავიდა. 1998 წელს კი კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდა. იგი ამ პოსტზე 2000 წლამდე იმყოფებოდა და ხუთი თასი მოიგო, შარშანდელ სეზონზე კი "უოტფორდის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სატრანსფერო დერეფნის უკანასკნელ დღეს "ნიუკასლის" მწვრთნელმა, ბობი რობსონმა მაინც მოახერხა "ლიდსის" მცველის ჯონათან ვუდგეიტის გადაბირება. სატრანსფერო თანხამ 9 მილიონი გირვანქა შეადგინა. ამჟამად რობსონის განკარგულებაში ისეთი დონის ცენტრალური მცველია, რომ რობსონს პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის ბრძოლაც შეუძლია. "ლიდსი" კი, თავის მხრივ, ფინანსური პრობლემების გამო, უმაღლესი კლასის მეექვსე ფეხბურთელს კარგავს. ადრე გუნდი - რიო ფერდინანდმა, ლი ბოიერმა, რობი კინმა, ოლივიე დაკურმა და რობი ფაულერმა დატოვეს. გუნდში ისეთი მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ თანამდებობის დატოვებას კლუბის მწვრთნელი ტერი ვენეიბლზიც აპირებს. "მე არასდროს მითქვამს, რომ აქ დავრჩები", - განაცხადა ვენეიბლზმა. ვუდგეიტი კი შირერის შემდეგ "კაჭკაჭების" ყველაზე ძვირფასი შენაძენია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" მცველი, რაულ ბრავო ინგლისის "ლიდს იუნაიტედმა" სეზონის ბოლომდე იჯარით ითხოვა. ბრავოს გადაბირება იორკშირულ კლუბს სეზონის დასაწყისშიც სურდა, მაგრამ მაშინ ტერი ვენეიბლზის გეგმები ჩაიშალა. ესპანელი მცველი ნიასლიან ალბიონზე ჯერ არ ჩასულა. სავარაუდოდ, მისი დებიუტი მომავალ კვირაში შედგება - "ვესტ ჰემის" წინააღმდეგ შეხვედრისას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის "ინტერმა" კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის "ვასკო და გამას" ნახევარმცველ ფრანსისკო ალბერონისთან. ახალგაზრდა ფეხბურთელი ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. გამორიცხული არ არის, რომ ალბერონი უკვე წელს გამოჩნდება "ინტერის" ძირითად შემადგენლობაში და დაიკავებს არგენტინელი მათიას ალმეიდას ადგილს, რომელმაც ტრავმა მიიღო.

### ისტორიული ფოტო

ეს იყო 35 წლის წინათ...



1968 წლის 1 ოქტომბერი, მილანი. "მილანის" ლეგენდარული მწვრთნელი ნერეო როკო

## რონალდო: „ვან გაალი ღმერთმა დასაჯა„

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი თავდამსხმელი, რონალდო მიიჩნევს, რომ ლუი ვან გაალმა "ბარსელონას" მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლება დაიმსახურა და რომ ის, იმ სიტყვების გამო, რომლებიც მან ადრე რონალდოს მისამართით თქვა, ღმერთმა დასაჯა. "მე არ მიხარია, ის რაც ვან გაალს დაემართა. ვიცი, რომ ის მართლაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ეს მან დაიმსახურა, ყოველივე იმის გამო, რაც მან ჩემზე თქვა. თუ მწვრთნელს არ აკმაყოფილებს ესა თუ ის ფეხბურთელი, მან უნდა უთხრას მას ამის შესახებ, მაგრამ ვან გაალმა შეურაცხყოფა მომაყენა. მან განაცხადა, რომ მე გოლფის



რონალდო

თამაში უფრო მადარდებს, ვიდრე ფეხბურთის. ამის გამო, ის ღმერთმა დასაჯა", - ამბობს რონალდო.

ბრაზილიელი "ბარსელონაზეც" საუბრობს და სინანულს გამოთქვამს თავისი ყოფილი კლუბის ამჟამინდელი პრობლემების გამო: "ის, რაც ახლა "ბარსელონაში" ხდება, სამარცხვინოა. ეს უდიდესი კლუბია. იმედი მაქვს, მძიმე ვითარებას მალე გამოასწორებენ. აუცილებელია, რომ "ბარსელონაც" და "რეალიც" კარგ ფორმაში იყვნენ, რადგან ეს ფეხბურთისათვის არის კარგი".

რონალდომ ისიც განაცხადა, რომ თავად ჩინებულ ფორმაშია და მიმდინარე სეზონზე 25 გოლის გატანის უნარი შესწევს.

## ინგლისის პრემიერლიგის ყველა ტრანსფერი

*გაზეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერში იტალიის სერია A-ს კლუბების მიერ წლევანდელ სატრანსფერო ზამთარში განხორციელებული ყველა ტრანსფერის ნუსხა შემოგთავაზეთ. დღეს კი ინგლისური კლუბების ტრანსფერებს გთავაზობთ.*

**არსენალი**
*მოვიდნენ:* გილემ ვარმიუზი (ლენსი, *საფრანგეთი*).
*წავიდნენ:* დევიდ გრონდინი (დანფერმლაინი, *შოტლანდია*), მეტიუ აპსონი (ბირმინგემი), სტივ სიდველი (რიდინგი), სტატის ტავლარიდისი (პორთსმუტი).

**მანჩესტერ იუნაიტედი**
*წავიდნენ:* ბენ უილიამსი (ჩესტერფილდი).

**ნიუკასლი**
*მოვიდნენ:* ტონი კეიგი (ჰიბერნიანი, *შოტლანდია*), ჯონათან ვუდგეიტი (ლიდსი).
*წავიდნენ:* ტომ ინგლიში (ლივინგსტონი), რიჩარდ ოფიონგი (მოზერველი, *შოტლანდია*), აარონ ლაბონტი (ლივინგსტონი, *შოტლანდია*), ტომი სმიტი (ლივინგსტონი, *შოტლანდია*), უეინ ქუინი (შეფილდ იუნაიტედი).

**ჩელსი**
*წავიდნენ:* მიქაელ ფორსელი (მიონხენგლადბახი, *გერმანია*).

**ევერტონი**
*მოვიდნენ:* ბრაიან მაკბრაიდი (კოლამბასი, *აშშ*), იბრაჰიმ საიდი (ალ აჰლი, *ეგვიპტე*).

**ლივერპული**
*წავიდნენ:* აბელ შავიერი (გალათასარაი, *თურქეთი*), გრეგორი ვინიალი (ბასტია, *საფრანგეთი*).

**საუთჰემპტონი**
*მოვიდნენ:* დევიდ პრატონი (ნოტინგემ ფორესტი), დენი ჰიგინბოტემი (დერბი).

**ტოტენჰემი**
*წავიდნენ:* ლეს ფერდინანდი (ვესტ ჰემი), სერგეი რებროვი (ფენერბახჩე, *თურქეთი*), სტივენ კელი (საუთენდი), ტიმ შერვუდი (პორთსმუთი), სტეფენ კლემენსი (ბირმინგემი).

**მანჩესტერ სიტი**
*მოვიდნენ:* რობი ფაულერი (ლიდსი), დავიდ სომელი (ბორდო, *საფრანგეთი*), ჯამელ ბელმადი (ბორდო, *საფრანგეთი*).
*წავიდნენ:* ბრაიან მერფი (ოლდჰემი), ლორენ შარვე (სოშო, *საფრანგეთი*), ტაირონ ლორანი (ტრანმირი).

**ჩარლტონი**
*წავიდნენ:* ბენ რობერტსი (ბრაიტონი).

**ბლექბერნი**
*მოვიდნენ:* ვრატისლავ გრეშკო (პარმა, იტალია).
*წავიდნენ:* ალან მაჰონი (კარდიფი, *უელსი*), დარენ დანინგი (მაკლსფილდი).

**ასტონ ვილა**
*მოვიდნენ:* იოი გუდიონსონი (ბეტისი, *ესპანეთი*).
*წავიდნენ:* მაიკლ ბოულდინგი (გრიმბსი).

**მიდლსბრო**
*მოვიდნენ:* მაიკლ რიკეტსი (ბოლტონი), მალკოლმ კრისტი (დერბი), კრის რიგოტი (დერბი), ჯონ უესტეისი (ქოვენთრი).
*წავიდნენ:* კარლო მარინელი (ტორინო, იტალია), დინ უინდასი (შეფილდ იუნაიტედი).

**ლიდსი**
*მოვიდნენ:* რაულ ბრავო (რეალი, *ესპანეთი*).
*წავიდნენ:* ჯონათან ვუდგეიტი (ნიუკასლი), რობი ფაულერი (მანჩესტერ სიტი), ოლივიე დაკური (რომა, *იტალია*), დანი მილოშევიჩი (ქრიუ), ფრეიზერ რიჩარდსონი (სტოკ სიტი), ლი ბოიერი (ვესტ ჰემი).

**ფულემი**
*წავიდნენ:* ლუკე კორნვალი, რუფიუს ბრევე (ვესტ ჰემი).

**ბირმინგემი**
*მოვიდნენ:* მეტიუ აპსონი, პიოტრ სვირჩევსკი (მარსელი, *საფრანგეთი*), ჯემი კლამჰემი (იფსვიჩი), სტეფენ კლემენსი (ტოტენჰემი), კრისტოფ დიუგარი (ბორდო, *საფრანგეთი*).
*წავიდნენ:* ტომას მუნეი (შეფილდ იუნაიტედი), კრეიგ ფაგანი (ბრისტოლ სიტი), ბრაიან ჰიუზი (ლესტერი), დერილ პაუელი (შეფილდ უენზდეი).

**ბოლტონი**
*მოვიდნენ:* პიერ-ივ ანდრე (ნანტი, *საფრანგეთი*), ნდივა ლორდ-კანგანა (იურგორდენი, *შვედეთი*), ფლორენ ლავილი (ლიონი, *საფრანგეთი*), სალვა ბალესტა (ვალენსია, *ესპანეთი*).
*წავიდნენ:* მაიკლ რიკეტსი (მიდლსბრო).

**ვესტ ჰემი**
*მოვიდნენ:* ლი ბოიერი (ლიდსი), ლეს ფერდინანდი (ტოტენჰემი).
*წავიდნენ:* გრანტ მაკკანი (ჩელენტჰემი), ტიტი კამარა (ალ იტიჰადი), ლორენ კურტისი (ისტრი, *საფრანგეთი*).

**სანდერლენდი**
*მოვიდნენ:* ტალალ ელ კარკური (პსჟ, *საფრანგეთი*), მარტ პუმი (დერბი).
*წავიდნენ:* მაიკლ რედი (შეფილდ ვენზდეი), მაიკლ ინგჰემი (იორკი), დენე შილდსი (რეიტი).

**ვესტ ბრონვიჩი**
*ტრანსფერი არ განუხორციელებია.*

## ტოპმიოლერის შვილი მეძავი აღმოჩნდა

*ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ლევერკუზენის "ბაიერის" მთავარი მწვრთნელი, კლაუს ტოპმიოლერი. სახელგანთქმული მამის შვილს, ნინა ტოპმიოლერს ბრალად თაღლითობა და მეძავობა ედება.*

23 წლის ნინას ორი წლის წინათ გაუცვნია ყოფილი ჩოგბურთელი, კლაუდია კილში, რომლის ქმარი კრის ბენეტი მუსიკალური პროდიუსერი ყოფილა. როგორც თავად აცხადებს, ბენეტს გოგონა თავიდანვე ჩავარდნია გულში, მაგრამ "საყვარელ" ცოლს ხომ არ მიატოვებდა და გამოსავალსაც მიაგნო - მომღერლობის მსურველ ნინას ვარსკვლავად ქცევას შეჰპირდა, სანაცვლოდ კი... ასე გახდა ნინა ტოპმიოლერი კრის ბენეტის საყვარელი.

როგორც შემდგომში გაირკვა, ბენეტს ნინა თავისი გეგმების განსახორციელებლად სჭირდებოდა. თაღლითი პროდიუსერი, ვითომდა თავისი გეგმებისთვის ხორცის შესასხმელად, დიდი რაოდენობით იღებდა კრედიტებს ამა თუ იმ პიროვნებებისგან. სატყუარად კი ნინას იყენებდა, რომელსაც თავის "მსხვერპლს" უწვენდა ლოგინში.

დუეტი ორი თვის წინათ ჩავარდა. ერთ-ერთმა მორიგმა მსხვერპლმა



ნინა ტოპმიოლერი

საფრთხე იყნოსა და ბენეტის საქმიანობის გარკვევა დაიწყო. მსხვერპლის დაინტერესება იმან გამოიწვია, რომ ბენეტის ყველა კრედიტორის საყვარელი სხვადასხვა დროს ერთი და იგივე პიროვნება იყო - ნინა ტოპმიოლერი.

როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები არ არის ცნობილი, მაგრამ ფაქტია, რომ ბენეტი და ნინა პოლიციამ დააკავა და ახლა ორივეს სასამართლო ელის. უცნაურია, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერის ქალიშვილი საქმეში თანამონაწილეობას უარყოფს და აცხადებს, რომ ბენეტი მას სხვადასხვა პიროვნებებთან დაწოლას აიძულებდა, მაგრამ ამბობს,- არ ვიცოდი, ამას რისთვის მაკეთებინებდაო. "ჩემი ერთადერთი მიზანი მომღერლობაა. ბენეტი ამ საქმეში წინსვლაში დახმარებას დამპირდა. მეც ვენდე და ყველაფერს ამიტომ ვაკეთებდი. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, წარმოდგენა არ მქონდა თუკი კრისი ასეთ საქმიანობას ეწეოდა", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ნინა ტოპმიოლერმა.

რამდენად დაუჯერებენ მას გამომძიებლები და მსაჯულები მომავალში გაირკვევა, მაგრამ, გერმანულ პრესას თუ ვენდობით, მსჯავრდებულებს ხუთ-ხუთი წლით პატიმრობა ელით.

## მწვრთნელმა ფეხბურთელს პენალტის გატანა აუკრძალა

*დანიის ნაკრები Fair play–ის ჯილდოს მოპოვების მთავარი კანდიდატი გახდა. ეს ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა გუნდს ან ფეხბურთელს, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ კეთილშობილებას გამოავლენს.*

დანიის ნაკრები ამჟამად ჰონგკონგში იმყოფება, სადაც კარლსბერგის თასის ყოველწლიურ ტურნირზე ასპარეზობს. მასთან ერთად ტურნირში მონაწილეობას იღებენ მასპინძელთა, ურუგვაის და ირანის ნაკრებები. სწორედ ირანის ნაკრებთან მატჩისას გახდა დანიის ნაკრები ჯილდოს მოპოვების ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი. საქმე ისაა, რომ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე საკუთარ საჯარიმოში მყოფმა ირანის ნაკრების მცველმა სასტვენის ხმა ტაიმის დასასრულად მიიჩნია და ბურთი ხელში აიღო. სინამდვილეში, არბიტრს კი არა, მაყურებელს დაუსტვენია. ბუნებრივია, მატჩის არბიტრმა ფეხბურთელის საქციელი წესების დარღვევად ჩათვალა და პენალტი დანიშნა. ამის შემხედვარე დანიელთა თავკაცი, მორტენ ოლსენი სკამიდან წამოხტა და შეგირდს პენალტის გატანა აუკრძალა.



მორტენ ოლსენი

მიუხედავად იმისა, რომ დანიელები საბოლოო ჯამში დამარცხდნენ, ოლსენს თავისი პირვანდელი გადაწყვეტილების გამო სინანული არ გამოუთქვამს. "ჩვენ არ ვიმსახურებდით იმ შემთხვევაში პენალტს, ამდენად მისი გატანის მორალური უფლება არ გვქონდა. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, როცა ასეთი გადაწყვეტილება მივიღე", - ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა დანიელთა მწვრთნელმა.

დანიელები კი, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, გაშვებული პენალტით დამარცხდნენ - მეორე ტაიმის დასაწყისში დანიელი მცველი საკუთარ საჯარიმოში ეუხეშა მოწინააღმდეგეს, რომელმაც კუთვნილი თერთმეტმეტრიანი გამოიყენა.

ძიუდო

# ხუთი ოქროს მედალი სუპერტურნირის პერსპექტივით

მიხეილ აბაიშვილი


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზვიად ხანჯალიაშვილის და ლაშა გუჯეჯიანის ორთაბრძოლა

თბილისის ტრადიციული ძიუდოს 30-ე საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეც მასპინძელი სპორტსმენების ჰეგემონიით დამთავრდა. ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშებული მედლების დიდი ნაწილი ქართველ ძიუდოისტებს დარჩათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თუ მასპინძლებმა შეჯიბრების პირველი დღე, ოქროს მედლების თვალსაზრისით, აბსოლუტური შედეგით დაასრულეს და სამივე წონაში მთავარი ჯილდო მოიპოვეს, ამჯერად ჩამოსულებმა სერიოზული კონკურენცია გასწიეს და დამხვდურებს ოთხიდან ორი "ოქრო" არ დაანებეს.

მეორე დღე 81 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძიუდოისტებმა გახსნეს. ამ წონაში საქართველოს ნაკრების პირველ ნომრად გრიგოლ მამრიკიშვილი ითვლება. მას უფროსებში ჯერჯერობით სერიოზული მიღწევები არ აქვს, თუმცა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია. მამრიკიშვილმა კარგი სტარტი აიღო - ჯერ საბერძნეთის სახელით მოასპარეზე თანამემამულე, გოჩა ბერაძე დაამარცხა, შემდეგ აზერბაიჯანელ რამიზადეს სუფთად მოუგო და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში მას კიდევ ერთი ყოფილი თანამემამულე, რამდენიმე წლის წინ უკრაინის მოქალაქეობამიღებული, ილია ჩიმჩიური დაუპირისპირდა, რომელსაც, მამრიკიშვილთან შედარებით, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გაცილებით დიდი გამოცდილება და სტაჟი აქვს. ჩიმჩიურმა, რომელსაც "ნახევრადმშობლიური" კედლებიც უმაგრებდნენ ზურგს, ნახევარფინალური ორთაბრძოლა ალმავლობით ჩაატარა და ფინალში გავიდა. გრიგოლს კი მცირე ფინალში ასპარეზობით მოუწია დაკმაყოფილება - მან საბერძნეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ნიმოსი კისრული გდებით ბრწყინვალედ დაამარცხა წუთსა და 40 წამში.

მეორე ფინალისტის გამოსავლენმა ორთაბრძოლამ ქართველების გარეშე ჩაიარა. იაპონელმა რიუჩი მურატამ აზერბაიჯანელი ჰასანოვი ბევრი არ აწვალა და წუთნახევარში იპონით გაიმარჯვა. წინ კიდევ სამი წონითი კატეგორიის ასპარეზობები იყო, მაგრამ 81 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალი, უცხოელი ძიუდოისტების სოლიდური წარმომადგენლობის მიუხედავად, ერთადერთი გამოდგა, რომელმაც საქართველოს წარმომადგენლის გარეშე ჩაიარა. თუმცა, უქართველოდ ამ ფინალსაც არ ჩაუვლია( ვგულისხმობ უკრაინის სახელით მოასპარეზე ჩიმჩიურს). ეს ძიუდოისტი ფინალშიც ბევრს ეცადა შეძენილი სამშობლოს ღირსება კარგად დაეცვა, მაგრამ ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელთან ვერაფერი გააწყო. იაპონელმა ცოტა კი გააჯანჯლა, მაგრამ მესამე წუთის მიწურულს ლამაზი სარმით ზურგზე დასცა მეტოქე და ამომავალი მზის ქვეყანას თბილისის წლევანდელი ტურნირის ერთადერთი ოქროს მედალი მოუტანა.

90 კილოგრამამდე წონითი კატეგორია კი, მხოლოდ ამ ტურნირზე კი არა, ზურაბ ზვიადაურმა, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატზე და ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც კი არავის დაუთმოს. შეგახსენებთ, რომ ზვიადაური წელიწადნახევრის წინ მიუნხენში მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახდა. თანაც, მაშინ ფინალში მოტეხილი ნეკნით იჭიდავა და მხოლოდ ამის გამო დამარცხდა. მაშინ ზვიადაური 19 წლის იყო. ახლა კი ასაკიც მოემატა და გამოცდილებაც. ფინალში იგი უკრაინელ მარკოვს შეხვდა, რომელიც მას გაბარიტებით და წონით საგრძნობლად აღემატებოდა, მაგრამ უკრაინელის უპირატესობა სულ ეს იყო. ორთაბრძოლის დასაწყისში ზურაბმა მეტოქეს "კოკა" აართვა. სტუმარმა კი ტატამზე წინ და უკან სირბილისა და ზვიადაურის "მარწუხებიდან" თავის დაღწევისას ერთ მომენტში ქართველს წონასწორობა დააკარგვინა, რაც მსაჯმა ქულად შეაფასა. ეს უკრაინელს ძვირად დაუჯდა: რამდენიმე წამში ქართველმა მარკოვი მოხდენილი გვერდულით გააკრა ტატამზე ზურგით და მსაჯმაც ქართველის წმინდა გამარჯვება დააფიქსირა.

ამავე წონაში კიდევ ერთმა ქართველმა, კახაბერ მურაჩიშვილმა დაამარცხა "მცირე ფინალში" ფრანგი ტიერი ფაბრი და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მეორე "სანუგეშო ფინალში" წინა დღის ტრიუმფატორის, 73 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის გამარჯვებულის, დათო ბოდაველის ძმა, მინდია ბოდაველი გავიდა. მაგრამ, ძმისგან განსხვავებით, მან იაპონელს ვერ აჯობა და ბოდაველების მედლების მდიდარ საოჯახო ყულაბას ახალი ექსპონატი ვერ შემატა.

100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მონაწილეობა ვერ მიიღო საქართველოს ნაკრების ლიდერმა, ივერი ჰჯიქურაულმა, რომელმაც იაპონიაში ყოფნისას ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად, ქართული ძიუდოს პრესტიჟი წარმატებით დაიცვა ახალგაზრდა დიმიტრი ტურაშვილმა, რომელიც ფინალში გავიდა, მაგრამ იქ მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან, ებრაელ არიელ ზეევისთან იპონით დამარცხდა. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა გიორგი გუგავა.

და ბოლოს, ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში კიდევ ერთი "ქართული ფინალის" მომსწრენი გავხდით. მოულოდნელი მარცხი განიცადა ამ წონაში საქართველოს აღიარებულმა ლიდერმა, ალექსი დავითაშვილმა, რომელსაც თანამემამულე ლაშა გუჯეჯიანმა აჯობა და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი კიდევ ერთი ქართველის, ზვიად ხანჯალიაშვილის და იაპონელი მურამოტოს ნახევარფინალმა გამოავლინა. ქართულ-იაპონურ დაპირისპირებაში, ამ ტურნირზე უკვე მერამდენედ, ისევ ქართველმა ფალავანმა იძალა და ფინალში გავიდა. განსაკუთრებით სასიამოვნო კი ის არის, რომ გუჯეჯიანიც და ხანჯალიაშვილიც ძალიან ახალგაზრდები არიან. მათ 18-18 წელი არც შესრულებიათ. ეს კი იმედს ბადებს, რომ სულ მალე ამ პრესტიჟულ წონაში ხახალეიშვილის წასვლის შემდეგ შექმნილი ვაკუუმი შეივსება და საერთაშორისო დონეზე ანგარიშგასაწევები გავხდებით.

ფინალი ერთობ დაძაბული გამოდგა. საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე გუჯეჯიანი მხოლოდ "კოკათი" ამარცხებდა მეტოქეს. ერთი წამი რჩებოდა, რომ ხანჯალიაშვილმა გდება შეასრულა, რაც მსაჯებმა "იუკოდ" შეაფასეს და, პრაქტიკულად, გადაწყვიტეს ოქროს მედლის ბედი.

შედეგად, ქართველმა ძიუდოისტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს, საერთო ჯამში 5 ოქროს, 4 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

შოთა ხაბარელი (საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი): "ძალიან კმაყოფილი ვარ შედეგებითაც და, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ტურნირის ჩატარების ხარისხითაც. თბილისის საერთაშორისო ტურნირი თანდათან იბრუნებს ადრინდელ ავტორიტეტს და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს ეს ტურნირი გაცილებით სოლიდურ წარმომადგენლობას შემოიკრებს. სპორტული თვალსაზრისითაც, 2004 წლის ტურნირი გაცილებით საინტერესო უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ 2004 ოლიმპიური წელია. მოსკოვის და თბილისის საერთაშორისო ტურნირების შედეგებიდან გამომდინარე, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენ შვიდივე ოლიმპიურ წონით კატეგორიაში მოვიპოვებთ ლიცენზიას."

დილარ ხაბულიანი (საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი): "ტურნირმა ძალიან მაღალ საშეჯიბრო და ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა. რაც მთავარია, ევროპის ძიუდოს კავშირის ხელმძღვანელები და დელეგატები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ. ეს იმედს გვაძლევს, რომ უკვე მომავალ წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირი, A კატეგორიასთან ერთად, სუპერტურნირის სახელსაც მიიღებს."

კრივი

# კანდელაკი ბაკურიანში ფორმას იღდგენს

პაატა თოთაძე

*ქართველი მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი ბაკურიანში იმყოფება, სადაც მომავალი ბრძოლისთვის მზადების პირველ ეტაპს გადის. ქართველი მოკრივე იქ ერთ კვირას დაჰყოფს, შემდეგ კი მშობლიურ ვარიანს დაუბრუნდება.*

ჯერჯერობით არაა გარკვეული, თუ ვისთან და როდის იჩხუბებს კანდელაკი. ბრძოლა, სავარაუდოდ, გაზაფხულზე გაიმართება. ყველაფერი კანდელაკის მენეჯერის, ფრენკ მელოუნის ჩამოსვლის შემდეგ გადაწყდება. მელოუნი საქართველოში, წესით, იანვარში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ, მიზეზთა გამო, ვერ მოახერხა და მისი ვიზიტი თებერვლის შუა რიცხვებამდე გადაიდო. ცნობილი გახდა, რომ მელოუნთან ერთად ჩვენს ქვეყანას, შეიძლება, ფრენკ უორენი და ფილიპ ფანდიუც ეწვიონ.

"ქართველი კაცი ახალი წლის დადგომას ხომ იცით, როგორ აღნიშნავს - ოდნავ მეც ამოვვარდი ფორმიდან. ბაკურიანშიც ამიტომ გავემგზავრე. აქ, ძირითადად, ფიზიკურად ვემზადები – დილით დავრბივარ, შემდეგ ტრენაჟორები, აუზი. სადილის შემდეგ ისევ დავრბივარ და აუზში ვცურავ. ხუთი-ექვსი კილო მაქვს მომატებული და ამ ერთ კვირაში აუცილებლად უნდა ალვიდგინო ძველი წონა. შემდეგ ვარიანში დავბრუნდები და ჩემს მწვრთნელთან ერთად განვაგრძობ მზადებას", - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა კანდელაკმა.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კანდელაკი მარტში იჩხუბებს

ვარიანში მზადება, დაახლოებით, ერთ კვირას გასტანს, შემდეგ კი მელოუნი ჩამოვა და ბრძოლისთვის საბოლოო სამზადისის გეგმას ჩამოიტანს. მოკრივის თქმით, არაა გამორიცხული, სპარინგ-პარტნიორების საქართველოში ჩამოსვლა, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ის ლონდონში გაემგზავრება. "ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როდის და ვისთან მომიწევს ბრძოლა. მირჩევნია, სპარინგ-პარტნიორები აქ ჩამოვიდნენ, მაგრამ ეს დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და არ ვიცი, რამდენად გამოვა. საერთოდ, მოკრივეს, მოსამზადებლად რამდენიმე სპარინგ-პარტნიორი სჭირდება. ერთი დაბალი უნდა იყოს, მეორე - მაღალი, მესამე ისეთი, ვინც თავს კარგად იცავს, მეოთხე - ვინც კარგად უტევს და ასე შემდეგ. წარმოიდგინეთ, რამდენი სპარინგ-პარტნიორია საჭირო. ამდენი კაცის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, არ ვიცი, რამდენად რეალურია. უფრო სავარაუდოა, რომ ლონდონში წავალ და საბოლოო სამზადისსაც იქ გავივლი", - აღნიშნა კანდელაკმა.

ბრძოლის თარიღი თებერვლის შუა რიცხვებამდე ანუ მელოუნის ჩამოსვლამდე არ დაზუსტდება, მაგრამ, ბრიტანული საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კანდელაკს, შესაძლოა, უკვე მარტის შუა რიცხვებში მოუწიოს ჩხუბი ერთ-ერთი ტიტულისთვის.

ხელბურთი

# ოქროს მაძიებლები

## გერმანია და ხორვატია ოქროს მედლებს გაითამაშებენ

**პორტუგალია**
**მსოფლიო ჩემპიონატი.**
**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| *გერმანია - საფრანგეთი* | *23:22* |
| *ხორვატია - ესპანეთი* | *39:37* |
| | *(დამატებით დროში)* |

პორტუგალიაში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. გამოვლინდნენ ფინალისტები. ტურნირის მთავარი ჯილდოსთვის ერთმანეთს გერმანიისა და ხორვატიის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან.

გერმანიის ნაკრები ის გუნდია, რომელსაც ტურნირზე მარცხი არ განუცდია. შვიდ შეხვედრაში გერმანელებმა 6 მოიგეს და და ერთიც ფრედ - იუგოსლავიის გუნდთან ითამაშეს. მსოფლიოს აწ უკვე ექს-ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს კი ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდა და ტურნირის უმთავრეს ფავორიტადაც მიიჩნეოდა. მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა და ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა. თამაშის ბოლომდე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერცერთმა გუნდმა ვერ მოახერხა, მაგრამ გერმანელები უფრო იღბლიანები აღმოჩნდნენ და ტურნირზე თავისი მეშვიდე გამარჯვება მოიპოვეს.

მეორე ნახევარფინალი ხორვატებმა და ესპანელებმა გაითამაშეს. ნახევარფინალამდე არც ესპანელებს ჰქონდათ მარცხის სიმწარე განცდილი და უფრო თავდაჯერებულადაც გამოიყურებოდნენ - ბევრს რისკავდნენ და თავიდან უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ უაღრესად გამოცდილი ხორვატიის ნაკრები სიტუაციას მშვიდად აკონტროლებდა და თამაშის გამოსწორება შეძლო. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო. აქ კი ხორვატებმა აშკარა უპირატესობას მიაღწიეს და საბოლოოდ ორბურთიანი სხვაობითაც მოიგეს - 39:37.

ამრიგად, ლისაბონის ხელბურთის დარბაზში ოქროს მედლებს გერმანელები და ხორვატები გაითამაშებენ. ბრინჯაოს ჯილდოსთვის კი ფრანგები და ესპანელები იბრძოლებენ. რაც შეეხება ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის ბრძოლას (მოგეხსენებათ ოლიმპიადის საგზურს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო 7 გუნდი ავტომატურად მოიპოვებს), ორი იღბლიანი უკვე გამოვლინდა - რუსეთისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები ოლიმპიადაზე ითამაშებენ.


REUTERS

ესპანელი მარიანო ორტეგასა და ხორვატი ტონჩი ვოლჩიჩის პაექრობა

უნგრეთის ნაკრებმა დრამატულ მატჩში, ერთი ბურთის სხვაობით - 34:33 აჯობა იუგოსლავიის გუნდს, ხოლო რუსებმა როლანდ ერაძის ისლანდია დაამარცხეს - 30:27. ასე რომ, დარჩენილი ერთი ვაკანსიისთვის ბრძოლა ისლანდიელებს იუგოსლაველებთან მოუწევთ, რუსები კი მეხუთე ადგილისთვის უნგრელებს დაუპირისპირდებიან.

სხვათა შორის, ისლანდიის ნაკრებმა თამაში მეტისმეტად აგრესიულად დაიწყო და ოთხბურთიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ რუსეთის ნაკრების ვეტერანი მეკარის, ანდრეი ლავროვის თავგანწირული თამაშის წყალობით, რუსებმა მდგომარეობა გამოასწორეს და ტაიმიც ერთი ბურთის სხვაობით მოიგეს - 13:12.

მეორე ტაიმში რუსები თამაშს აკონტროლებდნენ, თუმცა ისლანდიელთა იერიშებიც საკმაოდ მწვავე იყო. ანდრეი ლავროვი ისევ მოწოდების სიმაღლეზე იდგა და, საბოლოოდ, რუსებმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს.

ჩოგბურთი

# ულირახი დოპინგის მიღებაში ამხილეს

ჩეხეთის გაზეთ "სპორტზე" დაყრდნობით, საინფორმაციო სააგენტო Reuters-მა გაავრცელა ცნობა, რომ 27 წლის ჩეხი ჩოგბურთელი, ბოგდან ულირახი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. ულირახმა უკანასკნელი დოპინგ-ტესტი 2002 წელს, კრემლის თასზე გამოსვლისას გაიარა. A ტესტის შედეგის მიხედვით, რომელიც ჩოგბურთელმა 2002 წლის 3 ოქტომბერს ჩაიტარა, ულირახის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი ნონდროლონი აღმოჩნდა. განმეორებითი B ტესტის შედეგები ჯერჯერობით უცნობია. მსოფლიოს 92-ე ჩოგანმა 2003 წლის სეზონის დასაწყისი - ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, ფეხის ტრავმის მიზეზით გამოტოვა. ATP-ის ტურნირების სამგზის გამარჯვებულის მომავალი ბედი ჯერჯერობით უცნობია. ულირახმა, თუ მას დოპინგის მოხმარება დაუდასტურდა, შესაძლოა, ორწლიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრას ხელი.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დოპინგის მოხმარებაში ამხილეს ორი არგენტინელი ჩოგბურთელი - ხუან-იგნასიო ჩელა და გილიერმო კორია. მათ ორგანიზმში აღმოაჩინეს აკრძალული პრეპარატები - მეთილტესტოსტერონი და ნონდროლონი. არგენტინელები ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაციითა და დიდი ჯარიმით დასაჯა.

ჩეხ ჩოგბურთელებს რაც შეეხებათ, ულირახის შემთხვევა პირველი არ არის. 1998 წელს უიმბლდონის ტურნირზე ნანდროლონის მიღებაში ამხილეს პეტრ კორდა. მაშინ მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რამაც კორდას სპორტული კარიერა შეიწირა. მისი მხრიდან ჩოგბურთში დაბრუნების ყოველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მოკლედ

**ჩოგბურთი.** ტოკიოში დასრულდა საჩოგბურთო ტურნირი ქალთა შორის, რომლის საპრიზო ფონდი 1 300 000 დოლარია. ნახევარფინალში ტურნირის პირველმა ნომერმა, ამერიკელმა მონიკა სელეშმა თანამემამულე ჩანდა რუბინი სამ სეტში დაამარცხა - 4:6, 6:4, 6:2. მეორე ნახევარფინალში კი მორიგი ამერიკული დუელი ლინდსეი დევენპორტის გამარჯვებით დასრულდა. მონიკა სელეშის მსგავსად, ტურნირის მესამე ნომერმაც სამ სეტში სძლია ლაიზა რეიმონდს - 3:6, 6:1, 6:4.

ფინალი მონიკა სელეშმა და ლინდსეი დევენპორტმა გაითამაშეს. ერთ დროს პირველმა ჩოგანმა, მონიკა სელეშმა მრისხანე მეტოქეს მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა და 7:6 მოიგო. მეორე და მესამე სეტები კი მთლიანად ლინდსეი დევენპორტის კარნახით წარიმართა და ტურნირის მესამე ნომერმა შანსი არ დაუტოვა ექს-იუგოსლავიელს - 6:7, 6:1, 6:2( დევენპორტის სასარგებლოდ).

■ ■ ■

**კრივი.** როგორც ირკვევა, მაიკ ტაისონს ლეგენდარული ავსტრალიელი მოკრივე, ჯეფ ფენეჩი გაწვრთნის. ამ მიზნით, ფენეჩმა უკვე დატოვა მწვანე კონტინენტი და ტაისონის გუნდს შეუერთდა. ფენეჩი "რკინის მაიკს" კლიფორდ ეტიენთან ბრძოლისთვის მზადებაში დაეხმარება. ეს ბრძოლა 22 თებერვალს იგეგმება და მემფისში უნდა გაიმართოს. რინგზე, სადაც ტაისონმა თავისი უკანასკნელი ბრძოლა ლენოქს ლუისთან წააგო. "მაიკს უდიდეს პატივს ვცემ და ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ეტიენთან ბრძოლას რაც შეიძლება უკეთ მომზადებული შეხვდეს, – განაცხადა ფენეჩმა, - დარწმუნებული ვარ, რომ მაიკი ამ ბრძოლას მოიგებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, იდეალურ ფორმაში იყოს".

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი აცხადებს, რომ ამ სეზონში "მაკლარენს" შეუძლია "ფერარის" ჰეგემონია დაამხოს. "გაოცებული ვარ სეზონებს შორის ამ გუნდის პროგრესით, - ამბობს მსოფლიო ჩემპიონი, - ვფიქრობ, რომ ამ გუნდის ტესტებში წარმატებები, პირველ რიგში, დაკავშირებულია საბურავების მომწოდებელ ფირმა "მიშელინთან". ერთი მხრივ, "ფერარისა" და " მაკლარენის" დაპირისპირება მაშფოთებს, მეორეს მხრივ დიდი იმედი მაქვს. გარდა ამისა, მხარს ვუჭერ ტექნიკურ ცვლილებებს, კერძოდ, ერთ დროს ფიას მიერ შემოღებული ბოლიდების მართვის ელექტრონული სისტემების აკრძალვას. ვფიქრობ, რომ ეს ფორმულა 1-ის განვითარებას მხოლოდ ხელს შეუწყობს".

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, შეიძლება, სამწვრთნელო მოღვაწეობაზე აკრძალვა მოუხსნას კანადელი სპრინტერის, ბენ ჯონსონის ყოფილ მწვრთნელ ჩარლი ფრანსისს. ფრანსისმა დისკვალიფიკაცია 1999 წელს მიიღო. ფედერაცია აკრძალვას მოხსნის იმ პირობით, რომ ფრანსისი დოპინგის მავნებლობის შესახებ საჯარო განცხადებას გააკეთებს.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** 39 წლის რეჯინა ჯეიკობსმა დაამხო მსოფლიო რეკორდი დახურული დარბაზებისთვის, რომელიც 1 500 მეტრ დისტანციაზე რუმინელმა დოინა მელინჩემ დაამყარა. ამერიკელმა ბოსტონის ტურნირზე ეს დისტანცია 3 წუთსა და 59,98 წამში დაფარა. წინა რეკორდი 1990 წელს ნიუ-ჯერსიში დამყარდა – 4წუთი და 00,27 წამი. "ამ ტრასაზე ყოველთვის წარმატებით ვასპარეზობდი. საერთოდ, ამ ტურნირამდე ჩემი საწვრთნელი პროცესის ბოლო 16 კვირა საუკეთესო იყო ჩემს სპორტულ კარიერაში. ვიცოდი, რომ რაღაც განსაკუთრებულს მივაღწევდი," - გარბენის შემდეგ განაცხადა რეჯინა ჯეიკობსმა.

კალენდარი

## 3 თებერვალი




1915 - დაიბადა ბორის პაიჭაძე. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი. "ფეხბურთის კარუზოდ" წოდებული. მე-20 საუკუნის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი. საქართველოს რაგბის კავშირის პირველი პრეზიდენტი.

1972 - დაიწყო საპოროს (იაპონია) ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

1997 - გარდაიცვალა მიხეილ იაკუშინი. საბჭოთა სპორტსმენი, მწვრთნელი. მისი მიღწევები უნიკალურია. ის იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში (1936 წ.), ბურთიან ჰოკეიში (1936) და შაიბიან ჰოკეიში (1946-1947). იყო თბილისის "დინამოს" მწვრთნელი.

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კვიტარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვალსა-ვლი, მომსახურება, სხვადასხვა, გაცნობა

3.02.03 N-32




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

სასწრაფოდ იყიდება 2 სართულიანი შენობა 750 კვ.მ, სარდაფით, ბაღით. ტელ: 76-53-35.

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 600 კვ.მ ნაკვეთი სახლით (1 სართული აშენებულია) მსხალდიდში, შესანიშნავი ხედი და ჰავა, დენი წყალი მოყვანილია ნაკვეთამდე. საწყისი ფასი 2200$. ტ.: 330670, 899 979299.

იყიდება 100კვ.მ ფართის ბინა მე-5(6) არასტანდარტულ სახლში გმირთა მოედანზე, ჭერი 3,2მ, სან-კვანძები ცალ-ცალკე, საწყისი ფასი: 32 000$. ტელ: 33-06-70, 899 979299 მარინა.

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე ბელეტაჟზე ოროთახნახევრიანი იზოლირებული პარკეტიანი, კაფელიანი ბინა. ტელ: 98-86-01

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ქირავდება 4-ოთახიანი ბინა 2-აივნით, ბუხრით, ახალი გარემონტებული, ბ/აირით, წინამძღვრიშვილზე. 96-10-67

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

მოვამზადებ აბიტურიენტებსსა და მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. აგრეთვე დავეხმარები მოსწავლეებს ყველა გაკვეთილის შესწავლაში. ტელ: 32-59-62.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

იყიდება ახალი, ბელგიური, ფერადი ტყავის სამეულები. 39 38 23

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, წელის და ფეხის ასადგმელი ქამრები. ბრტყელტერფიანებისათვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

ვეძებ სპონსორს კერძო საბავშვო ბაღის პანსიონისთვის. 75 15 04

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც არეგულირებს წნევას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, დევნის შლაკებს ორგანიზმიდან. აგრეთვე რეკომენდირებულია გულ-სისხლძარღვთა და დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**

გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი

დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**

ირაკლი გაბაშვილის ნამუშევრების მემორიალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**"ამირანი"**

"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი

დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**"რუსთაველი"**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ტრანსპორტერი"

დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**"ელისო"**

"ტრანსპორტერი"

დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი

დას: 21:30 სთ; ფასი 5 ლარი

## TV პროგრამა 3 თებერვალი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.50 სერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა"
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „დაქირავებული მკვლელი" მთ. როლში ჯეტ ლი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
16.50 „საქართველო და გარესამყარო"
17.15 „რამპა"
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „მრავალჟამიერ"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.00 მოამბე
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „ელ-ჯერო თბილისში"
22.05 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 დღის ბოლოს
00.00 მხ. ფილმი „ციმბირი"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ჯოჯოხეთის ცათამბჯენი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „წყეულთა დედოფალი"
01.45 ფილმი ღამურა „მოწმე"
03.45 პაუზის ბარეში

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „შეხვედრის ადგილი უცვლელია" მე-2 სერია

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ერთხელ ამერიკაში" 1-ლი ნაწილი
10.20 მხ.ფ. „ერთხელ ამერიკაში" მე-2 ნაწილი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ახალი კამელოტის ლედი" 1-ლი ნაწილი
22.30 „ბურთი მოედანი"
22.50 მხ.ფ. „ახალი კამელოტის ლედი" მე-2 ნაწილი
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი „უძილობა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „დიდიე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „არმაგედონი"

### მეცხრე არხი

14.15, 17.20, 18.50, 21.45, 23.40 მუსიკა
09.45 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.00 მხ. ფილმი „წნეხის ქვეშ"
11.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
12.00 ქართ. მხ. ფილმი „ცოდვის შვილები"
13.20 ქართ. დოკ. ფილმი „ღვინის გზები"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 მულტფილმი „სამი მუშკეტერი"
15.40 მხ. ფილმი „სისხლიანი დანაშაული"
17.00 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი" 65-ე სერია
18.40 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" 1-ლი სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 106-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 მხ.ფ. „ინთრეფიდი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი" 1-ლი სერია
00.45 მხ.ფ. „ლაბირინთი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.30 მუსიკა
10.00 კომედია „საკალათბურთო ციებცხელება"
12.15 თრილერი „გამოსასყიდი"
14.40 კომედია „დიდი სექსის, პატარა გიგანტი"
16.15 მულტფილმი
17.20 კომედია „გამარჯობათ, მე თქვენი დედა ვარ"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.25, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
20.00 მხატვრული ფილმი „გოტი"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05, 00.55 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 „ალტერნატივა"
01.00 მელოდრამა „კრამერი, კრამერის წინააღმდეგ
03.30 მელოდრამა „გაუცხოების ექვსი ხარისხი"

### VII არხი

09.10 „აჩიკუდა"
09.30 „სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.15 მელოდია
10.45 „სახლიდან გაუსვლელად"
11.15 „ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით)
12.05 „სახლიდან გაუსვლელად"
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 „სახლიდან გაუსვლელად"
14.05 სპორტი
18.20 „სახლიდან გაუსვლელად"
19.00 „აჩიკუდა"
19.35 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
21.05 „ლა-ლა-ლა"
21.55 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.20 „კინოკლუბი „ - „ბენ-ჰური" - 1 სერია.
00.05 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
00.50 „გიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Худ. фильм „ОТЕЦ НЕВЕСТЫ-2"
12.05 Спасатели. Экстренный вызов.
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Худ. фильм „СЛУЧАЙНЫЙ ШПИОН"
14.55 „Новый день". „Идолы". Софи Лорен
15.30 Док. детектив. „Вексель от Люцифера".
16.15 Дог-шоу
17.05 Живая природа
18.00 „Большая стирка"
19.30 „Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Все звезды в проекте „Последий герой-3"
23.45 Независимое расследование
00.30 Ночное „Время"
00.50 „На футболе"
01.20 „Новый день". „Первобытные охотники третьего тысячелетия"
01.50 „Новый день". Дэррил Занук.

### РТР

06.45 Доброе утро Россия!
09.45 Худ. фильм „УСТОЯТЬ НЕВОЗМОЖНО"
11.35, 14.15, 17.45 Экспертиза
11.45, 18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Вести недели
13.15 Док. фильм „Армения"
14.10 В „Городке"
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди босс"
22.50 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
23.50 „Вести +"
00.50 Вести-спорт
00.55 Дежурный по стране. Михаил Жванецкий.
01.50 Худ. фильм „ВИНОВЕН, КАК ПРЕДПИСАНО".

### НТВ

09.35 Утро на НТВ
10.00 Сериал „СКОРАЯ ПОМОЩЬ"
11.00 Сегодня утром
11.30 „Намедни"
13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
13.05 Комедия „КОГДА ВСЕ СВОИ"
14.25 Игра „Один за всех"
15.05 „Женский взгляд". А. Джигарханян.
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „В поисках братьев по разуму". Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Сериал „Гангстерские войны: РОСТОВСКИЕ ОБОРОТНИ"
19.20 „Внимание! Розыск!" „Кровь с молоком"
20.40 Сериал „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ. МЯГКАЯ СМЕРТЬ". 1-я с.
21.50 Сериал „Кодекс чести"
23.00 „Сегодня вечером"
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Детектив „Право на защиту"
01.20 Гордон












# შოუ გრძელდება!

## "ოსკარის" იუბილე



ირაკლი მახარაძე

**"ოსკარი უდიდესი ჯილდოა კინომითოლოგიაში"** - ფედერიკო ფელინი

ალბათ, აღარ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმე არ გაეგონოს "ოსკარის" შესახებ. როცა დაჯილდოების ცერემონიალზე გაისმის სიტყვები: "კონვერტი, თუ შეიძლება", ვხედავთ როგორ იძაბება მთელი დარბაზი. ხუთი ნომინანტი, რომელთაგან ერთი სულ მალე "ოსკარის", ამ ყველა კინემატოგრაფისათვის სანუკვარი ჯილდოს, ბედნიერი მფლობელი გახდება, სულგანაბული ირინდება, ხოლო გამარჯვებულის დასახელებას კი ისეთი ტაშის გრიალი და ოვაციები მოსდევს, ხვდები რომ ეს აღარ არის დადგმული შოუ, აქ ყველაფერი ნაღდია. თითქოს ვერავითარი სიმდიდრე ვერ შეედრება იმ სიხარულს, რასაც გამარჯვებული განიცდის. (ეს არც არის გასაკვირი, რადგან "ოსკაროსანი" ფილმის შემოსავალი, როგორც წესი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ხოლო მსახიობი ან რეჟისორი მაშინათვე კინო ელიტაში გადადის). ალბათ, ბევრს ახსოვს ჯონათან დემის უგრძესი სამადლობელო სიტყვა 1991 წელს (თუმცა, ყველაზე გრძელი სამადლობელო, ეკუთვნის მსახიობ გრირ გარსონს, რომელმაც 1942 წლის ცერემონიალზე თითქმის ერთი საათი ილაპარაკა და რომლის დროს ლამის მთელმა აკადემიამ დაიძინა), შირლი მაქლეინის ცნობილი "მე ეს დავიმსახურე", სალი ფილდის "მე თქვენ მოგწონვართ" (ასე კარგად რომ გააშაყირა ჯიმ ქერიმ ფილმში "ნიღაბი"), სოფი ლორენის შეძახილი "რობერტო!", როდესაც რობერტო ბენინიმ გაიმარჯვა და მრავალი სხვა. სულ მალე, 23 მარტს ჩვენ ისევ ვიხილავთ ოსკარის 75-ე დაჯილდოების ცერემონიალს, მანამდე კი შემოგთავაზებთ მცირე ექსკურსს "ოსკარის" ისტორიაში.

"ოსკარის" სკულპტურა კინობიზნესის ზუსტი სიმბოლო არის: ძლიერ, ათლეტურ ფიგურას ხელთ უპყრია მოელვარე ხმალი, ხოლო თავის ის ნაწილი, სადაც ტვინი უნდა ჰქონდეს, თითქოს ხმლით არის ჩამოთლილი"- სცენარისტი ფრენსის მერიონი.

1927 წელს ჰოლივუდში შეიქმნა ამერიკის კინო-ხელოვნების და მეცნიერების აკადემია, რომლის მთავარი მიზანი იყო ამერიკული კინოპროდუქციის დონის ამაღლება და პოპულარიზაცია (არაოფიციალური ვერსიით, აკადემია იმისთვის შეიქმნა, რათა არ დაეშვათ მსახიობებისა და კინომუშაკთა პროფკავშირების ჩამოყალიბება)... აკადემიის პირველი პრეზიდენტი გახლდათ ცნობილი მსახიობი დაგლას ფერბენქსი. აკადემიის შემქმნელთა შორის იყვნენ ლუის მაიერი, ირვინგ თალბერგი, ჰარი რაპფი (ყველა "მეტრო გოლდუინ მაიერიდან") ჯოზეფ შენქი, დაგლას ფერბენქსი, მერი პიკფორდი ("იუნაითედ არტისტს") ძმები ჯეკ და ჰარი უორნერები, ჯესი ლასკი, სესილ დე მილი ("უორნერ ბრაზერს") და სხვები.

ჯილდოს დაწესების იდეა 1928 წელს კინომაგნატმა ლუის მაიერმა წამოაყენა. ეს უნდა ყოფილიყო სკულპტურა, რომლის შექმნა დაავალეს "მგმ"-ის მხატვარს სედრიქ გიბონს. მან პრიზის ჩანახატი ერთ-ერთი კრების დროს გააკეთა. ესკიზი მოიწონეს. უმუშევარმა მოქანდაკემ ჯორჯ სთენლიმ სამუშაო 500 დოლარად შეასრულა. ასე იაფი დაჯდა ეს 34 სანტიმეტრიანი სკულპტურა, რომელზეც მსოფლიოს ყოველი კინემატოგრაფისტი ოცნებობს.

**"ოსკარის გადაცემის ცერემონიალი კიდევ ერთი საბაბია, რომ კარგად გამოვთვრე"**-მსახიობი გერი ბიუზი.

ალბათ, ბევრმა იცის, თუ რატომ დაერქვა ამ ჯილდოს "ოსკარი". უტყუარი ცნობებით, მის ნათლიად ითვლება აკადემიის ბიბლიოთეკარი მარგარეთ ჰერიკი. სკულპტურა რომ ნახა, მარგარეთმა წამოიძახა:"ღმერთო, როგორ ჰგავს ბიძაჩემ ოსკარს!" ამავე დროს ნათლიობის პრეტენზია ცნობილ მსახიობს ბეთი დეივისსა და ჟურნალისტ სიდნი სკოლსკისაც ჰქონიათ. შემდეგში ერთი ჟურნალი წერდა: "რა კარგია, რომ მის ბიძას (ვის ბიძას, მნიშვნელობა არა აქვს) არბოგასთი არ ერქვაო!" პირველად პრესაში ეს ჯილდო ოსკარი სახელით 1934 წელს მოიხსენიეს.

თავდაპირველად შერჩევაში მონაწილეობას იღებდა აკადემიის 400 წევრი. წლების მანძილზე აკადემიას სხვადასხვა სპეციალობის სექციები ემატებოდა, შესაბამისად, იზრდებოდა წევრთა რაოდენობაც. ახლა აკადემიაში გაერთიანებულია ხუთი ათასამდე ადამიანი - ამერიკული კინოს გამოჩენილი სცენარისტები, რეჟისორები, პროდიუსერები და სხვა. სულ შექმნილია 13 სხვადასხვა სექცია-რეჟისორების, მსახიობების და ა. შ. ყველა სექცია მხოლოდ თავის წარმომადგენელს აძლევს ხმას: რეჟისორები რეჟისორებს, სცენარისტები სცენარისტებს და ა.შ. ბოლოს კი ყველანი ერთად ირჩევენ წლის საუკეთესო სურათს.

**"ოქროს გლობუსი კარგი გასართობია. ოსკარი კი ბიზნესია"** - მსახიობი და რეჟისორი უორენ ბითი.

პირველი დაჯილდოება 1927-28 წლების ნამუშევრებისათვის 1929 წლის 16 მაისს სასტუმრო "რუზველტში" გამართულ ბანკეტზე მოეწყო. ცერემონის დაესწრო 250 ადამიანი და ბილეთის ღირებულება 10 დოლარი იყო. მაშინ გამარჯვებულთა სახელები ყველამ უკვე იცოდა და ეს ცნობები პრესაშიც იბეჭდებოდა. (დალუქული კონვერტების სისტემა მხოლოდ 1941 წელს დაინერგა). პირველ დაჯილდოებაზე პრესა არ იყო დაშვებული, მაგრამ შემდეგი წლიდან ამ ამბისადმი ინტერესი ისე გაღვივდა, რომ ლოს ანჯელესის ერთი რადიო პირდაპირი ეთერით ერთი საათის განმავლობაში გადასცემდა რეპორტაჟს ცერემონიალიდან. სხვათაშორის, "ოსკარის" პირველი სატელევიზიო ჩვენება (იმ სახით, როგორც დღეს არის) 1953 წლის 19 მარტს მოხდა, ცერემონია ცნობილ კომიკოსს ბობ ჰოუპს მიჰყავდა (ეს მსახიობი 20-ჯერ იყო "ოსკარის" საღამოს წამყვანი), 1966 წელს კი პირველად აჩვენეს ფერადი გამოსახულებით.

ოსკარის პირველ დაჯილდოებაზე სულ 15 ქანდაკება დარიგდა, ყველა გამარჯვებული მამაკაცი იყო ჯანეტ გეინორის გარდა, რომელმაც ეს პრიზი ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის სამ ფილმში ერთად მიიღო.

**"თქვენ ცეკვავთ, ირგვლივ კი ამდენი ცნობილი პიროვნებაა ერთად შეყრილი"** - მსახიობი ჯოან კროუფორდი "ოსკარების" პირველი ცერემონიალის შესახებ.

თავისი ისტორიის მანძილზე დაჯილდოების ცერემონიალი მხოლოდ სამჯერ გადაიდო: 1938 წელს - ერთი კვირით, როდესაც ლოს ანჯელესში საშინელი წყალდიდობა მოხდა, 1968 წელს - ორი დღით, როცა მართინ ლუთერ კინგი მოკლეს და 1981 წელს - 24 საათით, რონალდ რეიგანზე თავდასხმის გამო.

ყველაზე მეტი ოსკარი (11) მიიღო ბენ-ჰურმა" (1960) და "ტიტანიკმა" (1997). ამერიკული კინემატოგრაფის ისტორიაში მხოლოდ სამმა ფილმმა მიიღო ხუთივე მთავარი ჯილდო (ფილმი, ქალისა და მამაკაცის საუკეთესო როლი, რეჟისურა და სცენარი) - "ეს მოხდა ერთხელ ღამით"(1934), "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"(1975) და "კრავთა დუმილი"(1991).

ოსკარის ისტორიაში ბევრი ფილმია "დაჩაგრული". ყველა დროის ყველაზე ცნობილ ამერიკულ ფილმად აღიარებულ "მოქალაქე ქეინს" (რეჟისორი ორსონ უელსი) არ მიუღია ოსკარი, უამრავი ბრწყინვალე ხელოვანი - ჩარლი ჩაპლინი (მას მხოლოდ სპეციალური "ოსკარი" აქვს მიღებული), ალფრედ ჰიჩქოქი, რიჩარდ ბერტონი, სემ პექინპა, სთივ მაკქუინი და სხვები ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ოსკარი კი არა, ნომინაციაც კი არ ღირსებიათ. მსოფლიოს ყველაზე ცნობილ დემოკრატიულ ქვეყანაში ხშირად ძალზე არადემოკრატიულად რიგდება ჯილდოები. მაგალითისათვის, 1976 წელს საუკეთესო სურათის კატეგორიაში საშუალო დონის ფილმმა "როკი" სილვესტერ სტალონეთი, დაჯაბნა ისეთი გრანდები, როგორიცაა "პრეზიდენტის მთელი ამალა", "ტაქსის მძღოლი","ტელევიზია" და "დიდების მიჯნაზე". საქმე იმაშია, რომ "როკი" ეს არის ფილმი ამერიკულ ოცნებაზე, ეს კონკიას ახლებური ვარიანტია, როცა უბრალო ადამიანი (ამერიკელი), რომელსაც არაფერი აბადია, თავისი მუხლჩაუხრელი შრომით, აღწევს საწადელს, და აკადემიის ბევრი წევრის აზრით, ზუსტად ამდაგვარი ფილმებია საჭირო აუდიტორიისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენთვის კარგად ცნობილ "ტიტანიკზე", მის შესახებ ერთი ამბავი მახსენდება. ამ ფილმს უყურებდა მწერალი სალმან რუშდი თავის მეგობართან ერთად, როდესაც ნახა თუ რა რეაქცია აქვს მაყურებელს, გაოცებული რუშდი მეგობარს შეეკითხა: "ამიხსენი, რა მოსწონთ ამ სისულელეში? მეგობარმა კი უპასუხა: შენ რა, არ იცი, რომ მსოფლიოში ძალიან ბევრი ბრიყვი ცხოვრობს?" მაგრამ, ზუსტად ეს ბრიყვები ავსებენ კინო სალაროს.

**"ოსკარის" მიღება ყოველი ადამიანისათვის ბედის დალოცვაა"**- მსახიობი ჯონ ვოიტი.

ბევრი მსახიობი კატეგორიულ უარს აცხადებდა ჯილდოს მიღებაზე, ასე მაგალითად, მსახიობმა ჯორჯ სქოტმა არ ისურვა ამ "ორსსაათიანი ხორცის აღლუმზე" დასწრება, როცა იგი 1970 წელს დაასახელეს საუკეთესო მამაკაცის როლის შემსრულებლად (უნდა ითქვას, ბრწყინვალედ ნათამაშები როლია) ფილმში "პატონი" და ცერემონიის დროს სახლში ჰოკეის მატჩს უყურებდა. რეჟისორო ვუდი ალენი კი, გასულ წლამდე, საერთოდ არ ესწრებოდა ამ ცერემონიალს და იმ დღეს საქსოფონზე უკრავდა ხოლმე, ნიუ იორკის ერთ ჯაზ-კლუბში. 1972 წელს კი ფილმისთვის "ნათლია" გამარჯვებული მარლონ ბრანდო დაჯილდოების ცერემონიალს არ დაესწრო ინდიელთა უფლებების შელახვის პროტესტის ნიშნად და გამოგზავნა აპაჩი ქალი სეჩინ ლითლფიზერი, რომელმაც ამცნო აუდიტორიას ბრანდოს არმისვლის მიზეზი. ეს რომ გაიგო, ჯონ უეინმა, რომელსაც უამრავი აპაჩი ჰყავდა კინოში მოკლული, ისე გაბრაზდა, რომ ექვსმა კაცმა ძლივს დააკავა, თორემ იმ საწყალ ქალს შავი დღე დაადგებოდა.

**"ოსკარის" ყველა ნომინანტი გამარჯვებულია, მაგრამ შემდეგ, სულ ცოტა ხანში, რჩება ოთხი წაგებული"** - მსახიობი ლივ ულმანი

"ოსკარების" ცერემონიალზე მოხვედრა მხოლოდ მოსაწვევებით არის შესაძლებელი, ბილეთები არ იყიდება, მაგრამ შოვნა მაინც შეიძლება. ბევრი ფანატი მზად არის უზარმაზარი თანხა გადაიხადოს, რათა იქ, თუნდაც იარუსის სულ ბოლო რიგში მოხვდეს და ამ გრანდიოზული შოუს მონაწილე გახდეს. შოუ კი გრძელდება!



ჯონ ვეინი



კლოდეტ კოლბერი და კლარკ გეიბლი



ბეტ დევისი

## კალეიდოსკოპი

### ხუთი "გოია" სხვას

"ორშაბათები მზეში" – ასე ჰქვია ფილმს, რომელმაც ალმოდოვარის "ესაუბრე მას" დაჩაგრა. ესპანური კინოს დაჯილდოების ცერემონიალზე ხუთი მთავარი პრიზი სწორედ ამ სურათმა მიიღო: ფერნანდო ლეონ დე არანოა საუკეთესო რეჟისორი გახდა, ხავიერ ბარდემი საუკეთესო მსახიობი, ხოლო მათ ნამუშევარს "გოია" გადასცეს, როგორც საუკეთესო ფილმს. დაჯილდოვდა არანოიას ფილმის კიდევ ორი მსახიობი – ლუის ტოსარი, როგორც საუკეთესო მეორეხარსიხოვანი მსახიობი და ხოსე ანხელ ეხიდო, როგორც საუკეთესო ახალბედა შემსრულებელი. "გოიას" ცერემონიალამდე კარგა ხნით ადრე კი, ცნობილი გახდა ისიც, რომ "ოსკარის" ცერემონიალზე ესპანეთს ალმოდოვარის ფილმის ნაცვლად სწორედ "ორშაბათები მზეში" წარადგენს.

არადა, "ესაუბრე მას", რომელიც "ოქროს გლობუსის" პრიზიორიც გახლავთ და ამავე დროს წარდგენილია ბრიტანულ და ფრანგულ ფესტივალებზეც, მხოლოდ ერთ "გოიას" დასჯერდა – ყველაზე ორიგინალური სცენარისთვის. ისე კი, ალმოდოვარის ეს ნამუშევარი შვიდ ესპანურ ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

ხუთი მთავარი პრიზის მოპოვება 34 წლის ესპანელი რეჟისორისთვის ნამდვილად დიდი მიღწევაა. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ არანოიამ ალმოდოვარის ჩრდილს აშკარად დააღწია თავი. "მსურს ეს ჯილდო მათ ვუძღვნა, ვისაც სიცოცხლის უფლებასართმევენ და ვისაც უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველდღიურად უხდება... ჩემთვის ისინი გმირები არიან", - განაცხადა არანოიამ. მან გამოსვლა მოწოდებით "უარი ომს!" დაასრულა. დარბაზში შეკრებილ საზოგადოებაშიც მსგავსი განწყობა იგრძნობოდა. სცენიდან კი არანოიას მოწოდება მოგვიანებით ხავიერ ბარდემმაც გაახმოვანა. "უსმინეთ თქვენს ხალხს. მათ მშვიდობა სურთ", - დასძინა მან.

### მურის არაპროფესიული ჯილდო

როჯერ მურს გერმანიის პრეზიდენტი იოჰანეს რაუ გაეროს ბავშვთა ფონდში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოებს. ყოფილ ჯეიმს ბონდს პრიზს 10 თებერვალს, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ცერემონიალზე გადასცემენ. ხანშიშესული მური უკვე დიდი ხანია ბავშვთა კეთილდღეობისთვის იბრძვის და UNICEF-ის კეთილი ნების ელჩიც გახლავთ. მსახიობის ძირითადი პროფილი განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ღარიბი ბავშვების დაცვაა, როგორც შიმშილისგან, ისე სექსუალური ძალადობისგან.

### მეფე აჯილდოებს

"როქსეტი", სამეფო ბალის მებაღე და მოსამართლე – ეს ადამიანები დანარჩენ 28 ნომინანტთან ერთად შვედეთის მეფემ კარლ XVI სამეფო პრიზით დააჯილდოვა. მიუხედავად უცნაურად დაკომპლექტებული სიისა, ბუნებრივია სამეფო ჯილდოს მოპოვება შვედური დუეტის წევრებისთვის დიდი პატივია. მათ სიგელი "შვედეთსა და საზღვარგარეთ მიღწეული წარმატებებისთვის" გადასცეს. "როქსეტთან" ერთად მეფე კარლმა ჯილდო გადასცა საკუთარ დასაც, პრინცესა კრისტინას, როგორც შვედური "წითელი ჯვრის" გამორჩეულად კარგ თავმჯდომარეს.

**დღეს**
**ორშაბათს, 3 თებერვალს**



1981 წელი: გრო ჰარლემ ბრუნტლანდი ნორვეგიის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი გახდა.

1488 წელი: პორტუგალიელი მკვლევარი ბართოლომეუ დიასი კეთილი იმედის კონცხზე ჩავიდა და გახდა პირველი ევროპელი, რომელმაც აფრიკის მიწას დაადგა ფეხი.

1958 წელი: ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბენელუქსის ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ.

1969 წელი: პალესტინის ნაციონალურმა კონგრესმა იასირ არაფატი პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნა.

2000 წელი: ევროკავშირი სანქციების დაწესებით დაემუქრა ავსტრიას მას შემდეგ, რაც სამთავრობო კოალიციაში ულტრა-მემარჯვენე თავისუფლების პარტია გაერთიანდა.

Picture: Popperfoto © GRAPHIC NEWS

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გააუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# სწავლა ლონდონში
## ხელმისაწვდომ ფასად

MBA
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი **$5950**

... BA (Hons) ... 10 950$ (£ 6950 ...).
... B. Eng (Hons) ... £ 10 950

**ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად**

... 1600$-ის (£ 1000) ...

... 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
... 34 61 62, 8-93 35 20 67



# დაზღვეულია ბრიტანეთში
## მშენებარე სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე

არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

- ექსტერიერზე მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შუშით და ალუმინის დამცავებით
- ტიხრები ამოყვანილი აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- კედლების მაღალი ხარისხის ლესვა გაჯით
- იატაკი მოჭიმული
- ჩართული კომუნიკაციები
- ავტოსადგომი, დისტანციური მართვის კარით
- დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

- საერთო მოხმარების ფართის მოვლა-დასუფთავება
- ავტომანქანის რეცხვა
- ტექნიკური მომსახურება
- ნაგვის გატანა

ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი AXIS

# ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა ბუნებრივი საკვები დანამატების წარმოებაში!




... GPC ... ტელ. 99-87-37.

„საქართველოს ბანკი" აცხადებს კონკურსს რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ვაკანსიაზე

***შესასრულებელი ფუნქციები:***

საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
სასურველი იმიჯის განსაზღვრა და მის ფორმირებაზე მიმართული ღონისძიებების გატარება;
ბანკის იმიჯის ფორმირებაზე და და ცალკეული პროდუქტების მხარდაჭერაზე მიმართული სარეკლამო კომპანიის დაგეგმვა და ორგანიზაცია;

***საკვალიფიკაციო მოთხოვნები;***

უმაღლესი განათლება;
ინგლისური ენის ცოდნა მაღალ დონეზე;
შესაბამისი მიმართულებით მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;

***პიროვნული უნარები:***

შემოქმედებითი აზროვნების უნარი;
ანალიტიკური აზროვნების უნარი;
დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
ინიციატივიანობა;
რეალური და გაზომვადი შედეგების მიღწევის უნარი.

***დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

რეზიუმე, ორი ფოტოსურათი, დიპლომის, სერთიფიკატების ასლები, 2 დახასიათება-რეკომენდაცია შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 3, „საქართველოს ბანკი"

საკონტაქტო პირი: ელზა სოლოღაშვილი
**tel:.8 220021135; 44 41 35**
**e-mail: kadrebi@bankofgeorgia.com.ge**

განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 10 თებერვალი

